ოლე

ლიტერატურული ჟურნალი №1 (28)

ოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლ

2016

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3995

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**) და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდრე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი
გამოდის სამ თვეში ერთხელ
მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №1 (28), 2016

შინაარსი

ლადო მრელაშვილი — 90

2. **ზაალ ბოტკოველი.** იყალთოელი ბიჭები
3. **ლია ნადირაშვილი.** საამაყო მწერალი და მამულიშვილი

მხატვრული ლიტერატურა

4. **ფარნა რაინა.** ლექსები
22. **რეზო (ემელიანე) ადამია.** წმიდა ნინო. რომანი
37. **ვასილ ბოსტაშვილი.** დიდგორი. პოემა
45. **ნუნუ ძამუკაშვილი.** ლექსები
48. **შოთა რაინაული.** მინიატურები
49. **თინათინ მრელაშვილი.** ლექსები
53. **ზიზო ბურდული.** ჩანახატები. ლექსები
55. **ეველინა ხუციშვილი.** ლექსები

დოკუმენტური პროზა

56. **ოთარ ხუციშვილი.** ორი მინიატურა

თარგმანი

58. **სერგეი ჟედი.** აგენორი. მოთხრობა

საქვეყნო სატკივარი

61. **ციური ბადურაშვილი.** ღირს ამაზე დაფიქრება...

63. **კულტურული ცხოვრების ქრონიკა**

გარეკანის პირველ გვერდზე
გოჩა ბაღათრიშვილის ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

ზაალ ბოტკოველი

იყალთოელი ბიჭები

რა დრო გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი მონამორჩილი გატაცებით კითხულობდა იყალთოელი ბიჭების თავგადასავალს, კითხულობდა სუნთქვაშეკრული, აღტაცებული და თუ რამეს ნატრობდა, მხოლოდ იმას, როგორმე მათ რიგებში მოხვედრილიყო, მათი ფათერაკებით სავსე ცხოვრების თანაზიარი ყოფილიყო.

მერე კი არსთაგამრიგემ ისე მოაწყო ჩემი ცხოვრება, რომ „იყალთოელი ბიჭების“ შემქმნელი უფროს მეგობრად მიქცია და ათწლეულების განმავლობაში ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი გაგვხადა.

ლადო მრელაშვილი!

საქართველოს, ქართული მწერლობის, ქართული სიტყვის ერთ-ერთი გამორჩეული მეციხოვნე და მეაბჯრე.

პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი.

თითქმის სამოცდაათი წლის წინ რომ გამოაქვეყნა პირველი ლექსი „ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები“, იმ ლექსში დადებული ფიცის ერთგული დარჩა ბოლომდე, ბოლომდე უერთგულა თავის საესავ სამშობლოს, წინაპართა საფიცარ საფლავებს და თავისი შემოქმედებით ერთი დიდი კელაპტარი დაანთო მშობელი ქვეყნის საკურთხეველთან.

ლადო მრელაშვილის რომანები „ყაბახი“, „ოლოლები“, „სამი ღამის თავგადასავალი“, „და შეჰქმნა ღმერთთმან კაცი“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის მონაპოვარია, რომლებშიც სრული სისავსით, სრული ძალმოსილებით გაცხადდა ამ შესანიშნავი მწერლის ნიჭიერებაც, საგნებისა და მოვლენების არსში უცდომელი წვდომისა და განზოგადების უნარიც და, რაც მთავარია, მუდმივი სწრაფვა მხატვრული სრულყოფისაკენ. ამ ნაწარმოებებს ერთი საერთო ძირი, ერთი სულისკვეთება ახასიათებს — გამოიკვლიოს ადამიანის სულის ერთი შეხედვით მიუწვდომელი, უხილავი ლაბირინთები, ჩაწვდეს კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის არსს და თავისი თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანოს ჯოჯოხეთის მკვიდრთა წინააღმდეგ გამართულ წმიდათაწმიდა ომში. მისი ლიტერატურული გმირები თითქოს ჩვენი ყოფიერების ძირებიდან, მისი ფესვებიდან არიან წამოზრდილნი და სწორედ ამ ფესვების სიმტკიცესა და სიძლიერეს აქვითკირებენ და ამაგრებენ, რათა დღევანდელმა ქართველობამ არ დაივიწყოს, ვისი გორისანი ვართ. სხვანაირად ხომ ძალზე გაუჭირდება არსებობა საქართველოს, ერთ პატარა ტივს, ბოროტების, განუკითხაობის, ვერაგობისა და აღვირახსნილობის ოკეანეში განწირულად რომ ეხეთქება ერთი ტალღიდან მეორეს...



რა დიდებული, რა მშვენიერი გამოუვიდა ბოლო რომანი. „და შეჰქმნა ღმერთმან კაცი“ საქართველოს ასწლიან ეპოქას ასახავს და ბევრ წყევლა-კრულვიან შეკითხვას უსვამს ჩვენს თანამედროვეთ. რა დიდოსტატურად დახატა ვაჟა-ფშაველას სახე და მისი ყველაზე სანუკვარი ფიქრები სამშობლოს წარსულსა და მომავალზე სწორედ ამ ზეკაცის პირით ამცნო საქართველოს.

ბოლო წლებში გაიხსენა, რომ სწორედ პოეტად იყო დაბადებული და ცალკე წიგნად გამოცემული რობაიები დაგვიტოვა, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ბრძენკაცის სენტენციები ჩვენი ყოფის, ჩვენი ცხოვრების ავკარგზე, ადამიანის დანიშნულებაზე ამქვეყნად და ყველაზე მთავარზე, რისთვისაც საქართველოში იბადებოდნენ და კვლავაც დაიბადებიან — სამშობლოსათვის თავგანწირვის აუცილებლობაზე.

ლადო მრელაშვილი ახლა ზეციური საქართველოდან დაჰყურებს მშობელ ქვეყანას და მტკიცედ სწამს, რომ ლელოს მაინც გავიტანთ და გადავრჩებით, რომ კვლავაც დავჭექეთ „მრავალჟამიერს“ ქართული გენის უკვდავების სადიდებლად.

ლია ნადირაშვილი

საამაყო მწერალი და მამულიშვილი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ლადო მრელაშვილის სახელი ქართველი მკითხველისთვის მწერლური ალღოიანობის პარალელურად მშობლიური მიწის სიყვარულთან, კაცურკაცობის შეგრძნებასა და პიროვნულ ღირსებასთან ასოცირდება. მისი პუბლიცისტური თუ მხატვრული შემოქმედება ადამიანისთვის ერთგვარი გზამკვლევია პიროვნული ვალდებულებებით გაჯერებულ ზნეობრივ გზაზე სავალად. მისი „კაი ყმა“ იმ თავმდაბლობას გვასწავლის, რომელსაც ასერიგად უფრთხის ამპარტავნობაშეპარებული ქართველი კაცი: „შენ ყოველთვის გაურბოდი დიდი ტრიბუნიდან შენზე რამის თქმას“. ამავდროულად, ბატონი ლადო, კულტურულად მიგვანიშნებს, რომ სოფლის თავკაცი მხოლოდ სასოფლო სამუშაოებს კი არ უნდა უძღვებოდეს, არამედ ლონგოსავით საფუძვლიანად იცნობდეს პროფესიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურასა და ქართულ თუ მსოფლიო კლასიკას.

ერთგვარი ინტერესით იკითხება მისი „სოფელი აკადემიის ნაფუძარზე“, „ალაზნის პირას“, „რიჟრაჟიდან რიჟრაჟამდე“, „ნაკრძალში“, „შირაქის ველზე მივდივარ...“, „დიალოგი ღამით“... შეგვიძლია უსასრულოდ ჩამოვთვალოთ მისი შემოქმედების პწკარედები, რომელთა მეშვეობით თელაველები, ზოგადად — კახელები, თავიანთთვის საყვარელ ადამიანებზე იღებენ სრულიად უცნობ ინფორმაციას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები თითქმის არ გვცნობებია, რადგან მათს თავიდან „პოვნა აღმოჩენაში“ ბატონი ლადო დაგვეხმარა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ მწერლის თხრობის მანერა და სასაუბრო სტილი მის შემოქმედებას საინტერესო წასაკითხს ხდის, ვინაიდან ლადო მრელაშვილი კარგი მთხრობელია. მუდამ ცდილობს ადამიანთა ურთიერთობაში პოზიტივი შეამჩნიოს და ამის გამომზეურებით მკითხველიც სასიამოვნო განცდებითა და დადებითი ენერგიით აავსოს. მისი ამგვარი მწერლური პოზიცია მუდამ მახსენებს გიორგი ლეონიძისა და რევაზ ინანიშვილის პროზაულ შემოქმედებას. საკუთარ პერსონაჟებთან (რომლებიც ხშირ შემთხვევაში რეალური პირები არიან) ასეთი ხალასი და უშუალო დამოკიდებულება მხოლოდ ნიჭიერ და კაცთმოყვარე (ჰუმანიზმით აღსავსე) მწერლებს შეუძლიათ.

შეუძლებელია, ვისაუბროთ ლადო მრელაშვილზე და მისი „იყალთოელი ბიჭები“ გაკვრით მაინც არ ვახსენოთ. ეს ის საყმაწვილო ნაწარმოებია, რომელზეც თაობები აღზრდილა და აღიზრდება. თანამედროვე ხანაში, ტექნიკური საოცრებების ეპოქაში, ერთგვარად ჭირს მოზარდის ფსიქოლოგიის მიმართვა საამაყო ისტორიული წარსულისაკენ, რათა მომავალმა თაობამ შეიცნოს, რა უკეთებია თავის წინაპარს, რა განუცდია, რა სტკიებია და რა გახარებია, რომ მან, როგორც მომავალმა იმედმა, ღირსეულად გადაიბაროს ესტაფეტა და თავისი საკეთებელი იქიდან გააგრძელოს, სადაც შეჩერდა წინაპარი. დასახელებული თხზულება უბადლოდ იძლევა ამის საშუალებას. ჩვენთვის კი, თელაველთათვის, იმდენი ნაცნობი ადამიანის ბავშვობა „ცოცხლდება“, რომ „იყალთოელი ბიჭების“ კითხვისას ორმაგ სიამოვნებას ვიღებთ. ამის გამო ვმადლიერობ ბატონ ლადოს, ამდენი საინტერესო ტექსტის ავტორს, ღირსეულ ქართველს, სამშობლოზე, მშობლიურ კუთხეზე უზომოდ შეყვარებულ მამულიშვილს. 1948 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული ლექსით „ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები“ გაიცნო იგი ქართველმა მკითხველმა და მისი სასიამოვნო სტილით დაწერილი ნაწარმოებები დღემდე ხიბლავს ქართველ მკითხველს.

ვუერთდები იყალთოელთა საიუბილეო განწყობას და მათთან ერთად ვამაყობ ლადო მრელაშვილის მწერლური ნიჭიერებითა და კაცურკაცობით.

ფარნა რაინა

ჟურნალ „ოლე“-ს ამ ნომერში ვასრულებთ ფარნა რაინას „კატრენების“ ტრილოგიის პირველი წიგნის ბეჭდვას. ჟურნალ „ოლე“-ს სამ ნომერში გაგრძელებებით გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ ლიტერატორების და მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია, რედაქციამ მიიღო მრავალი გამოხმაურება, რომელთაც მკითხველს შევთავაზებთ ჟურნალ „ოლე“-ს 2016 წლის III ნომერში, რომელიც ფარნა რაინას დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნება.

კ ა ტ რ ე ნ ე ბ ი

იბერები...*

ქვეყანაც და...
სახელიც
ვრცელი ჰქონდათ
იბერებს...
სიდიადე —
ვითარ, მზე,
თავს —
აროდეს
იბერებს...
დღესაც ვხედავთ
იმ სულის —
ცისარტყელის
იმ ფერებს,
იმ სახელს და...
დიდებას —
კვლავ, ამაყად,
იფერებს...

15. I. 2016

*ისტორიული კვლევებითა და ბოლოდროინდელი მეცნიერული ვერსიებით, პროტოქართველთა კვალი ტრიალებს ხმელთაშუაზღვის არეალში, ელადის სივრცეში — ადრიატიკისა და ეგეოსის ზღვების შემოგარენში, აგრეთვე — აპენინზე, კრეტაზე, პირინეიზე, ალბიონზე და სხვაგან, ხოლო, შვეიცარიელ მეცნიერ-ექსპერტთა კვლევით, ეგვიპტელ ფარაონთა „დნმ“ პლანეტის ხალხთა შორის, ყველაზე ახლოს და ყველაზე მეტად, ქართულ „დნმ“-სთან არის...

თუშები...

სულ, —
ბრძოლა იყო და...
იოტი — თუ, შვება?!..
წლებს
ცეცხლი ეკიდა, —
ხმალ-გუთნით
ბოგინში...
და... რქაჟანგიანმა,*
იცოდნენ, —
თუშებმა:
სირცხვილი არისო
სიკვდილი —
ლოგინში...

5. I. 2016

*თუშეთში დამკვიდრებულია, როგორც — ხნიერი და ძალგულოვანი ადამიანების მეტაფორა.

სიბრძნეთა სიბრძნე...

ვინ აასხივა
დრომ —
მზის ხატად,
ვინ —
ქუშად ქუფრის,
სიბრძნეთა
სიბრძნე —
მოანათებს,
მობრწყინავს, —
ერთი:
რომ შეიცნოო —
სიდიადე
და
სიბრძნე —
ღმერთის,
უნდა იყოო —
სულით,

არსით,
თვითონაც
ღმერთი...*

14. I. 2016

*„ღმერთი რომ შეიცნო, თვითონაც ღმერთი უნდა იყო“... — მარი ფრანსუა არეუ ვოლტერი (1694-1778) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი.

თუ, — გნებავს...

თუ, — ხარ —
უფალი:
შენთა
სურვილთა,
თუ, — გნებავს —
ნეტარ,
მადლი ნობელის,
მზე უნდა იყო:
საქმით...
სულითა...
და...
სიყვარულად —
დღეთა მდნობელი...

10. II. 2016

სახელი...

თუ, —
რამე შვენის —
ადამიანს,
სახელი შვენის...
მზესახელს —
მიწყივ,
დროც და
ხალხიც
მზესავით ლოცავს...
იცოდე:
უმალ,
მტვრად იქცევა —
სახელი შენი,
სარგებლისათვის —
ღმერთს და
სინდისს
გაწირავ, როცა...

26. I. 2016

მთავარი არის — რა არი?..

სიტყვამ —
ცა,
მიწა იარა, —
მიმოდის, ვითარ —
საარი...
მთავარი —
ბევრი კი არა,
მთავარი არის —
რა არი?..

21. XII. 2015

აღიარება — ყოველთვის, გვიჭირს...

სხვათა ღირსების
დასამხობად,
რას აღარ
ვხლართავთ?!..
გვკლავს —
სხვათა სხივთა
დიადემა, —
ელვარე ნიჭის...
ადვილად ვიცით:
კილვა,
კიცხვა
და... თათხვა
სხვათა,
აღიარება სიდიადის —
ყოველთვის,
გვიჭირს...

5. I. 2016

სიბრძნით და აზრით...

ცხოვრება არის
ასპარეზი —
ავ-კარგის ქართა,
ხომ არის,
როცა —
ჩვენი ბედი
მწვერვალზე
არ ზის?..
არაფერია —
უსაშველო,
სიკვდილის გარდა,
სიცოცხლედ აქცევ:
სიკვდილსაც კი, —
სიბრძნით და
აზრით...

31. I. 2016

მკლავს — ინტერესი!!!..

ვეღარ ვიცილებ —
ფიქრის
ფრთოსნებს,
ფიქრნი მათბობენ, —
მკლავს ინტერესი, —

კოსმიური, —
უსაზღვრო ფიქრით...
როცა შევყურებ:
ამ ზეცას და
ციურ მნათობებს,
რა არის —
იქით?!..
იმის იქით?!..
და...
იმის იქით?!..

8. XII. 2015

ეჰ!..

ვინც იხატავდა —
მზისებრ,
იერსო,
გული გაგვითბო
არც მან...
ეჰ, —
რამდენს უნდა
იყოს —
იესო,
მაგრამ...
არ უნდათ —
ჯვარცმა...

3. I. 2016

დედამიწაც კი რომ არ გყოფნიდა...

ალექსანდრე მაკედონელს

არ უნდა გქონდეს:
მადა — მგლისა
და...
გული — ქვისა...
იცოდე უნდა:
ყოფნის არსი,
ცოდვა და
მადლი...
დედამიწაც კი
არ გყოფნიდა* —
ზეცის ქვეშ,
ვისაც,
ბოლოს, — იკმარე:
მზედამშრალმა,
სულ,
ორი ადლი...**

2016

*„ამ საფლავში ჩაეტია ის, ვისაც მთელი დედამიწა ეპატარავებოდა“... — ალექსანდრე მაკედონელის ეპიტაფია.
**(ძვ.) სიგრძის საზომი ერთეული, — უდრის, დაახლოებით, მეტრს.

უცნაური განცდა მეფეთა...

ციხე-დარბაზი
ესპანეთის
ვნახე მეფეთა,*
ფიქრმა —
უვრცესი:
გზები,
გორა,
მთები
იარა...
ფრთებით ფასკუნჯის
უცნაური
განცდა მეფეთა, —
ჩემი სიცოცხლე
მომეჩვენა,
როგორც —
იარა...

30. I. 2016

*სეგოვიის ზღაპრული ალკაზარი, — არა მარტო, ესპანეთში, არამედ, მსოფლიოში, ერთ-ერთი, ყველაზე ლამაზი და ცნობილი ციხე-დარბაზი, — ესპანეთის მეფეთა სავანე, ქალაქ სეგოვიის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს.

ვიმეორებო, — გენიოსმა ბრძანა გოეთემ...*

გონების განძზე —
სამზეოზე,
ვინ თქვას
უარი?..
ზოგჯერ, — გვგონია:
აზრის,
სიბრძნის
სხივად მოვენთეთ...
რასაც მე ვამბობ,
ჩემეული
ცოტა თუ არი,
მეტი,
ჩემამდე,
ნათქვამია, —
ბრძანა გოეთემ...

8. I. 2016

*„ჩემს ნაწერებში, ჩემეული, თხუთმეტი პროცენტი თუ, იქნება, დანარჩენი, უკვე, ჩემამდე ნათქვამის, გამეორებაა...“ — იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

მაშინღა გვახსოვს ღმერთი...

მინდა:
სიწრფელით სულის,
სიტყვაც

წრფელი ვთქვა
ერთი...
ხან, — გვავიწყდება
ღმერთი...
და... გვავიწყდება
ლოცვაც...
თუ, გაგვიჭირდა,
ჩვენი —
მუდარა
ზეცას ერთვის,
მაშინღა გვახსოვს
ღმერთი,
თვითონ გვჭირდება,
როცა...

13. VII. 2015

წაღმა წარგვიძღვეს...

წაღმა
წარგვიძღვეს, —
წესით,
წყენას —
წარხოცდეს
წყრომით:
წილკანი,
წყაროსთავი,
წუღრუღაშენი,
წრომი...

12. II. 2016

სანამ?!..

მოთმენის ძაფი
გაწყდა, უკვე,
სანამ —
გოლგოთა?!..
ვერ გავაბრუნეთ
ტროას ცხენიც, —
რაიც
მოგორდა...
კარიერისტი, —
ზოგი,
ისე,
ძალუმ,
მოღორდა,
გადაგვავიწყდა
დრო —
არაბთა...
სპარსთა...
მონღოლთა...

15. I. 2012

მაჩვენეთ გული...

სიცოცხლე —
ლამის, —
მიიწურა,
მინავლდა ისე,
ქვევრი კი არა,
სიყვარულის —
ვერ ვნახე
ქოცოც...
მაჩვენეთ გული:
უანგარო,
ალალი, — მზისებრ,
რომ —
გული მივცე
გულისათვის,
ვენდო და...
ვლოცო...

2. I. 2016

ჩვენი სიცოცხლე — მაშინ, რა არის?!..

რომ ვხედავ —
ვარდად მავალ ფერიას,
ერთი მზის ნაცვლად,
თითქოს, —
რვა არი...
თუ, —
სიყვარული
არაფერია,
ჩვენი სიცოცხლე —
მაშინ,
რა არი?!..

1. II. 2016

ხანდახან, ხან და ზოგჯერ...

გადაეყრება მეფეთ-მეფეც —
ხანდახან,
ურვებს...
ხან, —
ქვის ნატეხიც —
ყორნის წამწამს
ცრემლებით
ალტობს...
ასეა, —
ზოგჯერ,
ბრძენთა-ბრძენიც
შეცდება, —
თურმე...
მთლად შეუმცდარი —
მაღლა,

ცაში,
ღმერთია, —
მარტო...

29. I. 2016

სოფისტები...

გაგვიმრავლდნენ:
ცრუბრძენნი და...
ცრუმეტყველნი, —
სოფისტები,*
პლანეტის, თუ —
ქვეყნის,
ხალხის,
ქალაქის და
სოფლის მტრები, —
ქიშპისტები,
ხვეჭისტები,
ღვარძლისტები,
ცოფისტები,
სიყვარულის,
სიმართლის და...
მეგობრობის,
ძმობის მტრები...

6. II. 2016

სოფისტები (საბერძნეთში, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის პირველ ნახევარში) ცრუბრძენნი, ცრუგამომგონებელნი, მოძღვარ-მესვეურნი სიცრუით სიმართლის გაბათილებისა, რომელთა მცდელობაც იყო — მოხერხებული, გაწაფული უნარი თეთრის გაშავება, შავის გათეთრება, ანუ — როგორც არისტოტელე იტყოდა: „მოჩვენებითი სიბრძნე“...
სოფისტებს მთელი არსით ებრძოდნენ — სოკრატე და პლატონი...

ფანტაზიორი...

ჭირი სჭირს,
ვისაც —
თავის კულტით,
იმატებს
სხვა ჭირს, —
ვერ არჩევს
ბეცი:
თეთრსა და
შავს,
მტყუანს და
მართალს...
მართვა სურს:
ხალხის,
ქალაქისა,
თუ —
ქვეყნის საჭის,
მართვა სურს,
მაგრამ...
თვითონ,
თავის —
თავსაც ვერ
მართავს...

ვულკანი...

ფიქრი... ხან, —
ცაში არწივია
და... ხან, კი —
უბრობს...
ღარიბებს —
ზოგჯერ,
არ აქვთ ძილი,
უფრო კი —
მდიდრებს...
ვულკანი —
ზოგჯერ,
საშიშია:
ჩამქრალი უფრო,
დუღილით,
ცეცხლით
და... ხმაურით
მოქმედი,
ვიდრე...

24. V. 2013

სიბრძნიდან — სისულელემდე...

ხომ გვინდა
ყველას —
მზის სულს მივნებდეთ,
უაზრო
აზრი —
ვდევნოთ და...
ვქოლოთ...
თქმულა:
სიბრძნიდან,
სისულელემდე,
ერთი ნაბიჯი
არისო, —
მხოლოდ...

11. XII. 2015

წვეთი...

ამ გულს
ერთი ფიქრი
კორტნის, —
დასკვნაც
დავსვი —
ერთი:
ოკეანე არის —
ცოდნის...
ვიცი* —
ოდენ,
წვეთი...

17. I. 2016

*დიდი პლატონის დიდმა მასწავლებელმა სოკრატემ თქვა: „მე ის ვიცი, რომ — არაფერი ვიცი“-ო.

მე კი გავკადნიერდები და ვიტყვი: ერთი წვეთი ვიცი-მეთქი...
მაგრამ... რა ეშველებათ „ბევრის მცოდნეებს?!..“

ვით, — ანარეკლი — ჯეშმარიტების...

ვინ —
ვერ იშორებს,
ვინ —
იშორებს
საწუთროს ვალებს?..
ვინ —
ნეტარების,
ვინ კი —
ზიზღის
ჟრუანტელს გვგვრიან...
ტყვიით დაჭრილი
რჩება, თურმე,
უფრორე, —
მალე,
ენით დაჭრილი —
არ რჩებაო...
ან, — რჩება —
გვიან...

20. VI. 2013

მკვდარი და ცოცხალი...

ვისთვის — ავდარი,
ვისთვის — დარია?..
ნარი — ვისთვის და...
ვისთვის — მოცხარი?..
ცოცხალი, —
ზოგი,
უკვე, მკვდარია...
და... ზოგი, მკვდარი —
ისევ,
ცოცხალი...

16. V. 2014

სიყვარული...

სიყვარულს —
ხშირად,
ვერ ვხსნით:
რა არი?..
გულს
ცეცხლის ალი
თუ, არ ესია...
ხან, —
სიყვარული —
მართლა,
ბრმა არი,
უსიყვარულოდ —
უარესია...

1. XII. 2015

სიბრძნე და... დანაშაული...

ცხოვრება, —
ზოგჯერ,
როგორც — ნაბადს,
ისე მოგვთელავს,
ზოგჯერ კი —
სიბრძნით,
ხოხბის ლაპრიც
ვიქცევით მართვედ...
დანაშაული არის —
ხოლმე,
ზოგჯერ,
მოთმენა...
მაგრამ...
ზოგჯერ კი —
მოუთმენის
მოთმენა გვმართებს...

28. VIII. 2015

სარკე...

ვინ —
ვინ ვართ?..
ცნობა —
ხან,
არ გვაქვს
სრული...
და... ყველას —
სულის
არ ვუხსნით
სარკმელს...
სასმელი არის:
ზნეობის,
სულის
და... ხასიათის —
ნამდვილი,
სარკე...

5. II. 2016

ხომ, — გვახსოვს?..

ხომ გვახსოვს —
ყველას,
ის დრო, —
იყო:
ვინ — სად?!..
ვის — ნებით?!..
რის — ცოდნის სიბრძნით?!..
რის — სიწრფელით?!..
ანდა, — რის ღვაწლით?!..
არც — გულის სანთლით,
არც — სინდისით,
არცრა — ღირსებით,
სკამებზე ისხდნენ:
ვიღაცანი, —

მხოლოდ,
ვიღაცით...

25. I. 2016

არ მჯერა...

მგელიც კი,
მგელი —
ტყუილად ხომ
აროდეს ყმუის?..
მგელზე კი არა,
მე —
ღვთის შვილზე
ვამბობ, —
ამჯერად...
სამჯერ რომ იტყვი
ჩემო კარგო,
ქათქათა ტყუილს,
სიმართლე რომ თქვა, —
მერე,
ასჯერ,
რა ვქნა, —
არ მჯერა...

27. V. 2013

ვინცა ვართ, იცის — ხალხმაც და ღმერთმაც...

სახელი —
დახლი არაა
ბაზრის,
ფასი რომ —
ასწი-დასწიონ
ერთხმად...
რაც უნდა —
მიგრიხ-მოგრიხონ
აზრი,
ვინცა ვართ,
იცის —
ხალხმაც და
ღმერთმაც...

7. II. 2016

ფარაონი ზეცის...

ამოსხივდა მიწით, —
რა, მზეს ვხედავ,
რა, მზეს!..
ციურ ტახტზე, —
მეფის,
მზეფარაონს —
რამსესს...*
6. II. 2016

*უძველესი ეგვიპტის ფარაონი, — ეგვიპტის მითოლოგიით, მზის ღმერთის რა-ს შობილი. რამსეს მეორის (1350-1205) დროს მაშინდელმა ეგვიპტემ განსაკუთრებულ ძლიერებასა და განვითარება-აღმშენებლობა-აღორძინებას მიაღწია. ამ დამსახურებისთვის მას თაყვანს სცემდნენ, როგორც — ღვთაებას...

მისნური განცდით...

ლამის, —
კოსმოსსაც
გავცდი...
და... დრო ვსვი —
ფიქრის
ყანწით...
თეთრად,
მისნური
განცდით,
რამდენი ღამე
დავწვი...

1. II . 2016

მე და... პლატონი...

ღმერთი რომ
არ ვარ,
მე —
ზოგი რამ,
მიტომ შემშლია...
და...
პლატონმა კი —
ასე ბრძანა:
„ღმერთი ჩემშია...“

20. I. 2016

მზეს რომ ვუყურებ...

ფიქრნიც მზეობენ
ფიქნრი, როცა —
ფიქრებს
ერთვიან...
მზეს რომ
ვუყურებ,
მეც მგონია,
რომ... მზე —
ღმერთია...*

18. I. 2016

*„ღმერთი, რომელსაც მე თვალით ვუყურებ, ეს — მზეა“... — ნაპოლეონ ბონაპარტი

სურათი — ზამთრის ზღაპარი...

ხომ, — ზღაპარია?! —
თუმცა, —
სივრცეს
სხივი
ალავს მზის,
თეთრ მარმარილოდ
ჩანან მთები,
ველიც —
ალაზნის...

27. I. 2016

სირცხვილი...

სული —
სირცხვილის ნიჭმა
დაქარგა,
ჩვენც —
მზედ,
სირცხვილის ნიჭით
ვივსებით...
სირცხვილის ნიჭი
ვინაც
დაკარგა,
არ აქვს იოტიც
იმას —
ღირსების...

27. I. 2016

რატომ?!..

ვერ-რით გავიგე,
ვერ ავხსენ —
ერთი:
ბრმებსაც კი,
როცა —
თვალებს ვუხელთო,
თუ, —
მთელი რწმენით,
მართლა, გწამს —
ღმერთი,
რატომ იქცევი —
მაშინ,
უღმერთოდ?!..

24. I. 2016

წავიდა, — ნაშავდა ალი-ბაბა!!!..

წარსულის ექო...

წავიდა!!! —
დაგვიტოვა:
სულის
წვა — მინდად...
მისი ცოდვის კალო
როდი არი ბამბა?!..
წავიდა —
მოუსავლეთში!!!..
წავიდაა!!!..
წაქვავდააა!!!..
წაშავდაااااა!!! —
ქართველი ალი-ბაბა!!!..

31. I. 2016

აი, — კაცობაც, ქართველობაც ის იყო, — მაშინ...

წარსულ ტკივილებს
ფიქრი —
ისევ,
ხანდახან,
მაშლის,
დროც მკურნალია, —
ამ ტკივილებს,
თანდათან,
რომ შლის...
აი, —
კაცობაც,
ქართველობაც
ის იყო, —
მაშინ,
ვინც, —
ქორწილიდან,
ნეფე —
მეფურ,
წავიდა
ომში...

9. II. 2016

თუ...

იმერული ესკიზი

დეიხსომე, —
ვეღარ —
იფრენ,
მოგემსხვრევა
ფრთა... მაშინ,
თუ, —
დეიწყე:
ამფერ...
იმფერ —
სიყვარულის
თამაში...

29. I. 2016

უომარი — ომი...

ომია:
დასწრებ-გასწრებაზე, —
არ ახსოვთ
ღმერთი,
სინდის-ნამუსმა —
ვისთვის,
ლამის,
დაკარგა არსი...
კუთვნილი ასის,
ვის —
ეკრძალვის, —
მიიღოს
ერთიც...
და... ვინ კი —
ცდილობს:
ნაცვლად ერთის,
მიიღოს —
ასი...

31. X. 2012

მაგრამ... აღარ არის დრო...

ხარ — მძევალი
კლოუნთა,
თავი
როგორ არიდო?!..
სიყვარულსაც
დრო უნდა,
მაგრამ...
აღარ არის დრო...

ღმერთი ხომ არ ხარ?!..

სხვათა შეცდომას
ხან, — რომ აყრი
სიცილს და
ხარხარს,
ხან კი —
ფაფხურობ
და... საქვეყნოდ:
წყრები...
არჯალობ...
სულ, —
სხვებს რომ კიცხავ,
მითხარ, —
თვითონ,
ღმერთი ხომ არ ხარ?!..
ერთხელ გვაჩვენე,
რომ...
შენ თავსაც —
კიცხავ, —
საჯაროდ...
3. I. 2016

სჯობს...

დასაბამიდან, —
ბევრ კითხვაზე,
დრო
პასუხს ითხოვს,
პასუხი არის —
ორი სახის:
ოქრო,
ან — ჩალა...
სჯობს, — აზრი —
მცოდნეს
და გამოცდილ
ათ ბრძენსა ჰკითხო,
ვიდრე —
ათას ბუს,
ათას კაჭკაჭს,
ათას ყვანჩალას...

18. I. 2016

შეგონება...

აზრით აჯობა
ბრძენმა —
ლოდის
და... რკინის მკვნეტელს,
შენც, თუ, დაგჭირდა,
აზრით,
ჭკუით,
მთებიც გადასჭერ,
ცერცვს რომ შეაყრი —
ერთხელ,
ბრმა და
უგონო კედელს,
რაღა აზრი აქვს:
შეაყარო —
თუნდაც,
ათასჯერ?!..

26. XI. 2015

ოროფი...

კაცობრიობის —
უფრო,
მეტი,
ვინ თქვას იარა?! —
ცოცხლად:
სწვავს,
მარხავს,
ანადგურებს —
ადამის გვარ-ტომს...
ერთსახებათა შეწყვილება —
ხალხის კი არა,
ავადმყოფების, —
ზე-გიჟების
ცოფია, — მარტო...

P. შ.
სიცოცხლის სიბრძნის:
იგი არის —
სიკვდილიც,
რეტიც...
უფრო სირცხვილიც —
პლანეტაზე,
რა არის
მეტი?!..

15. II. 2016

არ შემხვედრია...

ვინ —
ტახტი დაკარგა,
ვინ — განძი,
ან — ქარგა,
ვინ — ფული,
ვინ — სახლი,
ვინ — ჩივის
ჭიოტებს...
სინდისი,
ღირსება
ვინაც კი
დაკარგა,
არ შემხვედრია, —
ვინმე,
რომ —
ჩიოდეს...

14. II. 2016

დავფიქრდეთ, — უწინ...

რა გვიან ვხვდებით —
ზოგჯერ,
ეშმას დროშებს, რომ
ვაქნევთ,
დავანთებთ ცეცხლს და...
მერე —
გვიკვირს, —
რად გვახრჩობ,
ბოლო?!..
სიტყვას რომ ვიწყებთ
და...
ან, ვიწყებთ —
რაიმე
საქმეს,
დავფიქრდეთ უწინ,
რა ექნება
შედეგი, —
ბოლოს?..

4. I. 2016

სასაცილოა — ასჯერ, — უფრო...

სასაცილოა? —
ვარსკვლავთ თვალში
ბრმათა ცილობა?..
და... ღობემძვრალა,
როცა —
ცაში,
არწივს ედრების...
სასაცილოზე —
ასჯერ,
უფრო,
სასაცილოა:
უღირსი —
სკამით,
წოდებებით...
და... ჩინ-მედლებით...

19. XI. 2015

პროკლე...

მოკეისრობდა
რომის, —
ჩვენი —
თავნება პროკლე,
დევებთან სურდა —
ომი,
ჭიანჭველებმა —
მოკლეს...

12. II. 2016

საქართველოს სახელით...

კი, — სადიდებელს
ვაგუგუნებთ —
ყანწით, თუ, —
ჭიქით,
მამულის გვმართებს
მარადისი პატივის
მინდი...
ვითარ — უფალი,
უნდა გვწამდეს,
რომ...
მამულს იქით —
ყველა ქართველი
საქართველოს
სახელით
მიდის...

15. XI. 2015

ბრძენი და... ჩერჩეტი...

ბრძენიაო, —
ბრძანა
დიდმა საბამ, —
მკერდში, ვისაც
უფლის გული
უცემს...
ბრძენი —
სიტყვას
ენის წვერზე
აბამს...
ჩერჩეტს სიტყვა
გაუსხლტება, —
უცებ...

12. I. 2016

ნოსტალგია...

სკილა-ქარიბდა
შეგვხვდა ბევრი
და... შეგვხვდა ტროაც, —
რამდენს აღმოხდა
ბევრჯერ:
ვაიც,
უიც და
ოიც...
უძნელესი და...
უსასრულო
აღმართი როა,
რამდენს აქვს, — უკვე:
ნოსტალგია —
წარსული დროის?!..

25. XII. 2015

ბრმა სიყვარული...

სიყვარულს, —
მზისებრს,
სხივჩაუმქრალს
გამოსცდის დროცა,
ბრმა სიყვარული —
მართლაც, —
ბრმაა,
ბრიყვიც და
შტერიც...
ბრმა სიყვარული
თვალს გაახელს, —
ჭეშმარიტს, როცა —
ტკივილი რჩება მისგან, —
მხოლოდ,
ქარიც და
მტვერიც...

P. S.
ბრმა სიყვარულის
წაეკიდა —
ვისაც კი
ალი,
დაწყევლა მისი:
გაჩენის დღეც,
ალიც და
კვალიც...

26. XII. 2015

ათასჯერ უფრო...

ცხრაწყაროს* ვფიცავ,
ვფიცავ —
ცხუმარს,**
ცხუმალდს*** და
ცხრუკვეთს,****
ვამბობ,
ვღაღადებ —
ბედი ჩვენზე
როდესაც ქუფრობს...
ღმერთო, ამყოფე, —
ყველა —
ჩემზე,
ათასჯერ უკეთ,
მაშინ ვიქნები —
ბედნიერი, —
ათასჯერ უფრო...

4. I. 2016

*სოფელი ზესტაფონის რაიონში;
**სოფელი მესტიის რაიონში;
***სოფელი წყალტუბოს ტერიტორიაზე;
****სოფელი ჭიათურის ტერიტორიაზე.

კომპიუტერი...

რაც ვთქვა,
არაა — ქარი...
არც —
ავარდნილი
მტვერი, —
კომპიუტერი არი:
მეგობარიც და...
მტერიც...

3. I. 2016

სიმღერა, — ანუ — ბუდიდან, ლამის, ამოხტეს გული...

მიყვარს...
ცეცხლს, როცა —
იკიდებს
ტაში...

და... ყველა უჯრედს
თილისმა უვლის...
სიმღერა, როცა —
ჯადოსნურ
ფრთას შლის,
ბუდიდან, ლამის,
ამოხტეს გული...

10. I. 2016

ტკივილი...

სიცოცხლე გახლავთ —
სიხარულის...
და...
გულის წვისაც...
რა ცოტას ნახავთ —
ქვეყნის ტკივილს
გულთან
მიტანილს?!..
ბედნიერების
განცდით სუფევს,
არ სტკივა ვისაც,
ტკივილი არის —
უწინარეს,
აზრის ტიტანი...

10. I. 2016

ვერლიბრისტები და... ვერლიბრი...*

ვით, —
უხერხული
პოზა, —
ლექსში,
მუსიკის ჯიბრით,
ვერლიბრი არის:
პროზა, —
პოეზიაში —
ლიბრი...

4. I. 2016

*ოთარ მამფორიას აზრით, ურითმო არის — პროზა; ურითმოდ, პოეზია არ .არსებობს...“ — გურამ დოჩანაშვილი, გაზ. „კვირის პალიტრა“ N1 (1118).

ღმერთები, როდესაც — მიწაზეც დადიან...

როდესაც —
სიკეთეს მთავაზობს
სხვა ზვარი,
როდესაც —
მზით მავსებს:
მჭვუნვარეს,
დარდიანს,
ჩემს განცდას, —
საზეოს,
არა აქვს
საზღვარი,
ღმერთები, როდესაც —
მიწაზეც
დადიან...

17. I. 2016

ვცდილობ...

მეხმარებიან, —
სულის მზე და...
სხივი რომ
ვხატო,
ხან, —
ტიციანი,
რაფაელი,
ხანაც —
კარნახი...
ადამიანო, —
უფლის სახევ
და... უფლის
ხატო,
ვცდილობ, —
დაგხატო:
უფლის რწმენით,
ნებით,
კარნახით...

3. I. 2016

ნეტავ...

არისო, —
უფრო,
მეტი ცხოველი,
რადგან —
ცხოვრებამ
საქმით აჩვენა...
ნეტავ, —
მეც შევქმნა
სვეტიცხოველი
და...
მერე,
თუნდაც,
მომჭრან მარჯვენა...

23. XI. 2015

საკაცობრიო კითხვა, ანუ — თუ, ეშველება?!..

ვაგლახ! —
გვიანო,
თითების კვნეტავ,

რამდენი —
ურვას
ველარ-რით
ილევს?!..
თუ, —
ეშველება,
რაიმე,
ნეტავ?!..
ბრმა სიყვარულით
დაღუპულ
შვილებს?!..

8. II. 2016

მოდერნიზმი...

კარგია, როცა —
ყავლგასული
დროულად
ისხვლის,
დრო აქვს ბევრ რამეს:
ყვავილობის...
ჭკნობის...
გახმობის...
მწამს მოდერნიზმი:
ზესიახლის,
ზესვლის და
წინსვლის...
და...
არასოდეს,
არასოდეს —
კარგის დამხობის...

27. XI. 2015

ლექსი...

ვქსოვ ლექსებს,
ვითარ —
მგოსანი მოგვი,
დრო —
მზელექსების
ლაჟვარდს
არ დახევს...
სტრიქონი, როცა —
ჟრუანტელს მომგვრის,
მაშინ, —
სიკვდილის
ვლეწავ —
არტახებს...

16. I. 2016

ჭეშმარიტებაც, სიყვარულიც — თვითონ, ღმერთია...

ბევრი სიმაგრე
აღებულა —
უცებ,
უალყოდ,
უძლეველია:
სიბრძნეც,
ძალაც, —
ერთად,
ერთიან...
ჭეშმარიტებას
და სიყვარულს
შმაგი —
უარყოფს,
ჭეშმარიტებაც,
სიყვარულიც —
თვითონ,
ღმერთია...

28. XII. 2015

არ მიყვარს, არ მწამს...

ფულის ტრფიალით
არ გავხსნი —
წამწამს, —
სანამ
მზეს ვხედავ:
აზრით,
გონებით...
არსით და...
არ-რით,
არ მიყვარს,
არ მწამს:
ფულის ყმები და
ფულის
მონები...

21. XII. 2015

სანამ...

ერთიმეორის —
ხმას
სანამ ვისმენთ,
და... სანამ —
გულის
თვალებით ვხედავთ,
ერთიმეორით
ავსხივდეთ, — ისე,
რომ...
ბეწვის ხიდზეც
გავიდეთ მხნედა...

20. XII. 2015

მინი...

მიყვარს, როცა —
ფიქრს და
განცდას
გულში ვაბამ,
სხეული რომ

მიმოხანძროს
თვალთა მზემო...
მინი —
მიყვარს, —
მანდილოსნის
ჩითის კაბა, —
ცოტაოდენ,
ასხლეტილი —
მუხლებს ზემოთ...

1. VIII. 2015

ბედნიერება...

ცხოვრება უნდა —
ზოგს,
რომ იყოს
მეწველი ფური,
„ბედნიერებავ“ —
გარს,
ამ, ნატრულ
სიტყვას უვლიან...
ბედნიერებად
არ მწამს:
ტახტი,
განძი და
ფული...
ბედნიერება —
სიკეთე და
სიყვარულია...

3. XII. 2015

რეპრესია...

სადაც — კვერთხი:
ხეპრესია
მეფობს —
რისხვა,
რეპრესია...
როცა ჰყვავის
რეპრესია,
არის —
დარდიც,
დეპრესიაც...

24. I. 2016

პოლიტკაჯაფსანდალი...

სად, —
ათებს...
ოცებს...
ხოლო, აქ-ასებს:
პოლიტღრუტუნებს, —
პოლიტტლიკინებს...
ზოგი —
ჭყვიტინებს...
ზოგი —
ქასქასებს, —
რომ მოუსმინოთ —
პოლიტტიკინებს...

1. IX. 2015

უფალი, ზოგჯერ, რატომ გვიწყრება?..

უფალი, ზოგჯერ,
რატომ გვიწყრება? —
სულიდან —
ღამეს
უნდა ვფერთხავდეთ...
საკუთარ თავთან
ომით იწყება:
სიდიადე და...
ზესვლა, —
ღმერთამდე...

9. X. 2014

არ მანთებს? — არ მწამს... არ მიყვარს...

ვითარცა — უფალს,
ლექსის მზეს
ვლოცავ...
მაგრამ... რა გითხრათ:
ლექს-წმახზე,*
ლექსზე?..
არ მანთებს...
არ მწამს...
არ მიყვარს...
როცა —
ბჟუტურს და
ბოდვას
არქმევენ —
ლექსებს...

6. X. 2015

*უძმარო მწნილი — საბა

თავისუფლება, — ჯვარცმული...

სიცოცხლე
ფიქრმა გაცვითა, —
არ გვტოვებს:
დარდი,
არც — მუმლი...
დავისადგურეთ —
ჯვარცმითა:
თავისუფლება, —
ჯვარცმული...

26. V. 2014

ყველაზე უწინ...

წუთისოფელი
ხან, —
ვარდია,
ხან, —
ქუშობს,
ქუფრობს,
ხან, —
რაც გვეგონა —
კენტიაო,
ყოფილა
ლუწი...
თუ, —
შენდობაა,
ჩემ მტერსაც კი
შევუნდობ, —
უფრო,
მე —
ქვეყნის მტერი
მანთებს რისხვით, —
ყველაზე
უწინ...

3. I. 2012

დრო დაუდგება იმასაც — გლოვის...

დრო დაუდგება
იმასაც —
გლოვის,
აქვს, ვისაც
ნება:
სიმართლის
შერყვნის...
ვინც —
დანაშაულს:
პირის, თუ,
ხროვის,
დანაშაულად შერაცხავს —
ქვეყნის...

24. X. 2015

დროის ქარავანმა...

ჩავყურებ —
დროის ჯამ-ქოთანს, —
მინიმუმს,
ხან კი —
მაქსს...
როცა მინდოდა,
არ მქონდა,
როცა არ მინდა,
მაქვს...
10. X. 2015

სანამ?!..

ერთურთს
წინ ვუფენთ
ნარ-ეკალს,
უკუნი —
სანამ
ავზვინოთ?!..
ქვეყანა —
წარყვნა,
წალეკა:
ირგვლივ, —
ბანკმა და
კაზინომ...

25. X. 2015

ჰემინგუეის, ჰიუგოს, მარკესს...

მადლობა —
ჩვენი ღირსების
მარკებს:
სიქველის,
სიბრძნის
ლაჟვარდს და
სარკეს, —
ჰემინგუეის,
ჰიუგოს,
მარკესს —
მარადიული
მადლით რომ
მარგეს...

12. II. 2016

გასწი! — პლანეტის ხარო!..

გასწი —
პლანეტის ხარო!..
დროს
ქედს არ ვუხრი, —
მკივანს,
სხვისი სიკეთით —
ვხარობ...
სხვისი ტკივილი —
მტკივა...

21. XII. 2015

ანბოთეოზი — ანარანობის...

დროა, როდესაც —
წყრომის,
ფული —
ზეობს და
უფლობს...
ურწმუნო —

პაპზე, —
რომის,
კათოლიკეა, —
უფრო...

27. I. 2016

ებოლა...

ხალხს რომ:
ეძრწუნა,
ეთრგუნა,
ეწვა,
ეხრუკა,
ებოლა,
სადღაც, — ჯუნგლებში —
აფრიკის,
დათესეს ჭირი, —
ებოლა...

13. II. 2016

მაინც...

დარდო, —
გულზე რომ
წამები,
ხმლის პირზე
ვივლი —
ერთ ამდენს...
ტანჯვით,
ჯვარცმით და
წამებით,
მაინც, —
მივაღწევ
ღმერთამდე...

1. XII. 2015

თავისუფლება...

ადამიანებს —
აქვთ თავისი
მორალის სარჩო,
თუმც, —
მის შესახებ,
არის, მუდამ —
აზრი, —
ცხოველი...
თავისუფლებას აქვს:
საზღვარი,
მიჯნაც და
ჩარჩოც...
ვინც გადაცდება,
ხდება —
უკვე,
ნაღდი,
ცხოველი...

3. XII. 2015

რაღა ფასი აქვს?!..

მწამს:
სიყვარული
უელვარეს ბინას
იკეთებს,
სიძულვილი კი —
მურვან ყრუ და...
შაჰ-აბასია...
ცოცხალს მიართვი
ერთი ვარდი,
თუ, გსურს —
სიკეთე,
მკვდარს რომ
აჩუქო —
ერთი კონაც,
რაღა ფასი აქვს?!..

21. IX. 2004

ჩემი ნატვრა და... არჩევანი...

სანამ ისმოდეს —
ამ მიწაზე:
ვაი,
ვალალი?!..
და... რომ მომცემდნენ
უფლის სწორნი
ნატრულ არჩევანს,
მე ავირჩევდი:
წრფელის,
სათნოს,
ნაღდის,
ალალის —
გაღიმებული
და...
სხივსავსე
სახე მაჩვენა...

7. XII. 2015

ყველაფერი იცის — ხალხმა, — ყველაფერი ახსოვს...

ვინაც —
გესლი
თაფლით ხანხლა, —
ბრმა-ყრუდ თვლიდა
ხალხსო,
ყველაფერი იცის —
ხალხმა, —
ყველაფერი ახსოვს...

24. VII. 2015

ჭეშმარიტი ქართველი...

შემოგვერია —
ავი სისხლიც, —
მისხიდან
მისხით,
უკან ვატანდით —
თუმცა,
ავ ზნეს
შემოჭრილ ქართვე...
აუგს —
აროდეს,
არ ჩაიდენს
ქართული
სისხლი,
სირცხვილს —
სიკვდილი ურჩევნია
ჭეშმარიტ ქართველს...

30. XII. 2015

როცა — აღარ ვიქნები...

პოეზია მზე არის,
განა —
ანცი ფრთებია?..
პოეზია სიბრძნეა,
განა —
ფუჭი ფიქრები?..
მერე —
გაჰკვირდებიან...
მერე —
განცვიფრდებიან...
მერე —
გაოცდებიან,
როცა —
აღარ ვიქნები...

30. IX. 2015

დიადი...

სულიც და
გულიც
აზრს უნდა მისცე,
დაპურდე, —
უფლის სიბრძნის
ხმიადით...
ვერ-რით შეწვდები
დიადის სივრცეს,
შენ,
თუ,
არა ხარ, —
თვითონ,
დიადი...

3. X. 2015

არ ცდება — სულელი...

ხან, —
მტყუან-მართალი
დადიან მხარდამხარ,
რა —
ვისი ხვედრია?..
ვინ —
რისი მსურველი?..
სად —
ბრძენთა ბრძენიც კი
ცდებაო, —
ხანდახან,
იქ, თურმე,
აროდეს,
არ ცდება
სულელი...

10. IX. 2002

ყოველთვის მართალი...

ხომ შეგხვედრიათ, —
ზნე-პირით, —
მყროლეთი,
კუნძეთი,
ჯირკეთი,
ქვა და
ქვის —
ნათალი?
ის,
ვისაც,
ჯორულად,
მხოლოდ და...
ყოველთვის,
თავისი ბზე-თავი
ჰგონია —
მართალი...

25. II. 2014

ციცაბო მწვერვალის დაპყრობა მიტაცებს...

სურვილის
ნაღვერდალს
ვეღარ ვტევ
მიწაზე, —
ზეცისკენ მივყავარ —
ოცნების
ამ ლივლივს...
ციცაბო
მწვერვალის
დაპყრობა მიტაცებს,
თორემ, —

ძირს,
მინდორზე,
კუნტრუშით გავივლი...

1. VIII. 2010

ოქრო და ვერცხლი...

ბრძენთაგან თქმულა:
სიკეთედ...
ლოცვად...
ლარსხივად...
განა —
ოკროდ და
ბოკროდ?..
ხამს დაფიქრება:
თქმა?..
არ თქმა?..
როცა —
თქმა — ვერცხლია და...
დუმილი — ოქრო...

12. IV. 2015

თუ, — გამაკვირვებს...

მიყვარს:
სილაღე,
სიალალე,
სხივი —
მზის მინდვრის...
როცა —
გულიდან ამოსულის,
ნათლით ვივსები...
ცის ქვეშ,
ვერავინ გამაკვირვებს —
ტახტით,
სიმდიდრით,
თუ, —
გამაკვირვებს —
ვინმე,
როსმე,
მხოლოდ —
ღირსებით...

19. XII. 2012

ქვეყანა — წალმა, წავა ვერაგზით...

დრო არის,
როცა —
ეგზომ... ვერაგი, —
სიტყვით — მეტით და
საქმით — ნაკლებით,
ქვეყანა —
წალმა,
წავა ვერაგზით, —
პოლიტიკანი
ლაწირაკებით...

7. XI. 2007

წადილი...

მთა — ატყორცნილი
სინდისის დროშით, —
მწვერვალთ
მწვერვალიც,
ვინ თქვა —
უბაროდ?!..
უსამანო და...
უსაზღვრო დროში,
არ მსურს:
თოვლივით დავდნე, —
უბრალოდ...

16. X. 2015

და... სიამაყეს მიყვარს — ღირსების...

მე მიყვარს —
სიბრძნის
და სიკეთის:
მზეც და ყანებიც,
სიყვარულით ხომ:
ვდიადდები, —
მზისებრ ვივსები...
უბრალოებას,
თავმდაბლობას
ვეთაყვანები,
მაგრამ...
სივრცე და...
სიამაყეც მიყვარს —
ღირსების...

24. VI. 2015

პოეტი და მკითხველი...

მკითხველი არის:
უფლის დარიც,
ბნედით ალურიც...
პოეტი უნდა
იყოს —
ბრძენი, —
გულის მზით მთხზველი...
ხოა, — მკითხველიც —
ბრძენიცა და
გენიალურიც?..
ას პოეტს, —
ზოგჯერ,
მირჩევნია —
ერთი მკითხველი...
6. I. 2016



რეზო (ემელიანე) ადამია

წმიდა ნინო

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ N4, 2015.

* * *

ცამოწმენდილსა და მშვიდ ამინდში, საღამოობით, მაყვლოვანის ახლო, მწვანებალახოვან ადგილას, ბჟოლის ხის მორისგან გამოთლილ პატარა სკამზე, წყნარად იჯდა მისტიკოსი წმიდანი და დიდხანს უმზერდა ახლად ამოსულ, ვერცხლისფრად ანთებულ სავსე მთვარეს. „ბევრი საერთო თვისებაა ამ პლანეტასა და მაცხოვარს შორის“, იტყოდა თავისთვის წმიდანი. ციური სხეულებიდან ზოგი ასე გამოიყურება — მთვარე, კოსმოსური გაწონასწორებულობა და ზეციური დუმილ-სიმშვიდე. ფერით? ვერცხლი, შორეული მზის სხივნაზავი. განუყრელად თვალის მიმპყრობი. შეყვარებულთა სანდო მესაიდუმლე და მრავალთა აღსარების მიმღები. ხანგრძლივი ზეციური სიწყნარე და იდუმალი ფიქრთსავსეობა. მასთან დიდი ხნით ყოფნა, საამო ოცნების და აზრთა მოხმობის წყაროა. ნებისმიერთა შინაგანად ამმაღლებელი და სიყვარულის მესაიდუმლე. არნახული სულიერი უშუალობა და სიკეთე. უტყუარი კაცთ იმედი მომავლისა. პლანეტისეული სრულფარდოვანი სიბრძნე. ყოველთა მიმტევებელი. მოუსვენარ ვარსკვლავთა დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი. უსასრულო ცის მშვენება და გარემოს უცნაური თვისებების დამტევია მთვარე. დინჯი, პატიოსანი (მუდამ-ჟამს დედამიწის ჩრდილი აწვალებს ხოლმე)...

ერთ-ერთი კოსმოსური აზრმშვენება — წმიდანისეულ ღამეში შევიხედოთ და ზეციურად გავნათლდეთ.

— მოდით, ახლოს დაბრძანდით, ჩემო დებო, მორჩილო ფეოდოსია, სიდონია, მესანთლე და ხატ-ჯვართ მიმხედვარო, მზრუნველო თეოდორა, ჩვენდა ამაგდარო ანასტასია.

ნებისმიერ დროსა თუ ამინდში, ორი ან სამი მონაზონი, ნინოს გვერდით განუყრელად იმყოფებოდა ღვთიური სიყვარულით და წმიდანური თანადგომით. ხიფათის და განწირვის შიშის არავითარი გრძნობა მათ არ გააჩნდათ.

— ამ ღამეს კი უნდა მოგიყვეთ შორეულ სამყაროზე და პლანეტებზე. წინათ გესაუბრეთ, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ხილული და უხილავი კოსმოსური სინამდვილე. ეს უდიდესი თემა ხომ უსასრულოა და დიდხანს შეიძლება მოყოლა. ამჟამად შევეხებით ციურ სხეულებს. რაც მისწავლია კაბადოკიაში, საბერძნეთსა და იერუსალიმში, იმის მიხედვით კი არა, უფრო პირადი უტყუარი ხედვა-ინტუიციიდან ირეალურის მაგვარ სურათებს შევეხები. ჩვენ, ნებისმიერნი, უცხო და უშორესი შეგრძნებითაც ვცხოვრობთ, ვაზროვნებთ, ვმოღვაწეობთ და ვქმნით ქრისტიანულ სიახლეებს, რადგანაც ყოველივე ის ღვთიური ჭეშმარიტების ულევი ფონდებიდან გვეგზავნება. შედარებისათვის გადავხედოთ უძველეს საუკუნეებს: ფასდაუდებელი და დიდია კოლხი მედეას ზეპიროვნების საკაცობრიო სასწაულებრივი ფენომენი. პლანეტის მოვლენა, ქალი, საწყისია ქრისტეს გამოცხადება-საოცრებისა. ღვთიური ნიჭით შეპყრობილი მკურნალი მედეა ყველა იმ უძველეს არაჰუმანურ, სიბრძნეს მოკლებულ რელიგიებზე მაღლა მდგომია და მისი მიუწვდომელი გენიის მზემ მაცხოვრის სივრცეებშიც შეაღწია. ღმერთი თუ დაუსაბამოა, მისი შვილი მედეაც მარადიული გახლდათ. უთუოდ უსასრულობის მიუვალ ფენომენს ატარებდა უფლისმიერი კოლხი მედეა, მკურნალი სიმბოლო პლანეტისა... აი, ჩემო დებო, ვის ჰქონდა ვარსკვლავეთური ყოვლისმომცველი უსაზღვრო დროის ინტუიცია წინასწარმეტყველური...

მე თუ გამაჩნია მკურნალობის შესაძლებლობანი, იმ ღვთიურ უკეთილშობილეს, საოცარ გადმოცემას ვემადლიერები. თქვენც, სულნო! მომავალში გებოძებათ ადამიანთა სასარგებლო, უფრო მეტი და მეტი სამკურნალო საქმემცოდნეობა, რომელიც ღვთის უშრეტი ენერგიიდან მოგეწოდებათ...

ხშირად ვამბობთ, რომ ყოველ ჩვენგანში არის ღმერთი, რომელიც სრულ სიმართლეს წარმოადგენს. მაშინ თამამად უნდა ვაღიაროთ, რომ უკლებლივ დიდსა და პატარა ციურ სხეულებში იმყოფება უფლის კეთილი ძალა და მისი უხილავი საოცრება — ბრძნული სივრცე, რომელიც მოქსოვილია ურთიერთშემაერთებელი ჰაეროვანი ცოცხალი კაპილარებით. სხვადასხვა ფერადოვნების მზეების და დიდი თუ პატარა ვარსკვლავების განუსაზღვრელი ენერგია თავს იყრის მიუწვდომელ უფალთან და იქმნება ღვთიური აზრით უძღეველობა, სიდიადე შეუდარებელი. ამდაგვარი გახლავთ ღმერთი, ჩემო სულებო! ასე რომ, მაცხოვარშია სამყაროსეული სივრცე და მრავალგანზომილებიანი, დაუმორჩილებელი და მოუთოკავი დრო. როგორც მო-

გახსენეთ, პლანეტებში უფლის შინაგანი სახეა გონმიუწვდომელი. ხოლო ადამიანებში მაცხოვრის უხილავი, ღვთიური უმთავრესი ელემენტებია და უცნაური ზეციური გენის ბადეა გაბმული. იესო ქრისტეში, ადამიანებთან ერთობლიობის ზეთვისებრივი ურთულესი წრე ქმნის უზარმაზარი რწმენის და იმედის ხატს, ღვთიური სიახლოვე სრულია და ხელშეუხებელი. საბოლოოდ, ყოველი მხრიდან მივდივართ სამების ბრწყინვალე სახემდე. „ღმერთი, ძე ღვთისა და სულიწმიდა“ — ეს ხომ, ჩემო სულით და რწმენით ახლობლებო, საკვირველი ღვთიური მთლიანობაა.

ტანმორჩილმა მონაზონმა თეოდორამ დაარღვია წმიდანის ყურადღება:

— როგორ! უსასრულო სამყარო ღმერთია, წმიდა დედაო?! — თქვა მრავლისმეტყველად ჩაფიქრებულმა.

— დიახ! უფალია, თავისი განუსაზღვრელობით, უკიდეგანობით და ზღვარდაუდებელი აზროვნების დინამიკით. — დაამატა წმიდა ნინომ. — ამქვეყნად დიადურობის, ამაღლებულობის და სამყაროს მოკრძალებული მოდელია ადამიანის გონება და სული უწყვეტი ღვთიური ქსოვილებით. გული მფეთქავი, თავისი ასტროლოგიურ-ასტრონომიული და კოსმოსური მგრძნობიარობის უძლიერესი კვანძია, სულისა და საფშვინველის ოქროს საბადო. დღეის, ანუ ამ ღამის საუბარი აქ შევწყვიტოთ, რადგანაც შუაღამის ლოცვის დროც მოსულა. დებო, ეშმაკი უხსოვარი დროიდან გვებრძვის. მასთან დაპირისპირებაზე შემდეგ მოგიყვებით.

ყოვლისმხილველი წმიდანი სამყაროსეულ განზომილებას საოცარი სიზუსტით და უშეცდომოდ საზღვრავდა, რა თქმა უნდა მზის, მთვარისა და ციური სხეულების გავლენით, ზეციური შუქმცურავი ნიუანსების შეგრძნებით...

* * *

სხვადასხვა დროს, წმიდანი, მაყვლის ეკალშემოვლებული ძუ ირმის ტყავისგან შეკერილი ქალამნებით დაიარებოდა და ლოცვითი ცრემლებით ალბობდა იბერიის მადლიანი მიწის ნიადაგს. ხშირად ესიზმრებოდა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ოქროსფერი კოლხურ-იბერიულ-ბერძნული ხატები, თეთრი ანგელოზები წამითაც არ ტოვებდნენ წმიდანს...

ჟამმოწეულ დროს კეთილი, იმედ მასწავლებელი წარმართ მთიელებს ესტუმრა, ღვთიური სიწმინდით დაუახლოვდა, კეთილმყოფლურად მოეფერა და ვაჟკაცური შემართების ხალხს მათთვის გასაგები ენით ამცნო — იესო ქრისტეს დიადური მოსვლით ყოველთა გადამრჩენელი ღვთიური მისია. მერმე მდუმარე ლოცვებით, ფეხშიშველი, ბილიკ-ბილიკ, ბუნებამდიდარი კახეთ-კუხეთისკენ წამობრძანდა და გზად ქვეყნის და ყოველთა გადარჩენის სიმბოლო ნატერფალები დატოვა. პლანეტათა შორის სივრცისფერი ცრემლებით და წმიდა სისხლით წინწკლავდა სავსე მთვარის შუქით მოვერცხლილ, მთიელთა მითოსურ მიწას...

კვირა საღამოს, მორიგი ლოცვის შემდეგ, მზრუნველი დედა წმიდანი და რამდენიმე სულიერი და სენაკის დალაგებას რომ მორჩნენ, მცირე ტრაპეზს მიუსხდნენ. სუფრა შედარებით ღარიბი ჰქონდათ, მაგრამ სულიერი სავსეობა და ზეციურ-ჰაეროვანი განწყობილება სუფევდა. წმიდანის სენაკის ეზოს სიახლოვეს, გზის პირას მამაკაცებისა და ქალბატონის დაბალი ხმით საუბარი მოისმა. ჭიშკართან შეჩერდნენ, მოკლე დუმილის შემდეგ:

— მთავარი ქრისტიანი მლოცველი, კეთილი დედა ქვეყნისა, თავისას თუ ბრძანდება! — ბოხი ხმით, ხანში შესულმა, ოდნავ წელში მოხრილმა მამაკაცმა იკითხა.

— გახლავთ, სტუმარო და ამჟამად ტრაპეზობს; შეგიძლიათ ეზოში შემობრძანდეთ, მცირე დროით დაელოდეთ. ძაღლებისა ნუ გეშინიათ, კეთილ სტუმრებს არ ერჩიან. — ერთ-ერთი დის სანდომიანმა ხმამ ოდნავ განათებული სენაკის, წმიდა სივრცის სიშორიდან გამოაღწია.

გვიანი შემოდგომა იდგა. სოფლის მშრომელებს ღვთის წყალობით მოსავალი დაებინავებინათ. საქვეყნოდ განთქმული ბოდბელი მევენახე-მეღვინეები წმიდა მასწავლებელთან მოსაკითხით მოსულიყვნენ: ჩამუქებული იდუმალი ფერის წითელი ღვინით სავსე კოკით, რამდენიმე შეკვრა ნიგვზიანი ჩურჩხელით, სამი ქოთანი ქარვისფერი თაფლით, კოხტად დაჭრილი რამდენიმე ოთხკუთხედად ჩამოსხმული სანთლით, თონიდან ახლად ამოყრილი, მოვარდისფრო-ჩალისფერი დედას პურებით, რომლებიც ირგვლივ მაცოცხლებელ, საამო სურნელს აფრქვევდნენ (ერთ-ერთი მონაზონთაგანი, ღვთის წყალობაა ყველაფერიო, ზევით მზირალი ხშირად იმეორებდა). წითელლოყება, პირმომღიმარი ცელქი ბროწეულებით, მწიფე კომშითა და მომწვანო-მოყვითალო ცრემლგამკვრივებული ლეღვით სავსე გოდორი ორ მამაკაცს ძლივს მოჰქონდა. თეთრწვერებიან, ტანხმელი აღნაგობის ბერიკაცს კი ორივე ხელით მოწიწებით ეკავა სპილენძის ძველისძველი სათლი. მდინარის წყალში, ვერცხლისფერი თევზები, დროგამოშვებით შემკრთალნი ირხეოდნენ. სიკეთისა და მეგობრობის სტუმრებმა, სენაკის შესასვლელ კართან, შემოდგომის ცინცხალი ნობათი მორიდებით რომ დააღაგეს, ჩვენგან წმიდანს მიართვითო, ყველამ ერთხმად წარმოთქვა. მერმე — ძალიან გვერიდებაო, მაგრამ დიდი მნიშვნელობის და მაღალი რწმენის სათხოვარი უნდა გაგიმხილოთ, ჩვენო ქრისტესმიერო დებოო.

— ბრძანეთ, კეთილო და პატიოსანო სტუმრებო, — იყო უკუთხოვნისმიერი თანხმობა.

— გვინდა, წმიდა ნინომ, სოფლის მარნები, ღვინით სავსე უძველესი ქვევრები გვიკურთხოს და წლევანდელი მოსავალიც დაგვილოცოს.

წმიდანის დროული პასუხი და დარიგება გახლდათ:

— თქვენგან ხელმარჯვნივ, ცაცხვის ხეზე მიმაგრებულ დაფაზე, ქოთანში მოთავსებული კირის ნატეხით საკუთარი სიმბოლური ნიშნები მიანიშნეთ. უახლოეს ლოცვებში მოგიხსენიებთ და აუცილებელ კურთხევასაც მოვიღებ. შემდგომში, ახლობლებო და ჩემებო, საგანგებო წირვასაც ჩავატარებ ქვეყნისა და ღვთის სოფლის მასულდგმულებლად.

მერმე წმიდა ასულმა უღრმესი მადლიერებითა და სულისმიერი ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა ბოდბელი გულმდიდარი კეთილი მეღვინეები.

— როგორი ზეადამიანური და ჯანსაღი სულ-გონების ხალხია, — წმიდანმა დაბალი ხმით წარმოთქვა, — ყოველ მათგანს, გამოცდილი ოსტატ-იუველირის, ფილიგრანულად ნაკეთი ვერცხლის ციმციმა ჯვრები გადასცა, იბერიულ-კოლხური წარწერით. სამ-სამი,

წმ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

თავისივე სურვილითა და სიყვარულით ჩამოქნილი, ნაკურთხი, მოზრდილი თაფლის სანთლები ხელში დააკავებინა. მათგან საკვირველად მორცხვი და მორიდებული ქალბატონი გაოგნებული, სიტყვით აღუწერელი სიყვარულით მისჩერებოდა ღვთიური ნათლით მოსილ წმიდანს. აცვიფრებდა ქვეყნის მასწავლებლის ჯერ არნახული, კეთილშობილური, არამიწიერი მოძრაობანი და ზეციური სიმშვიდე-უბრალოება.

შემდგომ, ღირსი დედა ნინომ სტუმრები დედაშვილურად დაარიგა და რელიგიური უახლესი წეს-კანონები გააცნო:

— უპირველესად, თქვენს მარნებში მუდმივად ჯვარი პატიოსანი უნდა ესვენოს, უმჯობესია, ხისა ან ოქროსფერი გამომწვარი თიხისა. ხოლო საწნახელ-საქვევროში, რამდენჯერაც რომ შებრძანდებით, ყოველთვის პირჯვარი უნდა გადაისახოთ. შემდეგი თხოვნაა — საწნახელის შუაწელში, ზედა საწყისთან, სანთლები დაამაგრეთ, აანთეთ და ისევ ღრმა სულიერებით, კეთილი გულითა და საღი გონებით ილოცეთ. თითო ანთებული სანთელი კი ხელთ გეკავოთ, სანამ მინელდება. ლოცვისას გზადაგზა მრავალჯერ მოიხსენიეთ ქვეყნიერების და ჩვენი მხსნელი იესო ქრისტე მაცხოვარი.

თეთრწვერიანმა მამაკაცმა მორიდებით დასძინა:

— ჩვენთვის ნაწამები და უზომო ტანჯვაგამოვლილი.

წმიდა ნინოს სულიერი მშვენებით ეამა გულით მართალი სიტყვები და მშობლიური მზერა შეაგება. ამ ხალხისგან სამაგალითო, მარად უღალატო ქრისტიანი ერი იშვებაო, გაიფიქრა წმიდანმა. წამიერი შეყოვნების შემდეგ დინჯად გააგრძელა უკვე უახლოესი და კეთილი სტუმრების დარიგება:

— ილოცეთ დედა ღვთისმშობელზე, ანგელოზებზე, მოციქულებზე და წმიდანებზე.

— თქვენზეც ვილოცებთ, ჩვენო მხსნელო დედაო და მიუწვდომლობის მასწავლებელო, — იმავე მამაკაცის ბუნებრივი და გულითადი ხმა გაისმა.

დედა მასწავლებელს ფარულად გაეღიმა:

— მადლობელი ვარ, მშრომელო და ღრმად მორწმუნე ქრისტიანნო. დიახ, ჩემებო! არ დაგავიწყდეთ მადლსავსე მოსავლის მოპოვებისა და მრავალმხრივი დოვლათის შექმნის თანამდგომ ანგელოზზე აუცილებლად რომ უნდა ილოცოთ. შემდგომ ყოვლის მხილველი, ყველგან მყოფი და შემძლე უფალი უთუოდ მოიღებს თქვენზე და უკლებლივ ყველაზე ღვთიურ მოწყალებას, რითაც ურყევი ჯანმრთელობა, სიმშვიდე და ულევი ბარაქა შეგემატებათ.

ამდაგვარი გახლდათ იბერიის განმანათლებლის მზით სავსე მისტიკური მევენახე-მეღვინე სტუმრების მშობლიური გამასპინძლება, სიკეთე და სიყვარულშემკული დარიგება, სწავლება და უმორჩილესი თხოვნა.

* * *

ბარაქიანი შემოდგომის, ჯერ არნახული, დარიანი საღამო იდგა. დასავლეთის სუფთა ნიავი ქროდა — გრილი. ერთმორწმუნე ორივე მხარე გახალისებული და ღვთივბედნიერი ჩანდა. უმთვარო, წყნარი და აურაცხელი ვარსკვლავით მოჭედილ ცაზე სიყვარულის ვარდისფერ ჩალისფერთმიანმა ანგელოზებმა გადაიფრინეს. მათგან ულამაზესი ხაზფორმებით შეფერადდა ზესამყარო და წმიდანის ირგვლივ საამო ღვთიური სურნელი ჩამოდინდა. — დაილოცოს შენი სახელი, უფალო! — ნეტარხსენებით ილოცვიდა კეთილ წმიდანი.

სამეფო ეზოში და აქა-იქ სანთლის შუქმბჟუტავ მეფის სასახლეში სიჩუმე იდგა მრავლისმეტყველი. მთავარი საქარავნო გზიდან ცხენოსანთა ღამეული ლაშქრის ხმა მოისმოდა. მხედრები, ალბათ, მეომრულ წვრთნას გადიოდნენ ან მეფის დავალებით, ქვეყნის შორეულ რეგიონებში, წესრიგის დასამყარებლად მიეშურებოდნენ.

მცხეთის სამხრეთ-დასავლეთის მთის უდაბური მწვერვალიდან განმარტოებული მიკიოტის, ბნელეთის მფლობელის გადმოძახილი — მხოლოდ ჩემია ეს ღამე! — ტყისა და ქვეყნის საიდუმლოებებით შემოსილ გარემოს უსაზღვრო სითამამით ეუფლებოდა. იშვიათი ფრინველის ხმა ძილს უფრთხობდა მოჩვენებითი შიშისგან ეჭვებაყრილთ, უმეტესობას კი — პირიქით.

— მიკიოტები იდუმალი თვისებების ფრინველებია, ღამის გუშაგ-მაცნედ გაჩენილნი. ამ მხარეში, უფრორე თხოთის მთაზე ბუდობენ, მერმე ირგვლივ ბატონდებიან და ქვეყნის შეუცნობელ ფუნქციებს ასრულებენ; ვარსკვლავთმრიცხველი უერთგულესი მსტოვრებია უტყუარი. — დაბალ, ბზისფეხებიან ჯორკოზე იჯდა დედა სიდონია და ამ ფრინველთა შესახებ საინტერესოდ ყვებოდა.

— თხოთის მთა ჩვენი სარწმუნოებრივი უბრწყინვალესი სიმბოლოა, იქიდან დაიწყო იბერია-კოლხეთის მეორედ დაბადება და ჭეშმარიტი სიკეთითა და სიყვარულით მოსილი ისტორია, — ბრძანა წმიდანმა, — ზებუნებამ, უფლის მითითებით, წმიდათაწმიდა ფუნ-

ქციები დააბედა. ნეტარი სახელია, დებო. იმ ღვთიურ მთაზე, მომავალში, ჯვარი უნდა აღვმართოთ ყოვლისშემძლე, მაღალი მუხის ხისა. — წმიდანმა ამაღლებული განწყობილებით მოუწოდა დებს. ამ დროს რამოდენიმე კეთილშობილი სულიერი და წმიდანის გვერდით იდგა თვალებგაბრწყინებული.

— მე მიყვარს ეს ღამეული უცნაური ფრინველი. საკვირველია, კატები ვერ იტანენ მათ ხმას და ღიზიანდებიან; ისინი ხომ ორბუნებოვნები არიან, — თქვა ერთ-ერთმა ფეხზე მდგომმა დამ.

— ზოგიერთი ადამიანისა არ იყოს, არა, დაო?! ძაღლები?! ეს ცხოველები, მგონი, შინაგანად ჩვენზე არანაკლებ აღიქვამენ ბუნებაში მნიშვნელოვანს. უმალ ფხიზლდებიან და ირგვლივ ყველაფერს გაფაციცებით ათვალიერებენ. მერმე, მშვიდობაშეტყობინებულნი კვლავ უბრუნდებიან მთვლემარებას, ან ღამეული ყეფით შეძახილს, — დედა სიდონიამ ისევ გააგრძელა მისტიკურ თემაზე მოყოლა, — მხოლოდ უფალმა უწყის, რას გვაფრთხილებენ ეს ჩაბნელებულ შორეთში მიმალულნი, ირგვლივ მხოლოდ ხმით რომ მჟღავნდებიან. რა თქმა უნდა, შემთხვევითი მოვლენა არაა მათი გადმოძახილი. შესაძლოა, ბნელის უხილაობიდან მომდინარე ღამის მრავლისმეტყველი მამხილებელი ხმაა, სტიქიურად გაჟღერებული. მე ღამე ვარ, გარემოსა და სივრცის ბატონ-პატრონი და მიფრთხილდით. ყოველი დიდი ძალა ხომ გაფრთხილებაა, მოვედი, დავმკვიდრდი და ყოვლისმომცველი სიძლიერეა ჩემში. ქვეყანას დავეუფლე და მიიღეთ აუცილებელი თადარიგი. ღამეა, ღამე! ღამეა ბნელეთის მეფე მფლობელი უსაზღვროების ძალით. აი, ამდაგვარ ხმას და აზრს ავრცელებს ლამაზბუმბულშემოხვეული მიკიოტი, ღამის შუქჩამჯდარი და შორეთის სიფხიზლის მატარებელი.

— მიკიოტი!.. თხოთის მთა... ღამე, ჯვარი და იბერია!.. — წყვეტა-წყვეტით დამარცვლა ეს უსაზღვრო ტევადობის სიტყვები წმიდანმა და შორს, ვარსკვლავმრავალ სივრცეს გახედა..

— დაო სიდონია! მთავარზე, ამ თვითმყოფადი ფრინველის ხმის საიდუმლოებაზე მოგვიყევი! — ერთ-ერთმა დედამ შესთხოვა.

— ხო! დიახ. ადამიანების დამოკიდებულება და ურთიერთობა ღამეულ იდუმალ ხმასთან, არა? — ურთულესია: მგრძნობიარე ადამიანი ბნელის ძახილის გაგონებაზე, ღამის დემონური სიმძიმეშებოჭილი, ორად იხლიჩება — მისეული, თავისუფალი, არაპირადი, რომელიც მის მეობას ბოლომდე არ ეკუთვნის, შორეული, მიუწვდომელი, უფრო ამაღლებული და წმიდანებთან ურთიერთობაშექმნილი. მეორე, მაცდური და ეშმაკისეული, უსაზღვრო შიშის ბილიკზე მავალი, ანუ არაადამიანური. ამ ჩამძირავ ცას და შეუვალ ღამეს შერწყმული ფრინველის ხმაზე ყოველი პიროვნება განყენებულ ფიქრთა მორევში ეხვევა, ცნობისმოყვარეობა და შორს, უცნაური მრავალაზრიანი ფანტაზიის ხედვის კარი ეხსნება. პირველყოფილი ველური ინსტინქტები ამოტივტივდება და ჟრუანტელის მომგვრელობით განიმსჭვალება, შემდგომ განწირულივით შიშშეპყრობილი თვალებით ღამეს გახედავს, მაგრამ ბოლომდის ვერ ჩახედავს... ასე რომ, დებო! ღამე ძაღლების და მიკიოტის საბრძანებელია, ეშმაკისაც... ამიტომაცაა მთელი ღამე მიკიოტები და ძაღლები რომ ფრთხილობენ: დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი და დიდება — ყველას ერთხმად აღმოხდა.

— დებო ჩემნო! შეცვალეთ სასაუბრო თემა — ითხოვა წმიდანმა.

— დაო! დაო სიდონია! — გულუბრყვილოდ წარმოთქვა დედა ეფემიამ, — მეამაყება, როგორი ნიჭიერი და ღირსეული მოწაფე ხარ ჩვენი წმიდანისა.

— უფრო მეტის გამხელის უნარი აქვს დედა სიდონიას, — ღიმილით თქვა წმიდა ნინომ და ჯვარს მოეფერა...

მერმე ჩაფიქრდა დედა სიდონია და უცებ მიმართა წმიდანს:

— დაო და დედაო, ერთი აზრი ხშირად მაწუხებს და ვერ გამიბედავს თქვენთვის გამჟღავნება.

— თქვი, დედაო, ჩვენ ხომ არაფერს ვუმალავთ ერთმანეთს.

— ჩვენი ღრმა რწმენით, ლოცვებით, მარხვებით, აღსარება-ზიარებით, შეწირვა-მონანიებით, ცრემლით, განუზომელი სიკეთე-სიყვარულით და ამდაგვარი გულწრფელი სამსახურით მომავალში თუ შევძლებთ დაპყრობითი და გამანადგურებელი ომების, ან კაცთა კვლის, ღალატის, ურთიერთსიძულვილის, ბოღმის, შურის, ურწმუნოების შეჩერებას?

— ყოველივე მაგის აღმოფხვრა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ჯვარცმა არ მოხდებოდა — მაცხოვრის უსასტიკესი წამება. ეს ხომ მეორე უმძიმესი შეუცნობადი სამყაროა საშინელი, რომელიც ეშმაკის უძილო ღამეებიდან და მოუსვენრობითი ბოროტებიდან მოდის. ადამიანთა გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, ზნეობრივი სინთეზია უფლის და ეშმაკის. ამიტომ, მომავალშიც ბევრი უსიამოვნება ელის ქრისტიანულ სამყაროს, საერთოდ მთელ პლანეტას. სინანულის მომგვრელია, მაგრამ რწმენის, სიკეთის და სიყვარულის მხრიდან სხვა ძალა არ არსებობს. იესო ქრისტე მხოლოდ რომაელებმა და იუდეველებმა კი არ აცვეს ჯვარს, არამედ მთელმა კაცობრიობამ, უნებისყოფო ადამისა და ევას ნამრავლმა, რაც მარადიული ტრაგედიაა ორივე მხარისთვის. უფლის შეწევნით და სასწაულებრივი მოვლენით, მომავალში დიდი ომები შეიძლება შიშმა შეაჩეროს, ის კი მრავალმხრივია: ლაჩრული, ავადმყოფური, უბედურების მოლოდინის, პიროვნული სისუსტიდან გამომდინარე და კიდევ რამდენიმეს დასახელება შეიძლება. მე უფრო ბრძნული შეგონების იმედი მაქვს, რომელიც იძულებითი იქნება ახალი ცივილიზაციის ზეძალების მეოხებით. ჩემი თხოვნაა, ამ უმძიმეს საკითხზე კითხვებს ნუ დამისვამთ. ყველაზე უფრო აუცილებელი და იმედისმომცემია, ადამიანებმა ღვთიური ზნეობით დაიცვან ათი მცნება. მაშინ კაცობრიობა ამ უმძიმეს ჭირ-ვარამს მოიხსნის თავიდან და იმ საშინელ მესამე ძალას გამარჯვებული დაუპირისპირდება...

დუმდა მაცხოვარი მარადის შორეული ფიქრებით... დიდ დროს დუმილში ატარებდა წმინდა ნინო. სიბრძნის უძირო აზრები, კეთილისმყოფლური იდუმალება და წარმოსახვები დუმილის საუფლოში იყრიან თავს, აქედან იწყება ეკლესიური, საერთო და ღვთიური ყოველთა პროგრესული მოღვაწეობის განვრცობა. ყოველგვარი წმიდა სიყვარულიც ხომ ფუძეიდუმალი დუმილის განძია.

იბერია-კოლხეთი ურჯულო მტერმა მრავალჯერ

ააწიოკა და ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ისპობოდა ქრისტიანული კულტურა: მაცხოვარი დუმდა მიუწვდომლად. იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, წამებული დუმდა მხსნელი უსაზღვრო მიმტევებლურ-ზნეობრივი შთაგონებით. დუმილი ზეფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი შეუცნობელი უჯრედი ხომ არ არის, გზაშესაყარი უზომო ჭეშმარიტების ღვთივ გონებრივი განსჯისა...

ახალი, უძლიერესი უფლისეული სიყვარულის რელიგიური სამყარო ბურჯად დარაჯობდა იბერიის უძველეს დედაქალაქს.

ღამე, სივრცე და დამოუკიდებელი დრო უსასრულობის სიბრძნის თვალით იხედება..

* * *

ცის იდუმალი სხივ-ხაზებით მოქსოვილ ბოდბეს, მაყვლოვანში, შორეული წარმართობიდან მოყოლებული, სხვადასხვა ჯიშის და ფერმოხატულობის გაბოროტებული გველები ბუდობდნენ თურმე. წმიდა ნინოს მოსვლის შემდგომ, უვნებლად დაიფანტნენ და შორიშორ, მიწის ხვეულ-ხვრელებში დაბუნაგდნენო.

უდაბნოში ფეხშიშველად, მაცხოვარივით მოსიარულე წმიდანმა კახეთ-კუხეთის მიწა მონათლა, აკურთხა და ყოველთა მკვიდრად შეისისხლხორცა...

ქადაგების ჟამს თუ ღვთის რჯულის სწავლებისას, მრევლის წინაშე, არასოდეს წამოსცდებოდა წარმართთა, მზისთაყვანისმცემელთა ანუ ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმართ დამამცირებელი სიტყვა. წმიდანი, ზეადამიანური დამრიგებლური შემართებით, მხოლოდ ნათელყოფდა უფლის ჭეშმარიტ სწავლებას. იმდენად ღრმად წარმოაჩენდა ქრისტიანულ სიკეთეს, სიყვარულს, ათი მცნების უფლისმიერ არსს, რომ ნებისმიერი შეგნებული მრევლი თავად ავლებდა პარალელს წარსულის უმძიმეს რელიგიასა და კაცობრიობის მხსნელ, ახალ სარწმუნოებას შორის. ამგვარად, ხალხში წმიდანისადმი ნდობა, დაჯერება და რწმენის დადებითი ფსიქოლოგიური შედეგი განუსაღვრელი იყო...

მშობლიურ პლანეტაზე ადამიანის მეორედ ჭეშმარიტი დაბადება უსაზღვრო დროით დაემკვიდრებინა უფალს — იესო ქრისტეს...

* * *

კოლხეთ-იბერიის ქრისტიანულ სივრცეში სასწაულებრივი და ზეგონებრივ-ზნეობრივი წესთა კანონთვისებებიც განავრცო ღვთივკურთხეულმა ნინომ. მაცხოვრის და ღვთისმშობლის კეთილმა მოციქულთ სწორმა, სასტიკი წარმართების იდეოლოგიით სასიკვდილოდ დასჯილ-შეწირულთა, ტანჯულ-უმანკო ბავშვთა, სრულიად უდანაშაულო ქალწულთა თუ ყმაწვილთა წამებული სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი დააწესა.

მოციქულთა სწორმა რომ იხილა, გულქვა და ფანატიკოსი წარმართები, ცოფმორეული შეწითლებული თვალებით და პირიდან დორბლის დენით, უმანკო თავწაჭრილი ყრმების სისხლით მიწას რომ რწყავდნენ, ვაიმე დედაო, იკივლა, მერმე იქვე ბებერ ლეღვის ხეს მიეყრდნო, ჩაიკეცა და გონი წაუვიდა.

მათ სიახლოვეს შავთეთრებით მოხატულმა გველმა ტლანქად გაისრიალა... მეორე დღეს თვალი რომ გაახილა, თავის სენაკში იწვა მისუსტებული. უახლოესი დები მშვიდად, კეთილ მკურნალად უვლიდნენ და მშობლიურად ეფერებოდნენ. მერმე წამოდგა, ხორბლის მარცვლებმოყრილ გასუსულ მიწაზე დაიჩოქა და მუხლთა სისხლდენამდე ასე იდგა. სულიერი სიმწრისგან კიდურების ბწკენა, ფრჩხილებით ამოკაწვრა და ჩქმეტა დაიწყო.

„ნუ იზამ, დედაო ნინო!“ — დებმა ვერ გაუბედეს ამის თქმა.

წმიდანი გულის სიღრმიდან კვნესოდა, მწარედ მოსთქვამდა გაურკვეველი სიტყვებით, გოდებდა, ზოგჯერ ამოიკივლებდა კიდეც.

„დაწყნარდი, დედაო!“ — კვლავაც ვერ შეჰკადრეს და ერთმანეთს შეხედეს.

წმიდანი ისევ ტიროდა, მხურვალედ ლოცულობდა და ცხარე ცრემლებს ღვრიდა. მერმე გაურკვევლად მიწას წაეპოტინა და ფხაჭნიდა...

— ფრჩხილებს გაუფრთხილდით, დედაო, — უთხრეს შეწუხებულმა დებმა...

წმიდანს შავლურჯამდე მიახლოებული ფერის თავსაბურავი და გრძელი კაბა ეცვა. შემდეგ ვაზის ჯვარი აღიღო ზევით და „მიშველე, უფალოს“ იძახდა.

— დამეხმარე, დედაო ღვთისავ! ანგელოზებო, ვიხსნათ ეს ხალხი, გადავარჩინოთ ტანჯული ქვეყანა! — ისევ მუხლმოდრეკილი მოთქვამდა. უცებ ხმა მოესმა შორეული სივრცის და სამყაროს მფლობელის:

— შენთან თანადგომით მოვლენ, კეთილო მოციქულთსწორო. წარმართებისგან წამებულ ხალხს შვებას და სიყვარულს მიაგებ, მოაქცევ ქრისტიანობაზე და წმიდა სამების ურყევი სიმტკიცე ჩასახლდება მათში. საამოა, რომ შეგნებულ, მოსიყვარულე, კეთილ ერთან გაქვს მოღვაწეობა და სულიერი შესისხლხორცება. — მერმე ღვთის ხმა და ნათელი შუქი სივრცეს შეერწყა...

* * *

ჩვენს უახლოეს მოძღვარსა და ქტიტორ რატის მამა გარდაცვლიაო, მორიდებით მოახსენეს წმიდა ნინოს.

— სამწუხაროა! ბექა, სულიერი ძმა, ქვეყნისათვის ძლიერი ბურჯი და დიდად საიმედო აზნაური გახლდათ, — დინჯად თქვა სევდამორეულმა ნინომ, — საიდან არის გამოსვენება? — იკითხა და მოწყენილმა პირჯვარი გადაიწერა.

— მცხეთიდან, უძველეს სოფელ ქინჯარეთიდან, წმიდაო. ხვალ, სამშაბათს ყოფილა გამოსვენების დღე დანიშნული, — მოახსენა სიდონიამ.

— მამა რატი თუ ჩამოვიდა კოლხეთიდან?

— ხვალ ჩამოდის, დედაო, რამდენიმე ლაზ და ასურელ მოძღვართან ერთად.

ელვასავით მალემსრბოლი გაუგზავნიათ გარდაცვალების დღესვე, ციხე-ქალაქ შორაპანთან ახლოს, მთაგორიან სოფელში, ბაზილიკა აუგიათ ლაზ ქტიტორთ, სპილოსძვლისფერი თლილი ქვებით. ეკლესიის კურთხევის ჩასატარებლად ჩვენგან მიიწვიეს ეპისკოპოსი და რამდენიმე მოძღვარი.

— დიახ, დაო ეფემია, მე გავგზავნე თავად.

— მაშინ, ნუ გადავდებთ, ჩემო დებო და ხვალ დილისათვის მოამზადეთ ჩარდახიანი ურემი თეთრი ხარებით.

წმ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

დედებმა ურთიერთს გადაულაპარაკეს:

— საფურცლელმა აზნაურმა რომ მოგვართვა?!

— დიახ! — დედა სიდონიამ დაადასტურა, — სპარსული ხალიჩა გადახსენით ურმიდან და ძველისძველი კოლხურით შეცვალეთ. ერთი დოქი წითელი ღვინო, ოქროსფერი ქოთნით თაფლი და ნაკურთხი წყალი ვერცხლის სახელურიანი ჭურჭლით ურემზე დღესვე შედგით. თქვენთვის საგზალი არ დაგავიწყდეთ, დედებო. ეზოს ძაღლიც წამოიყვანეთ ხნიერი — უძილარა. მეფის ლეგიონის უფროსს სთხოვეთ, ორი ცხენოსანი მეომარი გამოგვაყოლოს, მეტი არაა საჭირო.

თადარიგმოსტუმრებული წმიდანი ოდნავ გახუნებული შავი კაბით და მუქი შინდისფერი მანდილ-საბურავით თავის სენაკში შებრძანდა..

ნათელდარიანი დღე იწურებოდა, უთვალავვარსკვლავიანმა ღამემ თამამად შემოაბიჯა მცხეთაში. გზიდან, სოფელ ურბნისისაკენ მიმავალი ურმების გულლაღი ჭრიალი ისმოდა, ჩირაღდნები უკვე აენთოთ. მოშორებით, ქალაქის განაპირას, გაურკვეველი ცხენთ თქარათქური მგლის არტერიის ძარღვივით შეიჭრა ღამეულ მიუწვდომლობაში... ჩამუქებული გოროზი მთებიდან მიკიოტის პირველმა შეძახილმა უხილავ მოლურჯო ტეხილ ხაზად გადაუარა გარემოს.

ჩვენი სულთ განმანათლებელი და ქრისტეს რწმენის შემომტან-დამფუძნებელი მობრძანდებაო, ხმა დაირხა და საამო ტალღად გადაუნიავა დიდ აზნაურთა კარ-მიდამოს.

წარმართობის მამხილებელი ნივთები უმალ გადამალეს. ქრისტიანული წეს-განწყობილებით შეიმოსა იქ მყოფი მგლოვიარე საზოგადოება. ყოველ კუთხეში თუ მაგიდაზე სანთლები აენთოთ. ხის ჯვარი კი, გარდაცვალების დღიდანვე, მიცვალებულის თავთან აღემართათ.

დროთა უმოკლეს სვლაში სულ სხვა ფერის სიმშვიდე და იმედი ეფინებოდა იქაურობას. ამავდროს, მიცვალებულსაც სიკვდილის დამთრგუნველი ზეციური მადლი მოუვიდა საკვირველი... გასვენების პროცესიის წარმართული რიტუალის მისტერიები, ჩვეულებები და სრულიად არაქრისტიანული მიჩუმათებული ქმედებები მაინც შენიშნა წმიდა მართალ მასწავლებელმა, მაგრამ საზრიანი სულგრძელობიდან გამომდინარე, საგანგებოდ არ გაუმახვილებია ყურადღება, მხოლოდ სიტყვიერ გამოთქმებზე იძლეოდა მოკრძალებულ შენიშვნებს. ოჯახის უფროსი შვილი — ჭირისუფალი მამა რატიც თავს იკავებდა, რადგან ძლიერ ეცოდებოდა მგლოვიარე დედა და ოჯახის წევრები.

მიცვალებულის მარცხენა მხარეს იდგა მამა, რატი-მოძღვარი, იგი ქტიტორობასთან ერთად მღვდლობას ეზიარა, შემდგომ დამსახურებისდა მეოხებით არქიმანდრიტის ხარისხში აეყვანა მცხეთის მთავარეპისკოპოსს. შვენოდა მამა რატის ეკლესიური შემოსვა. თავდახრილი, ღრმად მგლოვიარედ მისჩერებოდა ერთ ადგილს; წმიდა ნინოს გამოცხადებით აღელვებულმა ლოცვით დაუჩოქა დედა პატრონს, წმიდანს, მერმე სათაყვანებელ ვაზის ჯვარს ემთხვია მოკრძალებით და უღრმესი მადლიერების ჩუმი გამოთქმებით ფუსფუსებდა...

სიკვდილი დაეჯაბნა აქ გარდაცვალებას და წმიდანის მადლმოსილ ნათებას...

წარმართულ-ქრისტიანული იდეოლოგიის ელემენტების გარდა, ყველგან და ყველაფერში სუფევდა საუკუნეებისგან მოწოდებული არქაულ-მხატვრული სახე, რომელშიაც გამჯდარი უძველესი ტრადიციების მყარი ფსიქოლოგია გარემოზე ძლიერ მოქმედებდა. მესამე, უხილავი ფესვებძლიერი სულიერი დინება ორგანულად ერწყმოდა ქრისტიანულ უახლეს კულტურას, რის შედეგად ვითარდებოდა სრულიად ახალი ცივილიზაცია. ყოველივე ეს ხომ ათასწლეულის გადმონაშთია ამ უძველეს ხალხში, ფიქრობდა ბრძენი და თავშეკავებული ნინო, ფრთხილად შეჰქონდა ქრისტიანული ჭეშმარიტების წეს-ჩვეულებები და მორჩილი ხალხიც უსიტყვოდ მიჰყვებოდა. გლოვის მძიმე და მძაფრი განწყობილება ყოველივეს ნთქავდა და წამიერად სიცოცხლესაც აფერმკრთალებდა, მაგრამ ირგვლივ უხილავი ქრისტიანული სიცოცხლის, სიყვარულის და სიკეთის ცეცხლი მაინც ენთო ჩაუქრობელი...

ნაწილობრივ ჩაბინდულ წარმართული და სრული სიკვდილდამთრგუნველი ქრისტიანული გლოვა ერთვოდა ურთიერთს. აი, რა შეძლო წარმართებისგან განდიდებულმა შემზარავი სიკვდილის მოსვლამ. დღევანდელ დღეს ხომ, მის წინაშე, თითქმის ყველა დაბნეული და უძლური იყო, დიდი ქრისტიანი წმიდანის, სულიერი დების და მამა რატის გარდა.

იმ უცნაურსა და განსხვავებულ გლოვის დღეს, მზე და ჯვარი ურთიერთს მიუახლოვდა და ქრისტიანულმა ჭეშმარიტებამ, მიმტევებლობამ საგრძნობლად წინ წამოიწია.

მარადიულმა ჰუმანიზმის გზამ იმძლავრა და სივრცეში დიდი ასტრონომიული წრე შემოიხაზა მზისფერი.

მოძღვარისა და უნიჭიერესი ქტიტორის, რატის მამა ერთ დროს სახელგანთქმული სარდალი და მეომარი ბრძანებულა, ბევრი ჰქონია სამკვდრო-სასიცოცხ-

ლო ბრძოლა გადამთიელ გველისთავება დამპყრობლებთან, თავისი უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი ლაშქრით, რომელიც წმიდა მეფე მირიანის მხედრიონის ერთ-ერთი უძლიერესი ფრთა გახლდათ. ხოლო მისდა სადიდებლად, იბერიელთა რელიგიათდაპირისპირებაში არასოდეს მიუღია მონაწილეობა. ღვთიური ჭეშმარიტება ძალათა ჩაურევლადაც გაიმარჯვებსო, იტყოდა თურმე წმიდა ზნეობისა და მეომრული სულის მქონე დიდი აზნაური...

უმოკლეს დროში ახალგაზრდა ბრძენმა ნინომ წარმართული, უძველესისგან სრულიად განსხვავებული ჭირისუფლობა შემოიტანა იბერიაში, რომელიც უხილავ სიკეთის ფიქრთ ზღვაში ეტეოდა...

ურმის წინ, დაბალ რბილ სკამზე დედა იჯდა, ეფემია, მარჯვენა ხელში ბროწეულის შინდისფერი წკნელი ეკავა და ნელი რხევით ეხებოდა ბუნებით ერთგული ხარის ზურგს. კეთილი დედა კი ვაზის ჯვარ-გულმკერდს მისვენებული, სევდიანი ფიქრებით წინ მიუყვებოდა მცირე ჯგუფს...

მარჯვნივ და მარცხნივ, გზის განაპირას, ხალხი ლოცვით ეგებებოდა წმიდანს გახარებულ-აღტაცებული.

წმიდა ნინო მოდიოდა დინჯად, თავისი უახლოესი დედებით და მხლებლებით. ხოლო ყოველთა მცნება — იმედი უხილავ მხედრად წინ მითოხარიკობდა უშიშრად.

გზა შორი, მცხეთიდან სოფლამდე, ფეხით იარა ფიქრებმრავალმა წმიდანმა. ხარ-ურემი უკან მოჰყვებოდა ნელი სვლით. თეთრი, ზღაპრული, მშვიდი ლეგენდასავით ხარები ება ზეცისკენ რქებამოზრდილი. უკან, სახელურზე მიბმული ჭრელი, ბომბორა ბებერი ძაღლი — უძილარა თავისუფლად მიაბიჯებდა, ფხიზლად წინ მზირალი.

ქვეყნის მწყემსი ნინო, ვაზის ჯვრით ხელში რომ მიუახლოვდა გასვენების პროცესიას, მორჩილად თავი დახარა. მანდილ-საბურავიდან მოკრძალებით იკითხებოდა, წმიდანის ხატად გარდასახული, ოდნავ გაფითრებული სახე.

— ქრისტე აღსდგა! — წარმოთქვა წმიდანმა.

— ჭეშმარიტად აღსდგა! — ნიავივით გადაუარა ხალხის ერთობლივმა ხმამ.

ოჯახის ჭირისუფალი, მთავარი მომთქმელი, შავებში ჩაცმული ქალბატონი გონს მოეგო და მადლობელი ვართ თანაგრძნობით მობრძანებისთვის, სულთდედოფალო, თავშეკავებული ქვითინით წმიდანს შეაგება დიდედამ გლოვის ცრემლი და ურვა...

— ჩვენი კეთილი პატრონი და იმედი ბექა მოგვიკვდა, წმიდა დედაო!..

— არა, ჩემებო, ის მხოლოდ გარდაიცვალა, — დამარცვლით და მოფერებითი კილოთი წარმოთქვა წმიდანმა და ყველას გასაგონად მოკლედ განმარტა ღვთიური მნიშვნელობა გარდაცვალებისა. გაოგნებული ქალ-კაცი მდუმარედ უსმენდა, — მთავარია, ჩემო ძმებო და დებო, გარდაცვლილი კეთილშობილი გმირ-მეომარი მონათლული ქრისტიანია, თანაც სიცოცხლეშივე მრავალ ყრმათა ნათლია გახლდათ.

ხალხის შვებით ამოსუნთქვა მოჰყვა ამ მკურნავ საუბარს.

— მერმე, — გააგრძელა წმიდანმა, — პატივდებულს უკვე თავისი კუთვნილი საპატიო სამყოფელი გააჩნია ცათა სასუფეველში.

— დიდება უფალს! — გამოკვეთილი სიტყვები გაისმა ხალხისა.

უზომოდ მგლოვიარე მონადირე ძაღლი მიცვალებულის თავთან, ხბოს ტყავდაგებულ იატაკზე იწვა; რამდენიმე წლის წინ, ფაზისელ დიდებულს ჩამოუყვანია საჩუქრად, კოლხურ ხოხობსა და გარეულ იხვებზე დაგეშილ-გაწვრთნილი, წაბლისფერი, ულამაზესი აგებულების, სხარტი — ძველლაზური ჯიშის, ერთგული, კეთილი და ნადირობისას შეუპოვარი. დარდისგან დალეული, მოშვებულ ზამბარად ქცეული, ღონდაკარგვამდე დასევდიანებული, ნახევრად მკვდარი ესვენა და ცრემლიანი, ოდნავ გახელილი, დანისლული თვალებით უმისამართოდ იყურებოდა. მეოთხე დღე იყო დასალევად წყალსაც არ ეკარებოდა, ზოგჯერ ტანის კანკალსაც შენიშნავდი დაკვირვებული კაცი.

— პატრონის გარდაცვალებამდეც, მძიმე მდგომარეობაში იყო; ახლა კიდევ უფრო გაუარესდა მისი ყოფა. გუშინ, ღამე, ძლივს ამდგარა და ეზოს განაპირას ფეხარეულს გაუვლია. მერმე უკან დაბრუნებული სასახლის კიბეებზე გაჭირვებით ამოლასლასდა და მომაკვდავივით მოწყვეტილი ადგილზევე დავარდა. ასე გაუნძრევლად წევს დუმილწაღებული, ამდაგვარ გამწარებულ დღეშია ეს საცოდავი! — ხნიერმა, შავებჩაცმულმა ქალმა აკანკალებული ხმით მოუთხრო გულისყურით მოყურადე წმნიდა ნინოს.

— ძაღლი, ადამიანთან მეგორბობისა და ერთგულების მოვლენა, ღვთიური სახეა, — თქვა წმიდანმა, — შეიძლება ემსხვერპლოს კიდევაც პატრონს. მასპინძელო და სულიერო დაო! ღმერთმა ქნას და, თუ გადარჩა, რამდენიმე დღით მოიყვანეთ ჩემთან და მყუდრო ადგილს მივუჩენ ეზოში.

— თქვენ, წმიდანო?!

— მე ამის გლოვას ვერ განვკურნავ, წუხილი და ურვა ხომ იდუმალებაა ზეციური, ნაცრისფერ სულთა რხევაა ღვთიური. თუ ეშველა, მრავალმა ფიქრსვეტდატევადმა დრომ უნდა გამოიყვანოს მდგომარეობიდან. — შეუვალი ხმით თქვა თავდახრილმა წმიდანმა.

— ღმერთო დაილოცოს შენი სახელი! — ორივემ ერთხმად წარმოთქვა.

— დანარჩენი ძაღლები, წმიდაო, მცირე საჯინიბოში წვანან განმარტოებულნი, საჭმელს და წყალს ისინიც არ ეკარებიან. ეს დღეები გარეთ გამოსულნი არავის გვინახავს, შეწყდა მათი ხალისიანი ყეფა და ხმაური. ასევე საკვირველი და შემზარავია, ჩვენო დედაო, მამლების ხმაც რომ არ ისმის. ხოლო დიდი ბექას უერთგულესი შავი არაბული სისხლის დიდგულოვანი ცხენი, მეომრულად შეკაზმული, აგერ, ეზოში განმარტოებით აბია და სასახლისაკენ გახელებული თვალებით იყურება. გუშინ მსახურმა ბალახი მიართვა, მაგრამ ცოტა შეჭამა უხასიათოდ მყოფმა, ისიც ძალიან დანაღვლიანდა. ზოგჯერ დამაფიქრებლად ფრუტუნებს, თან მიწაზე ფეხებს აბაკუნებს, ხშირად მოუსვენრობა აწუხებს უცნაური, შიშისმომგვრელი. კაცმა არ იცის, მომავალში რას მოიმოქმედებს ადიდებული მდინარის ენერგიის რაში...

— ცხენი ცხოველებიდან ყველაზე დიდი მეგობარი და პატრონის სურვილის უანგარო შემსრულებელია.

ძაღლივით უაღრესად ჭკვიანი არსებაა. ორივე უფლის საჩუქარია ძვირფასი, დაო! მიდი მასთან ახლოს და მოზრდილი სანთელი აუნთე, შუბლზე ფრთხილად ჯვარი დაასვენეთ ხისა ამ დაძაბულ დღეებში და საერთოდაც ასე აჯობებს. — თქვა და მორიდებით მიუთითა მასწავლებელმა.

— ცოდვებისგან შორს მდგომი, მორჩილი ქრისტიანი გახლავთ აწ გარდაცვლილი. მე ვენდობი მას, რათა პირნათლად ვუშუამდგომლო მაცხოვართან, სამყაროსა და კაცობრიობის მხსნელთან...

— თქვენი მობრძანებით, კეთილო მწყემსო, წმიდაო! ჭეშმარიტება, სიკეთე, სიმშვიდე და იმედი შემოვიდა ჩვენსას: უდიდეს მადლობას გწირავთ, იბერიის გადამრჩენო. უსაზღვროდ გვჯერა, ოჯახისა და ხალხის სიამაყე პატრონი ნათელში იქნება დღეიდან უკუნითი უკუნისამდე. დიდება და მადლობა უფალს! — დიდმა და პატარამ ხელები აღმართა ზეციისკენ. მიცვალებულის ცხედარზე გადაფარებულ ჩალისფერ სუდარაზე ხმალაღმართული ლომი იყო გამოსახული და ზემწვდომი იბერიული დიდების მონუმენტური სახე ამ შემთხვევაშიც იხატებოდა. მერმე წმიდა ნინომ ისევ მოკლედ იქადაგა, მიცვალებულის სარეცელს მიუახლოვდა და ნაკურთხი წყალი სამჯერ ასხურა. შემდგომ შემობრუნდა და ხალხსაც იგივე ღვთიური სიკეთე გაუმეორა...

ჭირისუფალ ქალბატონებთან მივიდა და სათითაოდ ვაზის ჯვარზე ამთხვევინა, თან ყურძნის მტევან მზეჩამდგარი თითებით ეფერებოდა ყველას. მამა რატი თავადვე მიუახლოვდა იმედმოსილ წმიდანს, დაუჩოქა და ვაზის სასწაულმოქმედ ჯვარს ეამბორა.

— მე, მონა-მორჩილი ღვთისა და თქვენი, დღევანდელი დღის თანადგომისა და სამსახურისთვის მადლობას გწირავთ დაო-წმიდაო! მიგულეთ, როგორც ყოველთვის, თქვენ სამსახურად აწ და მარადის. — ოდნავ გაბზარული ხმით მიმართა მგლოვიარე მამა რატიმ და თავი დახარა.

— ნათელში იყოს მოძღვარო, მშობელი შენი, — ნელი, წმიდანური სიტყვები გაისმა, — აცხონოს უფალმა, ამინ! მშვიდობა და ჯანმრთელობა იყოს თქვენთან, — მცხეთელ ცისფერთვალება, ტანად სუსტ, ოქროსფერ გრძელწვერებიან მღვდელს მიუბრუნდა, რომელსაც საკმეველი ეკავა, — აქ ხომ აუგე წესი, კეთილი ღვთის მადლი საფლავთანაც გაუმეორე, მოძღვარო. კანონის მიხედვით, ჯვარი ხისა ადგილზე აღმართეთ, აწგარდაცვლილი ჯვრის გარეშე არ დამიტოვოთ.

— ყოველივეს ეკლესიის წესის მიხედვით შევასრულებ, წმიდაო ჩემო, — იყო პასუხი.

ოჯახთან და ხალხთან გამოთხოვებისას, წმიდა ნინომ, ჯვარი გადასახა იქაურობას და მშვიდად წინ მზირალი სევდიანი განეშორა სამგლოვიარო პროცესიას...

* * *

წმიდა ნინო დიდებულთა ოჯახებში, მსახურთა ღარიბულ მიწურებსა თუ ქოხებში, ორსულთა მშობიარობისას შეძლებისდაგვარად იღებდა სულიერ და ფიზიკურ მონაწილეობას რამდენიმე დასთან ერთად. საცხოვრებელ სახლს, ჯვრით ხელში, ლოცვით შემოუვლიდნენ, მერმე შუა ეზოში დადგებოდნენ და ისევ ლოცულობდნენ. როგორც კი ახალშობილის ხმას გაიგონებდნენ, უფალს, ღვთისმშობელს და მთავარანგელოზს მის ჯანმრთელობას ავედრებდნენ. შემდეგ, მელოგინე ქალბატონი შიშველ ყრმას გარეთ, ღია ცის ქვეშ გამოიყვანდა, — ზამთარში თბილ თეთრეულში შეხვეულს. წმიდა ნინო, ნანახით გახარებული, ღიმილით ვაზის ჯვარს დაასვენებდა ახალშობილის სპეტაკ სხეულზე და სულნათელ კურთხევას აღუვლენდა: „ღმერთო, გაამრავლე ეს კეთილი და ბუნებით ქრისტიანი ხალხიო“. დები კი სათნოებით სავსე „ამინ“-ს მიაყოლებდნენ და საამო გალობით ანგელოზებსაც მოიხმობდნენ მრავალთ... მერმე წმიდანი ყველას უკლებლივ დალოცავდა, დედას, ახალშობილთან ერთად, ტანის სიმრთელეს უსურვებდა და კეთილი ღიმილით განეშორებოდა მათ.

— დღეს ერთ-ერთი ზეციური ანგელოზური სულის მოვლინებაა იბერიის საქრისტიანოში, — ბრძანებდა წმიდა ნინო და მონასტრის დებთან ერთად დაეთხოვებოდა იქაურობას...

* * *

ჯერ კიდევ წარმართული, მავნე ბაცილების მატარებელი ადამიანები განაკვირვა და უკეთილშობილეს ტალღად აღაზევა ისინი. რის მეოხებითაც წმიდა ნინოს მოციქულებრივ სხეულს სიყვარულითა და სიკეთით სავსე, ვარდისფერი უხილავი საოცრება დიდების დიადემა გადაეფარა. წმიდანის მრავალმხრივმა, უკეთილშობილესმა მოქმედების ხმამ იერუსალიმ-კონსტანტინოპოლამდისაც ჩააღწია და მთელი საქრისტიანო აალაპარაკა. გაქრისტიანებულ იმპერატორს, სატახტო ქალაქში, ნინო კაბადოკიელის მოწვევა განუზრახავსო — ამდაგვარი მითქმა-მოთქმა, თუ ჭორი, ბუნდოვანი ფორმით დაფარფატებდა სიყვარულით, რწმენით, სიკეთით და იმედით სავსე იბერიულ-კოლხურ-სომხურ გარემოში. ნინო კვლავინდებურად მყარად და მტკიცედ განაგრძობდა თავისივე სულით, გულით და მაცხოვრის იდეებით შემკულ იბერიაში უნაკლო ღვთისმსახურებას, რომლის წმიდათაწმიდა მოღვაწეობა-მსახურებაში სიახლეების შეტანა მხოლოდ იესო ღმერთს და მარიამ ღვთისმშობელს შეეძლო...

თავდადებული წმიდანის პირადული შეწირვა უფლის მიმართ, ფარული იდუმალებიდან სავსე მთვარის სვლის მსგავსად, ხილულ-რეალურ სახეს ღებულობდა...

დედა წმიდანის მოელვარე პირადული ვარსკვლავი ბიბლიური წინასწარმეტყველებით უნდა შეწირულ-დაფერფლილიყო, უფრო დიდის მომასწავებლად, რომელიც სივრცის და დროის მიღმა, შორეული მიუწვდომლობის კანონებიდან მომდინარეობდა...

მომლოცველობის სადღესასწაულო დღეს, ლეგენდად ქცეულს, კოჭ-ტერფების უნაზესი ქედნი ლეგენდარულ ბოდბეში მაყვლოვანის წმიდა ეკალმა შემთხვევით მსუბუქად გაუკაწრა და წმიდანურ-კოსმოსური გენის მოცისფრო სისხლით, მისგანვე ნაკურთხი, კახეთ-კუხეთის მიწაც დაიცვარა. სიამით ილიმოდა თურმე უტყვი, განახლებული, მარად მდუმარე მიწა და მწყემსი ნინო — კეთილშობილი.

კოლხეთ იბერიას, განმანათლებლის დაბადების დღესასწაულზე, მსოფლიოს ქრისტიანენი, სოფელ ბოდბეში, რამდენიმე დღით უნდა ჩამოდიოდნენ.

წმიდანის საფლავ-საყდრის წინ, მიწიდან ამონათებულ სულთმკურნავ მოცისფრო სხივში რწმენით განვლონ და ამდაგვარად, უფლისმიერ მარადიულ ლოცვა-კურთხევას მიიღებენ... (მგონი, სხვა რელიგიის აღმსარებლებსაც არ ავნებდათ, პლანეტა ჩვენი სულიერი მთლიანობის და უსასრულო ცივილიზაციის ერთ-ერთი ღირსი კუთვნილთაგანი რომ გახდეს).

* * *

ბრძენთ-ბრძენი ნინო მოდიოდა იბერიის ქვეყანას და ღვთიური, ყოველთა მხსნელი ნათელი მოჰყვებოდა... მთაგორიან გზად მიმავალს უცნაური თვისების და ჩაცმულობის ლტოლვილები შემოხვდნენ.

— სადაურები ბრძანდებით და საით მიემგზავრებით? — ჰკითხა მათ წმიდანმა.

— ისრაელიდან გახლავართ, მანდილოსანო და კეთილი ხალხით დასახლებული იბერიისკენ მივდივართ, — იყო პასუხი.

— ჩემი გზაც ეგაა, — ჩუმად, ბაგეებს იქით ჩაილაპარაკა კმაყოფილმა წმიდა ასულმა...

შორეულ იბერიას მომავალი წმიდანი ზოგჯერ მძიმე სურათის მხილველიც გახლდათ. ერთ სხივნაკლულ, მრუმე დღეს, ელვარე მახვილასხმულმა, კობრას მიმსგავსებულმა, მოშავო სახის ცხვირპირჩამოშვებულმა და უჯილაგო ცხენოსანთა ხროვამ წმიდანის სიახლოვეს უხეშად ჩაიარა და ჩრდილოეთის ქვეყნისკენ აიღო გეზი. მათგან აყრილი მტვერი, შხამიან გველთა ხროვას ემსგავსებოდა შემზარავს. ღრმად აღელვებული და შეძრწუნებული წმიდანი, დაჩოქილი გულმხურვალ-ცრემლიანი ილოცავდა:

— ღმერთო დიდებულო! შენ უშველე მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას, მტერთაგან ჩაგრულ, უკვე ჩემს ღვიძლადქცეულ იბერიელ ხალხს. — შემდეგ დაღონებული სახით წამოდგა წმიდანი და შინაგანი უცხო სულიერი სიმძიმე იგრძნო — თანაბრად ისეთი, როგორიც, უბოროტესმა წარმართმა თრდატ მეფემ ქრისტიანი სულიერი დები საშინელი წამებით რომ ამოუხოცა. წმიდა ნინო კი სასწაულებრივად გამოექცა ენით აღუწერელ ჯალათებს. ტანჯვაგამოვლილ წმიდანს უფალი იესო ქრისტეს წამება და ჯვარცმა წარმოუდგა თვალწინ და უძრავ-ცოცხალ მოიისფრო რხევად სვეტად იდგა (იესო ქრისტეს უარყოფით და სატანური წამებით, სამყაროს შავი ხვრელებიდან ამოხეთქილმა ბოროტმა ძალებმა ჯვარს გააკრეს ქვეყნიური სიყვარული და სიკეთე, მაგრამ ისევ უსასრულო დადებითმა მოვლენებმა გაადროებითეს ყოველივე. ვინ იცის, მაგ სამყაროს შავ ხვრელებს, ეგების მოაზროვნეთათვის მრავალი მოიუწვდომელი ფუნქციებიც ეკისროს. ადამიანი იმით მაინც ბედნიერია, კოსმოსურ სასწაულებზე აზროვნება და მეცნიერული შესწავლა-მიახლოებითი ანალიზები რომ შეუძლია).

* * *

გაივლის გარკვეული დრო და ამ აზრების ღრმად მორწმუნე ავტორზე იტყვიან, გულუბრყვილო ბავშვური შეხედულებები ჰქონიაო სამყაროზე, მაგრამ იმასაც დაუმატებენ, შიგადაშიგ წარმოსახვები, წარმოდგენები, ხილვები და ინტუიცია არ ღალატობდაო.

მწყემსი კეთილი, აღელვებული და ფერდაკარგული, „უფალო ჩემოს“, „ღმერთო, უშველეს“ ამოკვნესით სევდიან თვალს აყოლებდა აღმოსავლეთიდან გადმოხვეწილ, მორიელის შხამით სავსე უზარმაზარ სიკვდილის ძალას, რომელიც უდანაშაულოთა და თავისუფლებისმოყვარე ქვეყნისკენ მიემართებოდა. გულმკერდზე ვაზის ჯვარმისვენებულმა წმიდა ნინომ ისევ გულიდან ამოიკვნესა და შენიშნა, აგვისტოს ხვატისგან დასიცხულ ქედზე, მარტოხელა აქლემმა, ზლაზვნით რომ გაიარა. წმიდანმა ნაღვლიანი თვალი გააყოლა და ჩახშულ-ფიქრიანი დარდით მიედევნა... მერმე ღვთიური ვალდებულების გზა ისევ განაგრძო და გავაკებულ მინდვრიან ადგილას მიწის მკვიდრი-მშვენება, ცხვრის ფარით მწყემსების ჯგუფი შემოხვდა, რომელთაც მგლებთან მორკინალი ნაგაზები დარაჯობდნენ.

— გზას თუ მასწავლით, იბერიისკენ მიმავალს, — მორჩილებით იკითხა თვალდახრილმა წმიდანმა.

— მაგ ბილიკსავე ადგახარ, კეთილო მგზავრო. — გაისმა მათი ხმა.

— ამ ზაფხულს გვალვები ხომ არ ჩამოვარდება, — ხანში შესული მწყემსი გამოელაპარაკა მათთვის უცნაურ მგზავრს, მერმე მუქი მიწისფერი დოქით თხის რძე საჩუქრად შესთავაზა წმიდან ქალწულს...

— ღვთის მადლია თქვენთან და ილოცეთ, — იყო პასუხი...

კეთილმა, დაუღლელმა ნინომ მსახურ ქალებთან ერთად გზა განაგრძო, ხელთ რაღაც ფუთები, ჩამუქებული თიხის დოქი და კომბლები რომ ეკავათ...

ზეციური წმიდანი! ვაზის ჯვრით თამამად მიდიოდა ჩრდილოეთით და მწვერვალებდათოვლილი კავკასიონი ცისმიერი იდუმალებით უღიმოდა თითქმის მათთან მიახლოებულ უდრეკ წმიდანს. იბერიის ბუნება როგორი უცხო და თვალწარმტაცი სანახავიაო, უსაზღვროდ სიამოვნებდა ყოველივე წმიდა ნინოს და ზეშემეცნებითი ცნობისმოყვარეობით ივსებოდა. აკვირვებდა წმიდანს, ყოველი სახლის თუ ქოხის კარი, სტუმართმოყვარეობით ღია რომ იყო. ხშირად, სიყვარულითა და მეგობრულად განწყობილი ხალხი ლოცვებისა და განმარტოების საშუალებას არ აძლევდა, დიდსა და პატარას წმიდანთან გვერდით ყოფნა უნდოდა... ქალწულ წმიდანს, ქვეცნობიერად თუ წინასწარმეტყველურად, სრულიად იბერია-კოლხეთი დღითი დღე ნატვრის და ოცნების თვალით ელოდებოდა.

დრო! დრო მკაცრი, გამარჯვებულ წმიდანს მორჩილად ეგებებოდა — უახლოესი...

* * *

უსასრულო სამყარო სიკვდილს ვერ აბატონებს, რადგან მასში მარადიულ სიცოცხლეთა უნაკლო აღდგენითი პროცესი და კიდევ რაღაც უცხო, დიდი მიუწვდომელი ვარსკვლავეთური იდუმალება იკითხება... უთვალავ გალაქტიკათა სივრცეში უთუოდ არსებობს სიცოცხლეზე და სიკვდილზე მნიშვნელოვანი და დიადური (რადგანაც კოსმოსზე მეთვალყურე მეცნიერების ჯგუფი გამოთქვამს აზრს, არსებობენ აურაცხელი სამყაროებიცო. მე მაშინ ჩემს თავს ვაძლევ უფლებას, პირადი ინტუიციითაც ამდაგვარი ვარაუდი შემოვიტა-

ნო). პლანეტარიუმის უსასრულობა და მიუწვდომლობა სიმბოლოა მარად უხილავი ზეღვთიური მოვლენა-ძალებისა, რომლებიც ჩვენი პლანეტის მიწიერობისგან განსხვავებული და შეუცნობადია — სამყარო მუდამ-ჟამს კი არ ეძებს მთავარს, რადგან ის მისგან დამოუკიდებლად არსებობს და იდუმალ იკითხება... როგორც ითქვა, უთვალავი გალაქტიკისა და პლანეტათა სავსეობას გააჩნია განსაკუთრებული და უზუსტესი კოსმოსური მგრძნობიარობა. აქედან გამომდინარე, ქვეყნიერების ღმერთი მარადიული და მთავართაგანი მისი ზემცნებაა... კეთილმყოფელთა გზავნილები ცოცხალ პლანეტებში კი ქვეყნიერების ზნეობრივი მოწესრიგებაა. ისინი მრავალია. წმიდა ნინო, რეალურად, ერთ-ერთი მათგანია. ღვთის რჩეული ხომ ზეცის უახლესი ჭეშმარიტებაა და კიდევაც, უფლის ნებით, ნათელი და ღვთის ერთგული იბერია-კოლხეთი შექმნა, ისეთი მისტიკური ქვეყანა, რომელსაც საუკუნეებია სასტიკი ძალა ვერ ანადგურებს და დროთაჟამში უკეთური მოვლენები მის ირგვლივ თავადვე უკვალოდ ქრებიან. ახალი ბოროტებანი კი ისევ და ისევ იბადებიან, მაგრამ ზეკონტროლირებადი სამყაროს მეოხებით, პერიოდულად ძალას იკრებს და ღვთივმოვლინებულთა ძალისხმევით კოლხ-იბერიელთა გადამრჩენი ფიზიკური და სულიერი ცივილიზაციის მარად სიახლეებს ნერგავს.

ვარსკვლავთ შემყურე წმიდანი, იბერიის სატახტო ქალაქ მცხეთაში, რთული და უმძიმესი მოციქულებრივ-მოწამეობრივი მოღვაწეობის ჟამს, უმთავარო, უღრუბლო, მუქი ლურჯი ცის მრავალვარსკვლავიან ღამეს, მოულოდნელი ზეციური შეტყობინებისას, თავის სულიერ დას არ გააღვიძებდა, ისე ჩუმად გაბრძანდებოდა გარეთ (ამდაგვარი ღამეები ხშირად მეორდებოდა). საათობით აკვირდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ უძირო სამყაროს და დაძაბული მზერით თვალს აყოლებდა მომხიბვლელ ჰარმონიულ სვლას. ვარსკვლავეთში გადართული წმიდანი ყურს უგდებდა, ზეციურ პლანეტათა მომნუსხველ, უხმო სიმფონიას. მერმე, ღვთის მორჩილი, მათგან შერჩეულ ჯგუფს იდუმალ დიალოგს გაუმართავდა და შინაგანად შორს გავიდოდა ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელ სამყაროში.

მხოლოდ დედა სიდონიას ჰქონდა უფლება, თითქმის ყოველთვის ყოფილიყო დამრიგებელ-მასწავლებლის გვერდით, რაც წარმოადგენდა სრულყოფილი ზნეობის კავშირს ღვთიური სიყვარულ-მეგობრობისა, რომელიც ზოგჯერ სულიერ დათა, ტყუპისცალის ურთიერთობასაც ემთხვეოდა. დედა სიდონია ბევრად უფროსი გახლდათ წმიდა ნინოზე და მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა.

ღამე იყო მოწმენდილი, სავსემთვარიანი, მშვიდი და გარემო ზეციური გრძნობებით ივსებოდა. მოგონებების მომხმობი და შორეული მიზნებ-სურვილების სურათებიც ისახებოდა. ზეციური ნეტარი სევდით იყო სავსე ირგვლივ სივრცე და შეუვალი ვარსკვლავეთის რომანტიკული გარემო.

მარტოხელა დევნილი მგლის ყმუილმა გაკვეთა უკუნი ღამე და უცნაური შიშიც გავრცელდა, რომელსაც, ძაღლების გარემოს შემატყობინებელი, მასობრივი ყეფაც მოჰყვა.

ძალიან შორს იყო მთვარე, მგელი, ღამის გუშაგი მიკიოტი და ყოველი ტყიური არსებანი. ყოველთა დედა მშვიდად იდგა ამაღლებულ სუფთა მინდორზე და თვალს არ აშორებდა სიკეთით, სევდით, იმედით და ოცნებით სავსე ვერცხლისფერ პლანეტას. ცის დასალიერში ვარსკვლავთა სავსეობა და ციმციმი იყო ზღაპრული. მეტეორები არ ისახებოდა, დუმდა მარტოხელა მთვარე და უკიდეგანო ვარსკვლავეთი, მხოლოდ სამყაროს ხმა ისმოდა გონების ყურით.

დედა სიდონია, ტანსრულ ზურგით, ხეს მორჩილად მიყრდნობოდა და ისიც გაუნძრევლად შეჰყურებდა ცას. ჯერ შორს მავალი ფუსფუსი მოესმა წმიდანის, შემდგომ სიტყვები და აზრი იკვეთებოდა გარკვევით:

— უსაზღვრო ბოდიშს გიხდი, პლანეტის და მთელი იბერიის ხალხის სახელითაც, მთვარევ, ღვთის გაჩენილო, მშვიდო და პატიოსანო; ასევე, მრავლად მოვლენილნო, მოუსვენარო ვარსკვლავებო. საუკუნეების განმავლობაში წარმართები, მზისთაყვანისმცემლები და ცეცხლთაყვანისმცემლები შეურაცხყოფას რომ გაყენებდნენ, თავიანთი სიბეცე და უგუნურობა თქვენზე გადმოჰქონდათ, ციურო სხეულებო! ვითომდა თქვენ ითხოვდით მსხვერპლს, უმანკო ბავშვებისა და უდანაშაულო მოზრდილთა სისხლს. მზე და თქვენ მსხვერპლს არასოდეს ითხოვდით და არც ითხოვთ (რა ძალებიდან მიიღეს ჩვენი პლანეტის ადამიანებმა ამგვარი შემზარავი წეს-აზრები?). პირიქით, თქვენი ღვთიური მარადმყოფლური ფუნქციაა, სიცოცხლეს მუდამ საუკუნეობით შეუწყოთ ხელი, ჯანსაღი სულიერ-ფიზიკურ-ფსიქოლოგიური სავსეობა და ხანგრძლივობა ჩაუნერგოთ. კარგად ვიცით, სიკვდილი თქვენთვისაც დიდი დანაკლისია, უთვალავ ციურ სხეულს დაღად რომ ადევს მისი კვალი, მაგრამ უთქვენოდ და უჩვენოდ წყდება ეს უსაშინლესი ქმედებები. უთუოდ, უსასრულო სამყაროს მარადიული შეუცნობადი კანონ-პროგრამაა, რომელიც თქვენთვისაც და ჩვენთვისაც ბოლომდე გაურკვეველ-შეუვალია.

მზეს კი თვალს ვერ ვუსწორებ, მთვარეო, რომ შეეღაღადო მონანიება, ცრემლის ღვრით, მუხლზე დაჩოქილმა... მზე ყოვლისშემძლეობაა, უფლის გვირგვინია ქვეყნის მანათობელი. ეს რა ხდებოდა?! მზის თაყვანისცემა�ა და ათასობით წელიწადს სისხლს სწირავდნენ დიდ ნათებას, სიკეთის მფრქვეველს...

სითბო და სიცოცხლის წყარო ცეცხლი?! ცეცხლსაც საუკუნეები გადაეკიდნენ, ის ხომ მზის ნატყორცნია დედამიწაზე, მისი ნაწილია განუყოფელი და უფლისგან გაჩენილი. ღმერთი კი გვარიგებს არა სიცოცხლის და სისხლის (სხვისა) შეწირვებს, არამედ ზნეობრივ მორჩილებას, რწმენას, სიყვარულს, სიკეთეს, სიბრძნეს, ერთგულებასა და თავმდაბლობას. ყველასი და ყოველთა მიტევების თავწყარო ხომ უფალია, ყოვლის მხილველი და სიბრძნის უსასრულობა. იმ შემთხვევაში, თუ ბოროტება დაგიპირისპირდა მძლეველი, პირადი შეწირვაა მოსალოდნელი (რითაც უცილო გამარჯვებაა)...

ეს რა იყო, ღმერთო! წუთით უფლის უხილავ ხატს მიმართავს წმიდანი, რატომ მოხდა ადამიანთა ტვინის სატანისეული დაპყრობა, გამოფიტვა... მთელ პლანეტაზე აგრეჭირად წარმართობა რომ იყო მოდებული. ისევ ვიმეორებ, ღამის მშვენებავ, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, მათ ნაშიერ ცეცხლს რაში სჭირდებოდა ადამიანთა ცოცხლად შეწირვები, ან ცხოველთა,

საიდან და როგორ აღმოცენდა ამ ფორმის შავი ზნე. მე მჯერა, ის თავის საძრახის კვალს მაინც დატოვებს დედამიწაზე. მორჩილად გადაგებული დიდი ხანი ესაუბრებოდა დედამიწის გარე სამყაროს, რის შედეგად იდუმალი კავშირი დამყარებულიყო: ადამიანთა სისხლის აღება ხომ, დროთა ჟამში, წარმართობამ შვა, რომელიც მისგან ამომავალი უმახინჯესი მანკიერებაა...

სულგანაბული და ეფემია უჩინრად მივიდა დედა სიდონიასთან და მორიდებით ჩასჩურჩულა:

— დაო, არ შემოხვალთ ძილად?!

— ჩუმად, დედაო, წმიდანი ციურ სხეულებთან საუბრობს და ხელი არ შეუშალოთ.

— დაილოცოს, უფალო, შენი სახელი, — დედა ეფემია თავისას მორჩილად დაბრუნდა ლოცვით.

დედამიწაზე გარკვეული დროით გაუცხოებული წმიდა ნინო მათ შესახებ არავის არაფერს უყვებოდა. ამდაგვარი ფორმის წმიდანურ-შორეულ ფიქრთა მგზავრობით მხოლოდ დუმილად გარდაიქმნებოდა და თვალცრემლიანი ზემიწიერი განცდებით, გულმკერდის მარცხენა მხარეს მისვენებული ვაზის ჯვრით ჩუმად ლოცულობდა. შემდეგ ღვთიური გრძნობებით სავსე და ანგელოზური ბუნებით სახედაღლილ-გაფერმკრთალებული თავის მოწამეობრივ სამყოფელს უბრუნდებოდა, სადაც უფლისმიერი მშვიდი ნათელი სუფევდა, ზეფილოსოფიური სიმბოლო მაყვლოვანის ცოცხალი ტოტებისგან ურთიერთში გადაყვანილ-გადახლართული და ნატიფად მოწნული მითურ თავშესაფარში...

ერთ მზიან დღეს, ბოდბის მათხოვრებს, მწიფე ქარვისფერი ლეღვი და წითლად ანთებული ბროწეულები მოურთმევიათ. კოჭლმა მოხუცმა, ყურძნის აკიდოები სენაკის სიახლოვეს, ხის ტოტზე დაკიდა. წმიდანი ღიმილით შეხვდა მათ და მადლობის გადახდის შემდგომ საჯანმრთელო ლოცვა გამართა. მერმე დებს გადაულაპარაკა, — თუ რამე გაგვაჩნია სენაკში სასმელ-საჭმელი, ყველაფერი დაურიგეთ მათო...

დრო და სივრცე თავდახრილი მორჩილებდა ღვთიური განწყობილების იდეებს და უხილავი ფერებით მაცხოვრის მირონმდინარე სასწაულმოქმედი სიცოცხლის ხატი იქმნებოდა...

უკიდურესად გაბოროტებული სიკვდილი ცოფშეყრილივით დაძრწოდა და ჩაყვითლებულ ღოჯებიანი, სახედაჯღანული ბუზღუნებდა: ვის მოუვიდა აზრად, ქვეყნიერებაში, სიცოცხლის გაჩენის დღიდან, ეშმაკისგან დაკანონებული ფუნქციების ხელხლება და შეცვლაო. რას მიქვია ჩემგან მოკლულის გარდაცვალებაო...

ღვთივკურთხეულ წმიდანთა შემდგომ, ღრმად მორწმუნე მოძღვარი და კეთილი მორჩილი მრევლი თუ მაცხოვრის უნაკლო მიმდევარია, უთუოდ წმიდანებად იწოდებიან... წმინდა სიყვარული მხოლოდ მაღალი ზნეობრივი შეწირვებით მიიღწევა. ამ თემაზე, საინტერესო ცხოვრებისეული მაგალითი მინდა წარმოგიდგინოთ...

ქალი თუ ნებისმიერი ცოცხალი არსება, მშობიარობისას, დიდ ენერგიას და სხეულის სასიცოცხლო უძვირფასეს ნაწილს გასცემს, მაგრამ მისი ორგანიზმის დანაკარგის აღდგენითობა იმ საათებიდანვე იწყება და პიროვნების სული უფრო ძლიერი და აღმატებულია... ამდაგვარი პირდაპირი მნიშვნელობისაა სამყაროს უკიდეგანო მასშტაბით გაცემა-შეწირვა გარდაუვალი აღდგენითობითი პროცესით, სადაც მიუწვდომელი ინსტიქტი და კანონი მძლავრობს. უსასრულობის ნებისმიერ სხეულში უმცირესი ელექტრონებიც კი არ ჩერდებიან და მუდმივი მოძრაობით ამ ფორმის უწყვეტ ციკლში უცნაურ ენერგიას გამოყოფენ. ასევე, მათი მრავალთვისებიანობა, მათემატიკურ-მეცნიერული გათვლებით გარდასახვებშია. ამავე ზეციური ფორმით, ადამიანებში, თავისუფალი აზროვნების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, ზემიწიერი, შემეცნებითი მონაცვლეობაა ურყევი ოპტიმიზმით და ეჭვებთვისებიანი პესიმიზმით. მჯერა, მათ შორისაც წარმოსახვითი და მრავალსახოვანი იდუმალი შეწირვითი შუალედები რომ გაედინება...

მაცხოვრის ჯვარცმა თვითშეწირვით მოხდა, ღვთიური მცნებით გამიზნული. სხვა ფორმით, სამყაროში, ახალი ჭეშმარიტი სარწმუნოება ვერ დამკვიდრდებოდა. დედამიწაზე იესო ქრისტეს ჯვარცმა და წამება სამყაროსეულ მოვლენათა ფორმის რეალური სახე გახლდათ, ზეციური სხეულების მატერიალურ-იდეური პროცესის სრული სახე-ხასიათითა და ამ ფორმით შორეულიდან გამოედინა უსასრულობის სიახლე — სიკეთე, სიყვარული და რწმენა...

ასტრონომიულ-კოსმოსურ უდიდეს ცვლილებებს ძლიერი და მოკაშკაშე პლანეტებიც ეწირებიან, რათა მათი გამთლიანებით, ბნელით მოცულ სივრცეს უზარმაზარი მანათობელი მზე ჩამოუყალიბდეს. ამდაგვარადვე, მიწიერი და ზეციური სიცოცხლე მაცხოვრისა ეწირება ღვთიური ზნეობის განვრცობასა და ბნელით მოცული ჩვენი პლანეტის გამაჯანსაღებელ სხივთმოფენას.

ქვეყნიერების მხსნელმა, პირადი წამებით, უსასტიკესი ჯვარცმითა და უმძიმესი სიკვდილით ადამის მოდგმა უსასრულო ტანჯვისგან იხსნა და უკუნითი უკუნისამდე გონება გაუჯანსაღა... როდესაც წმიდა ნინო სამეფო ბაღს ტოვებს, ასევე თავის მომვლელ პატრონებს და მაყვლის ტოტებხშირი ბუჩქის ქვეშ საწოლად ცხოველთა ტყავებს დაიფენს, იქვე, ვენახის გამხმარი რტოებისგან შეკრულ კონას სასთუმლად როს დაიდებს, მაშინ იწყება მისტიკური ასკეტიზმის უკეთილშობილესი სურათხატის შექმნა და აქედან აღმოცენდა ღვთიურ კაცთა მხსნელი ბიბლიური სიმბოლოები...

მართალი წმიდანი, ქრისტესმიერი თვისებებით, დღეებს, თვეებს და წლებს ამ ფორმით გამუდმებით ლოცვაში ატარებდა. ეს უკვე წმიდათაწმიდა ჯვარცმაა — შეწირვაა. მხოლოდ პირადი და არა სხვისი. მიზანი ბრძნულია — წმიდა ნინომ, მაცხოვარივით, სრულიად იბერია-კოლხთა მოდგმა უნდა იხსნას... საოცარი წმიდანი ხალხში, მრავალი საკეთილდღეო სასწაულით დღითი დღე, უფრო და უფრო აღმატებულ სასწაულებს ქმნიდა...

რთული დასადგენი არაა, თავად შეწირული ნინო, რატომ დაადგა ამდაგვარ უმძიმეს მოწამეობრივ გზას. ეჭვგარეშეა, იბერიაში თუ კოლხეთში წარმართობა და მზის თაყვანისმცემლობა ხილულად თუ მალულად ისევ მძლავრობდა. აუცილებლად უნდა გადაერჩი-

ნა განწირული ხალხი. აქედან გამომდინარე, პირადი თავდადებული-შეწირვითი და მოციქულეობრივი მოღვაწეობა იყო აუცილებელი, რაც ქრისტიანულ საზოგადოებაში მაღალზნეობრივი და გმირული ღვთივ სამაგალითო მოქმედება გახლდათ და გახლავთ...

მომავალში, უკიდეგანობის უფალი, სამყაროს პატრონი და მარადიული საზოგადოება ზემიზნებით გაუმთლიანდება უსასრულობის ფიზიკურ და სულიერ ძალებს. შემდგომში წარმოიშობა ის ღვთიური დადებითი მოვლენები, ამჟამად რისი წარმოდგენაც შეუძლებელია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ადამიანები, ისევ სირთულეების წინაშე ვიქნებით, ჩვენივე უზნეო ცხოველური ბუნებიდან გამომდინარე, რასაც ახლავს მიუდგომელი და გამოუსწორებელი სტიქიურობა, იდუმალი ძალები და სამყაროს უძლიერეს-ურთულესი მსჯავრი სულიერება.

ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სასწაული უფრო და უფრო ძლიერი ფორმით ვლინდებოდა და წარმართული მახინჯი იდეებისგან ნატანჯ-ნაწამები ხალხი, წმიდა ნინოსთან, იმედით სავსე მორჩილებით, „გვიშველე, წმიდანოს“ თხოვნით მოვიდა. წმიდანისგან ნათელ კურთხევას ღებულობდნენ და ყველას სხვადასხვა ფორმის და მასალისგან დამზადებული ჯვარი დაურიგეს...

იმ ბედნიერი დღიდან, იბერიის მიწაზე, წარმართების მიერ ძალდატანებითი თუ ნებისმიერი მეთოდით შეწირულთა სისხლი არ დანთხეულა. ჩვენდა სამწუხაროდ, დროთა ჟამში დედამიწაზე ადამიანები მაინც იხოცებიან, დაწყებული სატანური ომებით, პიროვნული ურთიერთჟლეტით, არაადამიანური გამცემლობით, გულგრილობითა და მომაკვდინებელი ღალატით... უზარმაზარ სიკეთეს უსაშინლესი შავი ფონი დახვდა. ღვთიური ძალით უნდა წაშლილიყო ის...

თვითგვემულ პლანეტაზე, სტიქიურად გაავებული ხვადი ან ძუ ლომი, გამუდმებით ცხოველთა სისხლს ღვრის, რათა ცხოველური (მხეცური) მშიერი მუცელი ამოიყოროს. ამავე სახის უმძიმესი წესრიგია როგორც მიწის ზედაპირზე, ასევე ნებისმიერ წყლისქვეშეთში და რატომ? ამ კითხვას სამყაროს მაღალი აზროვნებაც სვამს. ნუთუ, დედამიწაზე სიკვდილი და ბოროტება რომ არა, სიცოცხლე უნდა შეწყდეს?! მაშინ ასე გამოდის — ჩვენს თავზე მარტო სიკეთე და სიყვარული არ კმარა თურმე... აი, და ესაა, უკიდეგანო სამყაროების შინაგანი, ჩვენთვის მოიწვდომელად ურთულესი და უსასტიკესი კანონგავლენა. მომავლის იმედად, ადამიანებო, ქვეყნად უფლის მარადიული სიცოცხლის უწყვეტი კეთილშობილური ჩარევა და მისი კანონზომიერების შენარჩუნებაა საჭირო. ქვეყნის წინაშეა კოსმოსის და კერძოდ, მშობლიურ პლანეტაზე საშინელების — ბოროტების, სიკეთისა და სიყვარულის კანონზომიერი მოწესრიგების უსასრულობითი დინება. ბოროტ ზრახვათა ძალამ არ აპატია იესო ქრისტეს ღვთიური სიყვარული და სიკეთე. ბრძოლა დაუმთავრებლად გრძელდება...

უსასრულობის მეუფის ზეზნეობრივი კანონების მოსვლით, დედამიწა და მისი ბინადარნი უფრო მძაფრად გააგრძელებდნენ უცოდველთა და ცოდვილიანთა სისხლის ღვრას, მაგრამ ქვეყნის საბედნიეროდ, უფლის, ანგელოზების, ღვთისმშობლის, მოციქულების, ათასობით წმიდანის, ზეციური ნიჭით დაჯილდოებული გენიების, ასევე სიკეთით, სიყვარულით და მადლიერებით სავსე ღრმად მორწმუნე მრევლი რომ არა, შედარებით ვერ შენელდებოდა დედამიწაზე ამდაგვარი სისხლით გაუმაძღრობა. უთუოდ სამყაროს მიუწვდომელმა სიკეთის თანამიმდევრობითმა სვლამ, ათი მცნების, საღვთო წიგნების სწავლების შესისხლხორცებით და წმიდანური შეგნებით უნდა გამოაჯანსაღოს უკიდურესად თავისებური, ციურ სხეულთა შორის მძაფრგანწყობილებიანი სულის ჩვენი პლანეტა...

ღირსი დედა ნინო მტკიცედ მოდიოდა და ურთულესი გარდატეხის ჟამი მკაცრად ეგებებოდა; წმიდა ნინო მოდიოდა!!!

უფალი, მილიარდობით წლები, უთუოდ ეცდება ადამიანის მუდმივი გარემოს ზნეობრივ ამაღლებაგანწმენდას, მაგრამ საბოლოოდ ეს პრობლემა მოგვარდება თუ არა, ძნელი წარმოსადგენია. უფრო ოცნებაა, რადგან სატანას და მის ბოროტმოქმედებასაც ჰყავს სამყაროს უძირობაში ფესვგადგმული მძლავრი მეთაურები... ანუ სხივბოროტიანი ვარსკვლავიდან თუ მუდამჟამს ჩვენს პლანეტას გადაეფრქვევა სატანური სხივები, მაშინ ეშმაკთან ბრძოლა დაუსრულებელია.

ბრძოლა სიკეთე-სიყვარულისთვის მარადიულია...

ღვთივშეგონებითი ნათქვამია: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, მაგრამ ბოროტება და მისი მოთავეებიც მუდმივია. მაშინ ამ დაუსრულებელ მოვლენებზე მომავალი ვინმე დიდი მგოსანი, რა თქმა უნდა, მართალფუძიან სურათს განსხვავებული შემოქმედებითი ხერხებით დაგვიხატავს...

მადლობა უფალს და ქვეყნის ერთგულ მოდარაჯეთ, ღვთიური ზნეობის მომწესრიგებელი მაღალი, მძლავრი სამყაროს მიერ აზროვნება მუდამჟამიერია...

რა თქმა უნდა, მომავალ ათასწლეულებშიც ამქვეყნიური სიკეთე გაძლიერდება, დაიხვეწება, „ათი მცნება“ კი ახლებური ელვარებით შეიმკობა და ამდაგვარი ხატულობით გაგრძელდება ცხოვრებისეული სიამისა და ტანჯვის მონაცვლეობითი უსასრულო გზა...

ხოლო საშინელება სიკვდილს ვერ ამოძირკვავს და ვერც უარყოფს სამყაროს მმართველი ღმერთიც; ის ხომ ყველასგან მოძულებული, დამოუკიდებელი მძლე ძალაა ყოველთა, რომელიც მრავალთა და მრავალთ თიშავს ერთმანეთისგან ბნელის ჩაყენებით, მუდმივად, განუმეორებელსა და უნიკალურ მზეჩაღვრილ ცოცხალ ინდივიდებს. განსჯის გარეშეც, ჩვენთვის, ყოველმხრივ შეუთავსებელია, რადგან ზემოვლენათა ეს უმძიმესი იდუმალება შეუსწავლელია და ასევე დარჩება უსასრულობაში უკანასკნელი პლანეტის შუქის ჩაქრობამდე... (რაც არასოდეს მოხდება).

მიწიერი სიცოცხლე და სულიერება, როგორი ფერებისაც არ უნდა იყოს, საკვირველებაა, უფლისმიერი ანდამატურობის მატარებელი. სულდგმულობდე და იყო მზის და ულამაზესი მიწის ზედაპირზე, პირადი სიცოცხლით და მეობით მოქმედებდე — ნეტარებდე, ამოუხსნელი ზესიკეთეა მოკვდავთათვის. სამწუხაროდ, მსოფლიოს ეკლესიის მესაჭენიც სიკვდილს ტანჯვითა და ვაი-გლოვით ეგებებიან (პირადად მე არ

წმ. ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

მიკვირს). უსახო ფორმა-სიკვდილის გახსენება ხშირად, ჩემში, შხამიანი გველის ასოცირებას ტოვებს. არადა, ორივე სჭირდება ბუნებას და მაინც უნდა ითქვას, რომ ამქვეყნიური სიცოცხლე ბოლომდე გაუშიფრავი ზერეალური მგრძნობიარობაა სულის და სხლეულის ერთობლიობისა, რომელიც უსასრულობის მსგავსი მე-ს უკიდეგანო სურვილობაა... ჩვენი, ნებისმიერის, უმთავრესი და ბუნებრივი მოვალეობაა გონით, აზროვნებით, სულით და გულითადი მცნებით შერიგება ამ ურთულეს გარემო წესრიგთან, რომელიც იესო ქრისტემ, მარიამ ღვთისმშობელმა, მოციქულებმა, მრავალმა წმინდანმა, ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ, უძველესი დროიდან მოყოლებული გენიალურმა ადამიანებმაც ვერ შეცვალეს და თავთავიანთ დროზე მორჩილად განიარაღებული ჩაბარდნენ...

მასწავლებლისეული თუ მოციქულებრივი ჩემეული მცნებაა, უფლისგან შთაგონებულ და წმიდა ეკლესიურ მოძღვრებათა სრულყოფილი ცოდნის ჭეშმარიტ მწვერვალს რომ მიაღწევთ, ჩაფიქრებისა და დუმილის გარეშე უნდა იაზროთ, მაინც მუდმივი მოსწავლეები იქნებით მაცხოვრისა და ამქვეყნიურ თუ ციური სამყაროს აზრთდინების უსაზღვროებისა. მე მინდა, ყოველმა თქვენგანმა ღრმად გაისულიეროთ, რომ კეთილმყოფლობა და ღვთივმოსაობა ზნემართალი პირადი შეწირვაა ზეციური მარად უცვლელი კანონებით, ხოლო უკეთურობა, შური, ღვარძლი და კაცთ მტრობა თვითმოშლა-განწირვაა საშინელი. წმიდანური შინაარსის აზრთ ხშირად ქადაგებდა წმიდანი, საეკლესიო პირთა და ხალხის წინაშე... ამჟამად, ჯვრის მცველის უკანასკნელი ქადაგება შევესისხლხორცოთ.

ქვეყნად სიკეთე და ბოროტება უსასრულო მიუწვდომლობაა. აუცილებელია ზნეობრივად ყოველთა მხსნელისეული წეს-კანონებით იმართებოდეთ. სიწმინდე-წამლეკავ ეშმაკეულს კი მუდმივად ზღუდავდეთ თქვენში და სრულიად ირგვლივ გარემოშიც.

ღვთივ გაჩენილ ადამიანს მტრობ?! იმავდროულად შენს თავსაც მრავალმხრივ ანადგურებ, რითაც უფლის წინაშე ორმაგ დანაშაულს სჩადიხარ და ქვეყნიერების უსაზღვრო სივრცის მუდმივ მოხეტიალე მოგონებაში უარყოფით წარუშლელ პიროვნებად რჩები.

ყოველ თქვენგანს გიხაროდეთ, მაცხოვარი კეთილი მუდამჟამს თქვენთანაა, მაგრამ წინასწარ სულიერი შემართება, მაღალ ზნეობრივი შემზადება გმართებთ ქვეყნიერების მხსნელთან განწმენდილი სულიერებით წარსადგენად და დღენიადაგ იფიქრეთ, რომ მხოლოდ პიროვნული ზნეცარიელი დახვედრა არ კმარა. ნურასოდეს გაიაზრებთ, რომ მორწმუნე მრევლზე უმეტესები ხართ. უფრო ის იკმარეთ, სოფლის და ქვეყნის წმიდათაწმიდა ეკლესიური მოვალეობა რომ გაკისრიათ.

დიდი სიკეთე და პიროვნული წარმატებაა მართლმადიდებელ მრევლს თუ ეყვარებით, რითაც თქვენ შორის უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიბუდებს...

კაცთ სიძულვილი ბუნებითაც არ უნდა შეიძლოთ და ძირფესვიანად უნდა განდევნოთ, თუ მაგ სახის უზნეო თვისებებმა იჩინა თავი... ნურასოდეს შეედავებით თქვენს შორის მოვლენილ ნაღდ შემოქმედთ, ისინი ხომ, საეკლესიო იქნება თუ საერო მოღვაწე, ღვთიური სიბრძნით მოსაუბრე და ხელოვნების უკვდავი ნიმუშების შემქმნელები არიან. რაც ერთ-ერთი კოსმოსური და მინიერი, ბრილიანტასხმული ყოველთა შემაკავშირებელი რგოლია სამარადისოდ ქვეყნის მაღალიდეური ღვთიური მთლიანობისა.

მძიმე წარმართული სითამამეა, მათ მიერ შექმნილ ხელოვნების შედევრ კანონებზე თქვენეული შესწორებები რომ შეიტანოთ. ყოველ მათგანში ხომ ზეგონებითი შემოქმედი უფალი ზის. ჩვენს შორის, მარადიულ მშვენიერებათა ზნეობის კანონებს მხოლოდ ისინი ქმნიან; ხოლო მათი შემოქმედებითი მიღწევები მომავალში ეკლესიურ დოგმად არ უნდა გახადოთ, თუმცა ვერც გახდით, რადგან ცის სიშორიდან ვიღაც მოდის, ახალი, უძლიერესი შემოქმედი, უფლის სწავლებით და ზეცის საღი გონმაღალი წარმოსახვების მეოხებით. რომელიც ისევ შედევრებს შობს ეკლესიის და ერის სადიდებლად, თქვენგან კი მისი უარყოფა და ზეგამხედვარობა კერპთაყვანისმცემლური უღმერთობაა და მეტი არაფერი. აქედან გამომდინარე, კეთილ-ადამიანური შეგონებით მინდა იცოდეთ, უფალთან ყველაზე ახლომდგომნი, ყოვლად ნიჭსავსე შემოქმედი ადამიანები არიან...

ჩემო მოძღვარნო, მამანო და დედანო. რომელიმე თქვენგანში, უფლის ნება-წყალობით, შემოქმედი თუ გამოვლინდა, უსაზღვრო სულიერ სიკეთეს მოუტანთ ქვეყანას და ხალხს. გულმართალი ლოცვებით და რელიგიური თუ საერო შემოქმედებით სიკვდილს და ეშმაკს ჩვენს სიახლოვეს უცილოდ წაშლით.

იცოდეთ და არ გაგიკვირდეთ, პატიოსან მატერიალურ სიღარიბეშია ღვთისმოსაობა. დიდად მდიდარი ხარ? შენ უკვე მიიტაცე უფლის და ქვეყნის დოვლათიც. ამ რთულ შემთხვევაში, ნაწილობრივი მონანიება

არსებობს, რათა გარკვეული შეწირვები გასცეთ ეკლესიის სასიკეთოდ და ღარიბ-ღატაკთა გადასარჩენად. ასეთი ქველმოქმედება, უთუოდ, ნებისმიერ ცოდვილთა ხსნაა მრავალმხრივი...

ამქვეყნისა ყოველნო! ზნეობრივად იფხიზლეთ და დღენიადაგ უფრთხილდით მცნება ჭეშმარიტებას, მოგეხსენებათ, ის თავად სიბრძნით სავსე კეთილი უფალია.

ჯანმრთელი სიცოცხლით სიკვდილი განიდევნება, დროული გარდაცვალება კი გარდაუვალია სამყაროს შეუვალი კანონით.

არასოდეს შეგეშინდეთ თქვენი პირადი გარდაცვალების, ყოველგვარი ფიქრების გარეშე ის უსასრულობის მარადიულობაა იმქვეყნიურთან მთლიანობით და ამქვეყნიური ურთულესი მოვლენა საოცრებაა...

სამყარო ორ უდიდეს და ურთულეს ღვთიურ კოსმოსურ ფორმა-წესრიგს ემყარება — ხილულს და უხილავს. მხოლოდ მაცხოვარმა იცის, მათგან რომელია მეტი ან ნაკლები. ირწმუნეთ, ყოველი ადამიანი ორივეს უტყუარი სტუმარია...

ისევ მოგმართავთ და გულითადად მსურს, თუ დაბადებით შემოქმედი, ანდა ფილოსოფიურად მოაზროვნე არა ხართ, ხატმწერს, მგოსანს, ხუროთმოძღვარს, მოქანდაკეს, მეცნიერს და მწერალს მრავალმხრივი დუმილ-თავშეკავებით უნდა ჩაწვდეთ, ეცადეთ გაუგოთ და წმინდანის დონეზე თანაგრძნობა გაუწიოთ. ამ შინაარსის სიკეთე და სიბრძნე არ ძალგიძთ? მაშინ იყავით ჩვეულებრივი, გონებრივად მოწესრიგებული, ეკლესიური მოძღვრებებით ღვთისმსახური და კეთილსინდისიერად აკეთეთ თქვენზე დაკისრებული საქმე.

მთელი თქვენი მორწმუნეობრივი ცხოვრების პირადი და საერთო ბედნიერება ღმერთის, ქვეყნის და ადამიანების საყვარელ სამსახურში უნდა გაატაროთ მუდამჟამს. ჩემო კეთილნო, ქვეყნად სიკეთე ყველაზე მეტად ეძიეთ და განამტკიცეთ...

მინდა დავუბრუნდეთ მარად სანუკველ უზენაეს ჭეშმარიტებას, ის ხომ ღვთიური ზნეობაა სანატრელი. როგორც უფალი და სამყაროა უკიდეგანოდ დიდი და მრავალ ზნე-აზროვნებით უსასრულო, ასევე ზენათელი ჭეშმარიტებაა უსზაღვროდ ღვთიური.

აუცილებელია იცოდეთ სიკეთე და სიყვარული, რაიც ვარსკვლავეთურად მტკიცედ გამთლიანებული ზეცის უძვირფასესი სულის ქსოვილია...

ვუბრუნდები უკვე თქმულს! ნებისმიერი ნიჭმომადლებული ხელოვანის ღვთივკურთხეულ აზროვნებას, ხელოვნების ქმნილებათა სიახლეებს ეკლესიის, ქვეყნის და მომავლის მიზნობრივ საქმიანობას ნუ უგულებელყოფთ. ამგვარ უხერხულ შემთხვევაში, საკუთარი აზროვნების სამომავლო განვითარებას საგრძნობლად შეზღუდავთ და გონებრივად ძალიან ჩამორჩებით. წარუმატებელი მოძღვარი და მრევლიც კი ეკლესიისათვის არასრულფასოვანია...

მამებო და დებო! ეცადეთ, დამოუკიდებლადაც იაზროვნოთ. წიგნებს და, საერთოდ, მხოლოდ პიროვნებათა ნაწერებს ნუ დაეყრდნობით.

ღმერთთან ყოფნა და მორჩილება სრული გონბრწყინავი ბედნიერი შეწირვაა; თუ ეშმაკთან თანამშრომლობ, ეს უკვე საშინელი თავგანწირვით დაღუპვაა...

ახლა მინდა შევუჩერდეთ ძირითად თემას და ამ ქვეყნის არსებათა უცნაურობებსაც შევეხოთ. იდუმალი სულდგმული, გველი, ისეთივე შეუცნობადია, როგორც მიუწვდომელი სასწაულებით სავსე სამყარო. მის უცხო ბუნებას თუ დაუპირისპირდებით, თქვენთვის მძიმე და ურთულესი ცხოვრებისეული მოვლენა იქნება, რადგან წვახანგრძლივი, გამოუცნობი, მძაფრი კოსმოსია მასში ჩასახული. უძველეს ფანატიკურ რელიგიებში, რატომღაც, ეს მიწიერი უცნაური არსება წმიდანადაც იყო მიჩნეული, ჭეშმარიტ ქრისტიანობაში კი ქვეწარმავალმა ძალიან ცუდი სახე და დანიშნულება მიიღო. საუბედუროდ, მისი ზამბარისებური სხეულის ბრტყელ თავში ეშმაკი ჩაბუდდა და არასასურველ ურთიერთობათა სიმბოლოდ იქცა. სამწუხაროა, მაგრამ ასე მოხდა. უზენაესმა, ასეთად, თვით გვემული გააჩინა და ბევრი რამეც წინასწარ მიუტევა. თავისებური მიუკარება საქციელით ცივსისხლიანი, გულჩახვეული, მუდამ მდუმარე და მარტოხელა ქვეწარმავალია გველი. როგორც მოგახსენეთ, სატანამ მიითვისა ის საცოდავი, მაგრამ ბუნებაში მასაც აკისრია საკუთარი და სხვა არსებათაგან განსხვავებული თვისებები. ამავდროს, მისი ხატული სილამაზე და ტანის ჰარმონიული მოძრაობა შეუდარებელია ცაზე და მიწაზე ბინადარ სულდგმულთა შორის...

გულით, გონებით და სულიერად ირწმუნეთ, რომ თქვენი გარდაცვალებით უძვირფასეს ამქვეყნიურობას, როგორც რეალურ სახეს ურთულესი პროცესებით ტოვებთ და გადადიხართ იმქვეყნიურობის ღვთიურ მძაფრ გაუცნობიერებლობაში. ძნელზე ძნელია ყოველივე ამის გათვითცნობიერება, ჩემო ღვთისნიერნო! და ამ შემთხვევაშიც დიდზე დიდი მოთმინება და მოწამეობრივი მორჩილება გმართებთ...

ყოველი ადამიანის მეობა ინდივიდუალობის კოსმოგონური იდუმალი უსასრულობაა. ძლიერი და ყოვლისმომცველი აზროვნებით ამ აუცილებელ სწავლებას ჩემეულად კი არ გადმოგცემთ, არა! მხოლოდ მაღალი ღმერთის, კეთილი იესო ქრისტეს შეგონებით ვქადაგებ მუდმივი მორჩილი მოსწავლე ბრძენთაბრძენი უფლისა!

არასდროს არ უარყოთ და გარდაუვალ სიბერეს ნუ შეუშინდებით, ის დროის ასტრონომიული ათვლაა უტყუარი, თქვენივე ცოცხალი სხეულით. ჩვენი მზის სისტემის და სამყაროს მიუწვდომელი დრო კი ყველაფერს აბერებს, ციურ სივრცეში უზარმაზარ თუ მცირე პლანეტებსაც კი, მაგრამ იდუმალი მთლიანობის ხსნა მათ უწყვეტ აღდგენითობაშია...

სულიერო ძმებო, დებო, ეკლესიისა და ქვეყნის იმედო მრევლო! ურთიერთთან მხოლოდ კეთილი და ღვთიური სიყვარულ-მიზნებით უნდა ვცხადდებოდეთ, როგორც ყოვლად უკეთილშობილეს მართლმადიდებელ მრევლთან, ასევე ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებთან. მორწმუნის კეთილი სულ-გულით გებრალებოდეთ ათეისტები, შეუნდეთ და შეიწყნარეთ უაზროდ განდგომილნი...

რეალური ცხოვრების ღვთიურ იმედად იქონიეთ, რომ მარტო არსად და არასდროს არა ხართ...

თქვენში მუდამჟამს, თქვენდა საბედნიეროდ, დიდი სულიერი ღვთიური სიკეთეა ჩასახული. გიწევთ რთულზე რთული წუთისოფლობა, რომელშიც უზომო ჯაფაა გასაწევი მრავალშინაარსიანი ცხოვრების განცდებით სავსე, მაგრამ ამქვეყნიური მოღვაწეობის

ყოველმხრივი სირთულეების მიახლოებით გარკვევაში, თქვენეული გულმართალი რწმენა და სულიერი სიწმინდეა თანამდგომი, ესეც მიზანთ უსასრულობაა დიდი...

დღევანდელ ამ სარწმუნოებრივ სწავლებაში, რაც მე მოგახსენეთ, ის მხოლოდ გონებრივი სულიერ-გულისმიერი მაღალზნეობრივი და პატიოსანი შრომით მიიღწევა.

ადამიანი, კეთილნო სულნო ჩემნო, სხვადასხვა ფერის, ზომის და განწყობილების ციური პლანეტაა, მარადიული წვით და შინაგანი გარდაქმნებით. აქაც ღვთივიდუმალებაა უზომო...

გთხოვთ, ძლიერ შეისისხლხორცეთ, სათუთად შეინახეთ და გაუფრთხილდით თქვენს კოლხურ-იბერიულ გენს, ჯიშს, წარსულის ისტორიას და ზნე-ხასიათს. ასევე დიადური შემართება, სიყვარული და სულიერი სიმტკიცე, უმწიკვლო სიკეთე-თავმდაბლობა ყველგან და ყველაფერში, უშიშარი მედგრობა და კაცთა შორის შუათანობაა ზეადამიანური ურთიერთობის ბეჭედი. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, მარადის გქონდეთ უტეხი რწმენა, სიყვარული და მორჩილება ღვთისა. უძილო ღამეების და სიცოცხლის ფასადაც იღვაწეთ იბერიის და საკაცობრიო მომავლისათვის.

ქრისტიანობის და სამშობლოს მტერს შეებრძოლეთ ჯერ არნახული თავდადებით; გიყვარდეთ ნიჭიერნი, შეინდეთ უნიჭონი და თანაუგრძნობდეთ ხელმოცარულებს; განადიდეთ მშრომელი, გმირი, უფალს და სამშობლოს შეწირული ხალხი. ღმერთი სამებითაა და გულუხვობით თანაუგრძნობდეთ ყოველთა მათ...

ეცადეთ, ნებისმიერ პიროვნებაში ეძიოთ ღვთიური სიყვარული, სიკეთე და სათნოება. სიღრმისეულად შეიცანით მათ ადამიანურ ბუნებაში ძვირფასი რაცაა და კეთილგონიერად პატივი ეცით. შეიგრძენით, რომ ჩემგან წარმოთქმულ ყოველგვარ ამ სიბრძნეს ზეკეთილი უფალი გვასწავლის; შეეცადეთ, ყველაში და ყველასთან ბოროტება გააცნობიეროთ და შემდგომ უცილოდ მაცხოვრისეული სიბრძნე-სიკეთით დაუპირისპირდით. ეკლესიურად იმოქმედეთ, იაზრეთ და გირჩევთ, ცხოვრებით არასოდეს დაიღალოთ. ყოველმხრივ ეცადეთ, გარდაცვალებამდე დღენიადაგ იშრომოთ და იღვაწოთ, გაჭირვებისას იყავით უდრეკნი და მხოლოდ წმიდათაწმიდა ღვთიურობით იცოცხლეთ.

ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, წინაპართა საფლავები არ დამიტოვოთ კურთხევის გარეშე...

კეთილო იბერიელებო და ურთიერთძმანო კოლხებო, ამით დავამთავროთ დღევანდელი საუბარი და გულითადად მინდა, უკანასკნელი არ გამოდგეს ჩემი გულღია კეთილი, გულგონიერი და სულით სახარებისეული ქადაგება. ყოველივე ეს ბოლოა თუ არა, უფალმა უწყის, რადგან სამყაროს საკვირველ მეხსიერებაში წარმოუდგენლად მიუწვდომელი, ყოველთა გამაოცებელი საიდუმლოებაა განფენილი.

ამ მიმართვის შემდგომ, წმიდა ნინო, ნელი ნაბიჯით, დაღლილ-დაღონებული, ნაცრისფერი ქვის ამბიონიდან დინჯად ჩამობრძანდა. თლილი ქვა-კირით ახალაშენებულ, მიწისძვრათა შემტევ მცირე ბაზილიკის ეკლესიიდან მწვანილოვან ეზოში გავიდა, იქვე მდგარ უძველეს მუხის სკამზე ჩამოჯდა და დუმილნარევი სახით თვალცრემლიანი ჩუმად ატირდა. მხოლოდ ღრმად მორჩილმა დედა სიდონიამ მორიდებით გაბედა დამწუხრებულ, სევდიან წმინდანთან მისვლა და ღაწვებზე ჩამოყრილი თმა გაუსწორა, თან მარჯვენა ხელის მტევნის ზურგით გაფითრებულ ლოყაზე ცრემლი შეუმშრალა. მძიმე ფიქრებით დანისლულმა დედა სიდონიამ სამჯერ პირჯვარი გადაისახა. მართლაც უკანასკნელი გამოდგა წმიდანის ბერ-მონაზვნებთან და მრევლთან იმ დღის ტკივილნარევი და სულდამძიმებული ქადაგება.

გამთენიისას, დამთრგუნველი განცდებით დამძიმებულ სივრცეში, სრულიად იბერია-კოლხეთის პირველი უთვალსაჩინოესი მოციქულთა სწორი წმიდანი მშვიდ ძილად მიიცვალა. მის შემშრალ ბაგეთაგან, ჩამავალ მზესავით უშორესი და უკანასკნელი იდუმალი ჩურჩული ვერავინ გაარკვია: შემდეგ ითქვა, დედა მასწავლებლისგან უთუოდ საქვეყნო ლოცვა იყოო უკანასკნელი.

უძველესი კოლხური შინდისფერი აბრეშუმის სუდარაგადაფარებულ ღარიბულ სარეცელზე თითქოს ეძინაო, მილეულ გულმკერდზე ვაზის ჯვარდასვენებულ წმინდანს. მიცვალებულის ჯერ არნახული განწყობილება სუფევდა ცოცხალივით იმედსავსე ცხედრის ირგვლივ... დაბა ბოდბეს, კუხეთ-კახეთის-იბერიის და კოლხეთის ზღვისპირეთამდის მწუხარე დრო და სივრცე გულისჩამწყვეტი უზომო სამგლოვიარო გოდება-მოთქმით გაივსო...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვასილ ბოსტაშვილი

წინათქმა

ჩვენში ერთი მოარული ფრაზაა — „ძნელია იყო ქართველი“.

ქართული სული შორეული წარსულის ღრმა ფესვებიდან მოდის და საუკუნეთა მანძილზე ამის შენარჩუნება იოლი საქმე არ არის. შეინარჩუნო და არ დაივიწყო ის, რაც ქართველი კაცის ღირსებაა, სიამაყეა, სიწმინდეა, ნიშნავს არ დაგავიწყდეს „ვისი გორისა ხარ“, არ გაუჩინარდე. ეს კი, როგორც ამ ბოლო დროს ჩანს, ყველაზე ძნელი საქმე გახდა.

ძნელია გულგრილად უყურო სვეტიცხოველს, ან იცხოვრო რუსთაველის შეგონებით. ძნელია ბოლომდე გაჰყვე არამიწიერ გზაზე გალაკტიონს, ანდა ფიროსმანის ფერთა გამას გაუსწორო თვალი. ადვილი სათქმელია მზის სითბოსა და სიყვარულისაგან დაგრეხილი ვაზის მოვლა და მერე მათრობელა ღვინის დაყენება.

პოემა ეძღვნება X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XI საუკუნის გამორჩეულ მოღვაწეს, დიპლომატსა და მჭევრმეტყველს, პროგრესულად მოაზროვნე ფეოდალური არისტოკრატიის მეთაურს, აფხაზთა მეფის მიერ ქართლის ერისთავად დანიშნულ — იოანე მარუშისძეს, რომელმაც გადადგა შორს გამიზნული ნაბიჯი... მოგეხსენებათ, ფეოდალური მონარქიის პერიოდში ქართული მიწების ერთ სამეფოდ გაერთიანება რეალურ საქმედ ისახებოდა, ამ დიდი საქმის მოთავეობა იოანემ დავით III შესთავაზა... მისი ძალისხმევით გამეფდა ბაგრატ III.

ბაგრატმა შეძლო დიდგვარიანი აზნაურების — ქავთარ ტბელისა და რატი ბაღვაშის დამორჩილება, დაქსაქსული სამთავროების — შავშეთ-კლარჯეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთ-ჰერეთის შემოერთება, სამშობლოს მტრების — ბიზანტიის კეისრისა და განძის ამირას დაოკება და საქართველოს გაერთიანება... იგი იწოდებოდა: „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

საქართველოს პოლიტიკურ ცენტრს და მეფის რეზიდენციას უფლისციხე წარმოადგენდა.

პოემაში ასახულია იოანე მარუშისძის სასიყვარულო თავგადასავალი...

გამოხატულია საქართველოს თითოეული კუთხის ნიშან-თვისებანი...

ვასილ ბოსტაშვილი

მარუშისძე

პოემა

დგას მეათე საუკუნის მიჯნა,
ცა დააზრო სუსხიანმა ქარმა...
გულისგული ყორანივით ჯიჯგნა,
მოღალატე ფეოდალთა გვარმა...

უმეცართა სიბრმავეა შური,
სიხარული მწუხარებამ მოსრა...
სხეულია წუთისოფლის მდგმური,
სირცხვილია ფუყე თავის მოჭრა...

უბედობას უჟამობა წყევლის,
მრისხანეა შურისგების ზარი...
სიცოცხლეა მძიმე ბრძოლის ველით,
გოლგოთაზე ასატანი ჯვარი...

მზე ცეცხლივით მოსდებია სოფელს,
უალერსებს ვრცელი ხორბლის ყანას...
სული შესთხოვს უფალს, ნათლის მთოველს,
რომ დაიწყოს აღმავლობის ხანა...

ურცხვად კრეფდა ბეგარას და ღალას,
შინაური მოყვარე თუ მტერი...
მუხანათურ ავკაცობას მალავს,
მეფის მხევალს მოყოლილი გერი...

მზენათელი აზრიალდა თმოგვი,
სამრეკლოდან სხვა ჰანგები ქრიან...
არაბთა მტვერს სარკინოზი მოგვის,
ტყვენი თავებს ფოთლებივით ხრიან...

დააღწიეს მუსლიმანთა უღელს,
შინამტრობით გაჩეხილი თავი...
გამოყრუვდა ციხის კოშკი წუხელ,
შემზარავად რომ ჩხაოდა ყვავი...

მიწასავით ჩაეხუტა გუთანს,
სიყვარულით მოღიღინე გლეხი...
არავისი არაფერი შურდა,
სამშობლოში მოიკიდა ფეხი...

გააშენა აჩეხილი ზვარი,
ტაძარს ვაზის შეუხამა ფრესკა...
გამოაღო ცად ხუთივე კარი
და ნისლებში მზის სხივები თესა...

ათავთავდა ალავერდის მკერდი,
ხოხობივით მოიღერა ყელი...
კამარებში აეტანა ბერდიდს,
ჯვარი რწმენის — ჭეშმარიტი ძელი...

დიადემად მოეხვია მცხეთას,
იოანეს წმიდა ნათლის სვეტი...
საარაგვოს ზედაზენთან კვეთდა,
სულიწმინდად მოვლენილი მტრედი...

სიხარულით აშრიალდა ტაში,
ჟრუანტელმა დაუარა დარბაზს...
არაგვი მტკვარს ჩაეხვია ცაში,
ნისლთა ჯვარი გადასახა არმაზს...

ბედიის მზე აელვარდა ცხუმში,
მტერთა ღრუბელს დაუყენა თვალი...
ურჩხულს შუბი გაუყარა გულში,
მოიმარჯვა ორლესული ხმალი...

მარუშისძემ დაუჩოქა მეფეს,
მიაწოდა უთეთრესი დროშა...
მოვარდნილი ქარიშხალნი ყეფენ,
საქართველო ერთიანი მოჩანს...

მცირეწლოვანი ბაგრატის მეურვე

მარუშისძე ყვავილივით ზრდიდა,
მცირეწლოვან და ონავარ ბაგრატს...
მართვესავით ფრთებს უმწეოდ შლიდა,
თეოდოსთან დაამკვიდრა ტაძრად...

აფხაზეთის უსინათლო მეფე,
ბებრულ ჟამის კრიალოსანს თვლიდა...
მარტოსულნი სიმარტოვეს კრეფენ,
უმზეო და უვარსკვლავო ციდან...

დღეში შვიდგზის აკითხებდა ლოცვებს,
სამეფო კვერთხს დაყრდნობილი ბიძა...
სიყვარულით უღიმოდა მლოცველს,
ნათლის სვეტად ჩამომდგარი ძიძა...

ითვისებდა ნერგი სულის სიღრმეს,
ისრუტავდა მაცოცხლებელ ძალას...
ჭურჭელივით ივსებოდა სიყრმე,
ცოდნის წყურვილს უმძაფრებდა სწავლა.

მონასტერში აკითხავდა ბერთა,
ესწრებოდა წირვასა და ტრაპეზს...
სანთლის შუქზე ყალმით ლექსსაც წერდა
და მამათა გამონათქვამ ფრაზებს...

მარუშისძე ასწავლიდა ჯირითს,
ფიცხელ ომში სატევარის ტრიალს...
უნერგავდა შემართებას გმირის,
რომ შებმოდა მტერს, ვერაგს და ტიალს...

რომ უდაბნო წყურვილია სულის,
სიცოცხლეა ბეწვის ხიდზე გავლა...
მთაზე ლოდის ატანაა რთული,
მწვერვალამდე უშეცდომოდ ავლა...

იოანე მარუშისძე ხშირად უამბობდა მცირეწლოვან ბაგრატს მითრიდატ პონტოელზე

ბაგრატს ნაკითხი აღმზრდელი ჰყავდა,
მჭერმეტყველი და დიდი რიტორი.
სახით მითრიდატ პონტოელს ჰგავდა,
ძარღვში უჩქეფდა ღმერთთა იქორი*...

უფლისწულს ახსოვს თქმულება რომზე,
მიუყვებოდნენ ტალანს ლანდები...

*იქორი — მითოლოგიურ ღმერთთა სისხლი

მზე „მითრიდატეს“ ყვებოდა ომზე,
ცას ამინდივით სცვლიდნენ ამბები...

ჰალისის პირას ჩაწვა ფალანგა,
ზარდაცემული გარბოდა მტერი...
აღვირახსნილი ქცევა ალაგმა,
ურჯულოთაგან დაიცვა ჭერი...

რომმა პონტოსთან ითხოვა ზავი,
კოლხეთში ატყდა ავი გრიგალი...
აჯანყებულებს დააცხრა ზვავი,
მურენას ჯართა შლეგი ჯირგალით...

პოსეიდონი ადიდა მეფემ,
ზღვაში ჩაუშვა თეთრი ცხენები.
ხომალდებიდან მებრძოლნი ყეფენ,
ცა გადასერა ნისლმა ჭენებით...

ქალკედონს იდგა არმიით კოტა
და მითრიდატეს ჯარებს ელოდა...
გაიბრძოლა და შეშინდა ცოტა,
გაქცეულს ფლოტიც ვეღარ შველოდა...

მჭიდროდ ჩარაზა ქალაქის კარი
და ხმამაღალი ხმითა ყვიროდა:
— „თავგანწირვაა დღეს ჩვენი ჯვარი,
თავს ნუ გაიხდით სანადიროდა!..“

რომმა სასტიკი იგემა მარცხი,
პონტოელთ დარჩათ სამოცი გემი...
წაღმა უკუღმა ბრუნავდა ჩარხი,
ფარნაკეასკენ დაიძრნენ მტრები...

მითრიდატ მეფე მიადგა სომხეთს,
სიძეს საომრად გაყოლა სთხოვა,
უთხრა: — „დრო არი, საომრად მომყვეთ,
თორემ ლუციუს სომხეთშიც მოვა!..“

არ დაუჯერა ტიგრანმა სიმამრს
და რომაელთა ჯართან დამარცხდა...
ვერ იხსენებდა საშინელ სიზმარს,
რომელიც უკუნ ღამეს ჩაბარდა...

ქაბეირაში ქვა მოხვდა კოჭში,
გმირ პონტოელთა მეფეს და სარდალს...
ხმალის ტრიალით წამოხტა წუთში
და დაერია რომაელთ, ართვალთ...

გაიზუზუნა მწარედ ისარმა
და მითრიდატეს ჩაერჭო თვალში...
და დაიზმუვლა ვითარცა ხარმა,
ცა შეიმოსა ძოწისფერ ალში...

მისცვივდნენ სკვითი ექიმბაშები
და შეაზავეს შხამი გველისა...
მებრძოლნი იდგნენ როგორც ბავშვები,
ვით ყვავილები ვრცელი ველისა...

ხუთ დღეში მეფე წამოდგა ფეხზე
და გაირეკა რომაელები...

მტერს აშინებდა მზარავი მეხზე,
სისხლით მოსვრილი ჰქონდა ხელები...

სამოცდაშვიდ წელს ქალაქ ძელასთან,
რომაელებმა დაჰკრეს ნაღარა.
ტრიარიუსის ხმალი ელავდა,
ჯარი სკოტას მთას შემოატარა.

მთიდან ერთბაშად დაეშვა ზვავი,
პონტოელებსაც მოსწყურდათ ბრძოლა.
ხევში შთაინთქა ღრიალი ავი,
მდინარეს გაჰყვა შიში და ძრწოლა...

ისართა წვიმა დააცხრა ირისს,
იკლაკნებოდნენ წყალში გველები...
მიწა უსმენდა არესის ტირილს,
ირეცებოდნენ რომაელები...

მკერდამდე წყალში იდგნენ ხეები,
ნაფლეთებში და სისხლში ცურავდნენ...
ცად აღემართათ მძიმე ხელები,
სანამ მეწამულს დაახურავდნენ...

გადარჩენილმა ჯარმა მოკურცხლა,
მათ მითრიდატე მისდევდა ჩეხვით...
უეცრად ბედი მან გადმოფურცლა,
რომ შემზარავი გავარდა მეხი...

ცენტურიონმა აძგერა ხმალი,
ბრძოლაში გართულ პონტოელთ მეფეს...
სარდალთ აებნათ ალი და კვალი,
ჭრილობებიდან ჩანჩქერნი ჩქეფენ...

იქვე აკუწეს მცველებმა მტერი,
მეფე ბრძოლიდან გამოიყვანეს...
ღრუბლებად აჩნდა ფლოქვების მტვერი
გზას, მთებიდან რომ ამოიყვანეს...

სასოწარკვეთას მიეცა ჯარი,
მხედრობა უკან გამოიწვიეს...
ბღაოდა ტყეში ირემი-ხარი,
საიდან, ეს ვერ გამოიძიეს...

მზესავით იწვა მეფე მიწაზე
და ექიმბაში თრთოლვით კურნავდა...
დრო უდროობის ეგო ფიწალზე,
ცასა და მიწას შუა ბრუნავდა...

მკურნალთან ერთად ავიდა ბორცვზე,
ჯარს ეჩვენა და დაანუგეშა...
მზერა მრისხანე გაუხდა ქორზე,
სარდალთ მიმართა ძალზე უხეშად:

— „რად მოაბრუნეთ მებრძოლნი უკან,
ამხელა გზა რად გამოიარეთ?!.
დღეს ტრიარიუსს შევიპყრობ უგვანს,
არ ვაპატიებ ამ ნაიარევს!..“ —

ეს თქვა და ცხენზე მძიმედ ამხედრდა,
დაძრა მხედრობა ურიცხვ მტრისაკენ...

რომმა შეტევა ვეღარ გაბედა
და უკუიქცა სახით მტვრისაკენ...

მზე მიიმალა ტალანის ბოლოს,
დაისი იდგა ეზოს ჭიშკართან...
იოანეს ხმა ისმოდა მხოლოდ,
იფურცლებოდა თოვლი მყინვართან...

ერისმთავარი შეიჭრა ქართლში

ერისმთავარი შეიჭრა ქართლში,
თავზარი დასცა ორგულ თავადებს...
მოღალატეებს არ დარჩა ვალში,
უმეფეოდ რომ გაინავარდეს...

სარგისმა ძოწით შეკაზმა ცხენი
და მარუშისძეს ჩორთით ეახლა...
ძმა დაასმინა მოთაფლულ ენით,
თმა ყალყზე ედგა, ხმა აემაღლა...

ამბობდა: — „უწყის მაღალმა ღმერთმა,
გლეხებს წაართვა გვარამ სათესი...
მიისაკუთრა მიწანი ერთმა,
არ გაახარა არვინ სხვა ფესვი!..

ხარჭად დაისვა მეუღლე მთავრის,
რომ მოეგუდა ცხენის აღვირსა...
ამოიყარა თავადთა ჯავრი,
საწყალ ხორეშანს მზე არ აღირსა...

შეავიწროვა ციხე არაგვთან,
ძღვენი გაგზავნა ამირ-არაბთან...
ასი რჩეული ქალი და ვაჟი,
ძვირფასეული, ზურმუხტ-ბადახში...

ძღვენი მიიღო ვაცისწვერებამ,
მას სხვანაირი სურდა ფერება...“
სტუმარი სარგისს უსმენდა დიდხანს,
„საით არისო, გვარამი?!“ — ჰკითხა...

— „შეუკრებია სურამთან ჯარი,
წინ მოუძღვება სარდლად თავადებს...
ცხენს მოაჭენებს ვითარცა ქარი,
ლამის სიკვდილსაც გაუთამამდეს...“

დარახტულ ცხენზე ამხედრდა ავი
და უმძიმესი იშიშვლა ხმალი...
დღე გაუთენდათ თავადებს შავი,
ყორნებმა ჯიჯგნეს ხორცი და ძვალი...

ხელებშეკრული მოჰგვარეს გვარამ,
სისხლში მოსვრილი მიწად ფორთხავდა...
მეფის აღმზრდელმა უმზირა ვარამს,
ურჩხულში გული როგორ ბორგავდა...

გლოვობდნენ სირცხვილს ციხისჯვარეულს,
გაშიშვლებული ქართლის ტყეები...
აბრიალებდნენ თვალებს არეულს,
ძირს დამხობილი ურჩი ტყვეები...

— „შეუხსენითო მკლავები!“ — ბრძანა,
თუ ჭექასავით გაისმა ექო...
სირცხვილეული ჩრდილები წვანან,
ღირსეულს ხმალი ქარქაშში ეგო...

— „მოწყალე მექმენ, მარუშისძეო“! —
ჩაილუღლუღა ჩუმად გვარამმა...
— „დაგიბნელდება მახვილით მზეო!..“ —
დაიღრიალა ხმამ შემზარავმა...

ჯალათმა ღამეს მოჰკვეთა თავი
და უსახური ფიქრი გაფითრდა...
საყვირია რომ ხარივით ბღავის,
შიშით მოცული გული ატირდა...

თვალწინ წარსული დაუდგა თავადს,
სისხლჩაქცეული თვალნი დატბორა.
წელში მოხრილი ათრთოლდა ავად,
ცოდვამ დათვივით, მძიმედ დატორა...

წამოაყენეს ფეხზე მტვრიანი
და იოანემ თვალში ჩახედა...
თოვლქვეშ ყვაოდნენ ლურჯი იანი,
დაღწევა სურდათ თოვლის მახედან...

ცახცახს მოეცვა შუახნის კაცი,
ბრგე აღნაგობის, მზერით ველურის...
დროს მოეხატა წარბები ცარცით,
სიმკაცრით, დარდით და საყვედურით...

— „რამდენიმე დღე დილეგში ჩასვით!
პური აჭამეთ და წყალი ასვით!..
ღმერთმა შეუნდოს, ნუ ვიტყვით ძვირსა,
არ მიმაჩნია სიკვდილის ღირსად!“ —

თქვა იოანემ, ჰკითხა ყოველთა:
— „რით მოიპოვებთ მოსაპოველთა?!.
რითი სჯობიხართ გვარამს და სარგისს,
რომ გამოარჩევთ უვარგისს ვარგისს?!.“

გორის ციხეში გამოამწყვდიეს,
დიდგვაროვანი ფეოდალები.
ქვეყნის ღალატი არ აპატიეს,
არ დაუთხრიათ თურმე თვალები...

ქართლის ველებზე დანავარდობენ,
სუსხიანი და ცივი ქარები...
მოღალატეთა მსგავსად დარდობენ,
თავმოდრეკილი ხეთა ჯარები...

მთელი ამალით დაბრუნდა ცხუმში,
მხიარულებით და სიმღერითა...
სამშობლოს ფრესკა აენთო გულში,
ჯვარზე ვნებული ღვთის იერითა...

იოანეს სიზმარი

წყარო კლდოვანი მღვიმედან მოჩქეფს,
ტყეს ჩრდილოეთით აკრავს მწვერვალი,

ქარი ნისლს ჩუმად თეთრ ნაჭერს მოხევს,
თვალს აიცრემლებს ტურფა მხევალი...

ფერხულს უვლიან ნიმფანი ღამით,
ქალღმერთისათვის ტკბილად გალობენ
და არტემიდე ამაყობს ამით,
ფერიები რომ უხვად წყალობენ...

ჭაბუკს წყაროსთან მიაქვს ამფორა,
სარკეში მოჩანს მთვარის ნამსხვრევი...
თითქოს ქალწულის ტუჩს ეამბორა
და შეეშინდა წყალის ამღვრევის...

ჭურჭელი მძიმედ დაუშვა ფსკერზე,
უნდოდა მთვარეც რომ ამოეღო...
ლივლივებს სითხე სხვადასხვა ფერზე,
ოქროს ნათება წყალს გამოეყო...

ჰილასს აუტყდა უცებ ხარხარი,
მღვიმედან ქარმა გაიკისკისა...
ნიმფამ დატოვა თავშესაფარი,
ვაჟს დაეძგერა გროვა ისრისა...

რხევით მიჰქონდა დიაცს სხეული,
წყალს აერეკლა სიშიშვლე მისი...
წელს ქვემოთ სცემდა თმანი ხვეული,
გაშმაგებული ალერსის ღირსი...

მარმარილოსფერ პაწია ფეხებს,
არ აშინებდა წყარო ყინულის...
სიარულისას ისროდა შხეფებს,
თითქოს დნებოდა ფეხქვეშ ყინული...

ახლოს მივიდა ნიმფა ჰილასთან,
ზღვისფერ თვალებით სულში ჩახედა...
მთვარე გაფითრდა ლამაზ დილასთან,
კალმახი გასხლტა საკალმახედან...

ლამაზი იყო მართლა ჭაბუკი,
ენაჩავარდნილს რა უნდა ეთქვა?!.
ყვავილს ტანჯავდა ტრფობის ქარბუქი,
აცახცახებდა მკერდს გულის ფეთქვა...

ამოიხავლა რაღაცა ქალმა,
არ გაუგია ვაჟს არაფერი...
გამოაფხიზლა ყინულის წყალმა,
ნაპკური ცრემლით იყო ნაფერი...

პირი დააღო დასაყვირებლად,
სუნთქვა შეუკრა ალქაჯის კოცნამ...
მარწუხებს ხვევდა გასაკვირველად,
მზემ სიმხურვალით წყალს სხივი სტყორცნა...

წამით დაუსხლტა ჰილასი ნიმფას
და გამყინავად ამოიყვირა...
შემოუხვია მკლავები ზილფად,
ვნებამ სხეული გამოიჭირა...

ელვად მოიჭრა გუნდი ნიმფათა,
ვაჟი არ იყო მათი მომრევი...

აიტაცეს და ძალით მიჰყავდათ,
მღვიმესთან მბრუნავ უღრმეს მორევში...

დაფეთებული წამოხტა ტაძრად,
ცა მარუშისძეს მკლავზე ეწვინა.
აცახცახებდა შემცივნულს მაგრად,
გამოერკვია რომ დაეძინა...

გვანცა

უფლისციხეში გუმბათის მგვან ცას,
ახმიანებდა წყარო კრიალა...
განუცდელ გრძნობას უმღერდა გვანცა,
მზით ივსებოდა ტრფობის ფიალა...

თითთა შეხებით ათრთოლდა თარი,
ვარდობის თბილი თოვდა ამინდი...
ბანს მოსძახოდა ფოთოლთა ჯარი,
ქალწულს უხმობდა ჟამი დაწინდვის...

მზე ფრთებზე ეჯდა ყელგამშრალ წეროს,
სიამოვნებდა გრილი ნიავი...
ანგელოზურად უმღერდა ეროსს,
ჟრუანტელს გვრიდა წყარო სიამით...

დაუნდობელი იყო ყმაწვილი,
რომ ერთობოდა გულთა თამაშით...
აფროდიტესი სულის ნაწილი,
ქალღმერთის თვალთა იასამანში...

ვერ გაურბოდნენ უკვდავი ღმერთნიც,
ცელქი ჭაბუკის ყოვლისმძლე ისარს...
აძაგებდნენ და რისხავდნენ ერთნი,
სხვანი უშვერდნენ გულისა ფიცარს...

— „რაში გჭირდება ეგ მშვილდ-ისარი,
ხმარება ალბათ იცი პატარა!..
დაგამარცხებ და ძალა ღვთის არი!..“ —
თქვა აპოლონმა, გადიხარხარა...

გულში სიფიცხე დაასამარა,
დარდის ეკალმა კედლები ჩხაპნა...
ეროსმა ცაში შეკრა კამარა
და შეამჩნია მიწაზე დაფნა...

მდინარის ღმერთის პენეევსის ქალი,
ტყის განაპირას მიიმღეროდა...
ცას მოსდებოდა დაისის ალი,
სულს აღელვებდა ჯარი ჩეროთა...

კაპარჭს მოაკლო ორი ისარი,
ერთი — ოქროსი, ერთი — ტყვიისა...
ოქროსი წმიდა გრძნობისთვის არი,
ტყვიისა არის სიძულვილისა...

ოქროსი გულში ტყორცნა აპოლონს,
ტყვიით საბრალო დაფნა დაისრა...
აფორიაქდა ზღვა უთავბოლოდ,
ძარღვებში სისხლი მძლავრად დაიძრა...

მშვენებით სავსე პენევსის ასულს,
არ ასვენებდა ბრწყინვალე ღმერთი...
მოთმინებათა მწვერვალზე ასულს,
მამასთან თხოვნა შემორჩა ერთი...

ისურვა შეცვლა ლამაზი სახის,
ითხოვდა სულაც ხედ რომ ექცია,
რომ აპოლონის სამოთხის ბაღი,
ცივ ჯოჯოხეთად გადაექცია...

შვილს შეუსრულა პენევსმა თხოვნა
დაფნა ლამაზ ხედ გადააქცია...
ღმერთმა მიჯნურის ვერ შეძლო პოვნა,
თვალთაგან ცრემლთა ზღვა დააქცია...

დაფნის გვირგვინით შეიმკო თავი,
ვერ განიკურნა გულის იარა...
უთვალავ სხივად ეშვება ზვავი,
ეროსმა სიკვდილს რომ აზიარა...

თითები თრთოლვით შორდება სიმებს,
დაისი მოჰგავს ქალწულის სახეს...
ქალღმერთი ღამის მოსასხამს იცმევს,
სიმღერით თავის მომავალს ამხელს...

სტუმრად ეწვია აბულეთს უცხო,
არ შეუტყვია, მღეროდა გვანცა...
თვალები ქალწულს ზვერავდნენ უხმოდ
და თვალთა სხივმა ჭაბუკი გასცა...

მოსული ზვიადს მოგავდა არწივს,
რომელიც ერთგულ თავადს უცდიდა...
ეპყრა უსტარი — ძვირფასი განძი,
აბულეთს მეფის თხოვნას უწვდიდა...

ბაგრატ III-ის უსტარი თავად აბულეთისადმი

უსტარსა ვრცელსა ეწერა ყალმით:
— „მამისა, ძისა და სულიწმინდით,
ბაგრატ მესამე მოგმართავს სალმით,
მოგველის ომი, მძიმე და დიდი!..

ქავთარ ტბელმა და ბაღვაშმა რატიმ,
ქართლის საზღვარზე შეჰყარეს ჯარი...
მათ შეურაცხყვეს სამშობლოს ხატი,
რომ გაუჩინეს ერთობას ბზარი.

მოგმართავ თხოვნით აღიღო ხრმალი,
მიტაცებული ვიხსნათ მიწანი...
მტერს დაუდგება მოშურნე თვალი,
დავიხსნათ ველნი სამოთხისანი...

აფხაზეთიდან მოვალ ლაშქარით,
უწმინდურ ურჩხულს ლახვარი ჩავცეთ...
ბაგრატოვანთა ხელში საპყარი,
მახვილი ორგულთ შიგ გულში შთავცეთ...

გიგზავნი უსტარს აღმზრდელის ხელით,
თან გეახლება ბრძოლასა შინა...
ლიხით გადმოვალ და იქვე გელი,
ქართლში რომ მყარად დავიდო ბინა!..“

თრთოლვით დაკეცა ტყავის გრაგნილი,
მარუშისძე შინ შეიპატიჟა...
გააწყეს სუფრა და პურ-მარილი,
გულუხვი კაცის ჩანდა ნაბიჯად...

ნადიმი

აუციმციმდა თვალები გვანცას,
სტუმარი ნატიფ ხელს ეამბორა...
აღფრთოვანების ეწვია განცდა,
ცრემლმა უღრმესი თვალნი დატბორა...

წინ მთვარესავით გაუძღვა ზეცას,
ეკვეთებოდა სუსტი მუხლები...
მოხდენილად და შალიფად ეცვა,
არ ეხებოდა მიწას ქუსლებით...

ანგელოზივით მოესხა ფრთები,
ტალანისაკენ რომ მიაფრენდა...
ჩიტთა ჟრიამულს მოეცვა მთები,
ლანდთა სილურჯეს ტევრს მიაფენდა...

უფლისციხეში ყვაოდა ვარდი,
სურნელი უგრძნობ გრძნობას ათრობდა.
ტოტიდან ტოტზე ნიავი მარდი,
უმსუბუქესი ფრთებით დაჰქროდა...

ეძალებოდა ღამეს თამადა,
მოწყურებული ცლიდა სასმისებს...
თავადს მოესხა მთანი ნაბადად,
სხეულს უთბობდა ღვინო ღამისვე...

მუსაიფობდნენ შრიალით ხენი,
აშოლტილნი და შავჩოხიანნი...
იხსენიებდნენ ორგულებს წყენით,
უშიშარნი და სახელიანნი...

კრძალვით წამოდგა მორცხვი სტუმარი,
თქვა სეფე სიტყვა, სასმისი შესვა...
მოზვავდა გრძნობა ცით ნაგუბარი,
მიმინოსავით ცერზე რომ ესვა...

ეროსის ისრით დაისრულს ჰგავდა,
თავბრუსა ხვევდა გვანცას სახება...
თვალთა ღამეში ჩახედვა წვავდა,
ცა შორი იყო ხელშესახებად...

ქართლის ურჩი დიდგვაროვნების დამორჩილება

ქართლის საზღვარზე იდგა ქავთარი,
ღრუბლებს აევსო ტრიალი ველი...

ილეწებოდა ფარი, აბჯარი,
გავეშებული ქართველის ხელით...

ყაყაჩოსავით ყვაოდა სივრცე,
მზე შუბისტარზე ცრემლად ესვენა...
ღრუბელთა აკვანს ნიავი არწევს,
დაისისაკენ გადაესვენა...

ძე მარუშისა უხმლოდ იბრძოდა,
ცხენდაცხენ, მძიმე ფარის ძგერებით...
ტალახიანი მიწა იძვროდა,
ეტანებოდნენ გვამებს ძერები...

უკუაქციეს დიდგვაროვანნი,
ბაგრატმა შიდა მტერნი ალაგმა.
მუხლებზე იდგნენ ჯაგნი, მტვრიანნი,
შვება შეიგრძნო წმიდა ალაგმა...

რატი ბაღვაშმა დათმო კლდეკარი
და გადასახლდა მთიან არგვეთში...
მეფემ აფრინა არგვეთს მხედარი,
ძალა შეიცნო რატის მართვეში...

კლდეკარში მთავრად რატის ძე დასვა,
ქართლი ამგვარად დაიმორჩილა...
ურჩ ფეოდალებს სამსალა ასვა,
კახეთ-ჰერეთიც იქმნენ მორჩილად...

სამთავროები შავშეთ-კლარჯეთი
და მთელი სამცხე შემოიერთა...
ბაგრატიონნი ეპყრა კლანჭებით,
გადაიხვეწნენ „მტერნი“ ივერთა...

სიყვარული

უფლისციხეში დამკვიდრდა მეფე,
მზე სიყვარულის ხატად ხარობდა...
ლურჯ ოცნებათა ჩქერალნი ჩქეფენ,
მდინარედ ქცეულ გრძნობის წყაროდან...

ხშირად სტუმრობდა გვანცას თავადი,
აღმზრდელი ბაგრატ კურაპალატის...
მხიარული და თავისთავადი
და მჭევრმეტყველი მეფის პალატის...

შესრულებია ორმოცი წელი,
დიაცს მოსწონდა ლომის იერით...
ბრგე აღნაგობის, მაღალი, ხმელი,
უშიშარი და ლომზე ძლიერი...

ოქროს კრატერში უსხამდა ნექტარს,
სითხეს უტკბესი სიყვარულისას...
და იოანე უმზერდა ნეტარს,
ვეღარ უმხელდა სათქმელს გულისას...

ჟამთა წრებრუნვას ითვლიდა შარა,
მზე თვალთა ტბაში ცრემლს მოელოდა...
ტყე შრიალებდა: — ჩქარაო, ჩქარა!..
წყვილი დაისის ამბორს ელოდა...

ჩიტივით კრთოდა თავადის ქალი,
შემოხვეოდა სალტედ მკლავები...
ცას მოსდებოდა სიმორცხვის ალი
და ცახცახებდნენ მუხლისთავები...

სიწითლე ურცხვად ლოკავდა ყვრიმალს,
სუნთქვა ათბობდა ყურის ბიბილოს.
აყოლილიყო ფოთოლთა შრიალს,
ტოტების ჩრდილქვეშ მყოფი ღიღილო...

ცხელი სხეული ეკვროდა სხეულს
და განშორებას აღარ ჩქარობდა...
წყვილი ფურცლავდა დღეთა ჭრელ რვეულს,
მზე ტაძრისაკენ მიიჩქაროდა...

იმარცვლებოდა ღამედ გიშერი,
ულამაზესი ქალწულის ხელში...
მთვარედ ეკიდა მამის შიმშერი,
ჭოტი ეულად კიოდა ბნელში...

ბაგრატ III მამის გარდაცვალება

გარდაიცვალა მეფე გურგენი,
ბაგრატ მესამის ლომგული მამა...
აყმუვლდნენ მთანი, როგორც ძუ მგელნი,
ენკენის მთვარე შეისვა შხამად...

ანგელოზურად დადუმდა ღამე,
ზარდაცემული იდგა ხარება...
თვალცრემლიანი ითვლიდა წამებს,
ათრთოლებული ტყის მწუხარება...

ერთად დასცვივდა ყველა ფოთოლი,
სამეფო ტახტზე ფესვგადგმულ მუხას...
მარტვილი იყო მეფე ობოლი,
ხეთა ლანდები ამაზე სწუხან...

მოძრავი მიწა დაბრუნდა წაღმა,
ქარვისფერ ღრუბლებს თავბრუ დაეხვა...
მაღლა აწვდილი ტოტები გახმა,
ცა ფურცელივით ზედ გადაეხა...

უსასრულობად ჰქროდა ნუგეში,
ცვიოდა ფოთლად — ყალბი სიტყვანი...
მოგონებათა გულთბილ უბეში,
შეხიზნულიყო სული მცივანი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნუნუ ძამუკაშვილი

იმედი

ხვალევ, გათენდი იმედად,
ხვალ, ზეგის ვიტყვი — სათქმელსა,
სიკეთე მეგობრადა ჰყავს, —
მეგზურად, — კეთილ საქმესა.

შურის ადგილი არ არის,
ვერ გამოჩნდება — წამითაც, —
სულის სიმაღლე სუფევდეს, —
რომ ვიამაყოთ — ამითა.

გულს სხივი დაუმეგობრე:
დღე— მზისა, ღამე — მთვარისა,
მაღალი ღმერთი გვფარავდეს, —
ამინდი გვქონდეს — დარისა.

სიყვარული

ჩემს ოცნებას, უნაპიროს,
არ ჰქონია — ნაპირი,
სავსე მთვარეს, — მოკამკამეს,
შენთვის, სონეტს დავპირდი.

სიყვარული — ზღვა ყოფილა,
გეფიცებით, — უძირო,
ეს რამდენი ხანი არის —
შენზე ვფიქრობ, — უძილო.

და... ლამაზი ოცნებებით
მივენდობი მაგ მკლავებს,
ბრწყინვალება შეემატოს —
ჩვენი ბედის ვარსკვლავებს.

ასე მგონია

ასე მგონია, გავცოცხლდი,
ედემის ბაღში მოვედი, —
ვარსკვლავად ამოვბრიალდი,
სხვა თვალით ვნახე — ყოველი.

ეს, — რა, ღრმა ძილით მეძინა,
რა, ღრმა ზღვა გამოვიარე,
შენ და დრო რწმენად მეგულვით,
თქვენ მომიშუშებთ იარებს.

მუზა

მუზა, როცა არა გტოვებს,
ამ სიხარულს სად აუვლი...
ყოველი დღე მინდა იყოს:
ლექსის წერის სასწაული.

ნეტავ...

დაგინახავ, სიყვარულის
ეს, რა, ზღვა და ზვირთებია,
სულ, ლამაზი მინდა ვიყო,
თვალნი გხედვენ, — ინთებიან.

ყოველი დღე, წუთი, წამი,
მზის მარმაშით ირთვებიან,
სიყვარულის კვირტი ვშალე,
უნაზესი კვირტებია...

სტვენს ბულბულიც, — სიყვარულზე,
გადიშლება სულიც ვარდად...
ჩვენი — ნაზი სიყვარულიც
ოცნებებში გაიზარდა.

იქნება...

იქნება, მე შენზე დავწერე ლექსები,
იქნება, არც იცი, იქნება, ვერც ხვდები;
რამდენჯერ, — იცვალეს ხეებმა ფოთლები,
იქნებ, ფიქრს მიმიხვდნენ მისანი ვერხვები.

ლამაზი ოცნებით გაივლის, კიდევ, დრო,
იებს სურნელისთვის ნაზ მხრებზე ვეხები,
კარგი, მასე იყოს, როგორც შენ ისურვებ,
ჩავთვალოთ, ვითომდა, ვერაფერს ვერ ხვდები.

ისევ, — გვეწვევიან, გაზაფხულს, ფრთოსნები,
ჟღურტული აავსებს მიდამოს მერცხლების,
ზაფხულიც ჩაივლის და... შემოდგომას კი —
იმედებს, ოცნებებს, კვლავ, დავესესხები.

იქნებ, ფიქრს მიმიხვდნენ მისანი ვერხვები...

* * *

როგორმე, — გაივლის ეს, ზამთრის სიცივე,
გაზაფხულს იასთან შეხვდები მინდორში,
მზე, როცა, ცხრათვალა, ცხრა თვალით იცინებს,
ისევაც ვიქნები, უბრალოდ, — მიმნდობი.

ზაფხულის თაკარა ბევრ რამეს მახსენებს,
ტალღები რომ იყო, ცხელი და ვნებული,
გიტარის ჰანგები, ისევ, არ მასვენებს,
ბულბულის ხმასავით, ნაზი და ქებული.

და... შევკრებ სიამეს — წამის, თუ, წუთიერს
დიდ ბედნიერებას დავარქმევ, რაც იყო...
ღრუბლებს გადავდენი — შორეულ წარსულში,
ცხრათვალა მზე, რომ, სულ, ცხრა თვალით ვაცინო.

და... შემოდგომა კი — იქნება გამოცდა...
ისევ, ისეთი ვარ, ვიყავი, რაც გუშინ,
არც გამიფიქრია, ამ გულის გამოცვლა, —
გგონია, რომ ამ გულს სიყვარულს დავუშლი?

რასა მთხოვდა ეგ თვალები

რასა მთხოვდა ეგ თვალები,
უეცრად რომ შემეფეთა?
გეხვეწები, არ დამტოვო,
ხან დროს, მაინც, ვიყოთ ერთად.

გულის სათქმელს ნიავს ვანდობ,
ახლა, ყვავილებთან ანცობს,
მოგიტანოს დანაბარი,
არ გადასცეს უცნობ — ნაცნობს.

გვირილებიც შენთვის ყვავის,
ეს ბულბულიც შენთვის გალობს,
ვერ გაიგე? შენთვის ვიწვი,
ვერ მიმიხვდი? — შენით ვხარობ.

თუშეთი

ხელით მივწვდები ვარსკვლავებს
გადაკეცილა სიშორე,
ფიქრები ვეღარ მაკავებს, —
გული განცდას ვერ იშორებს.

მთები ცას ეტოლებიან
ნისლები ხევში წვებიან,
თქვენს სიდიადეს, რაც ვლოცავ, —
ულამაზესი წლებია.

დედას

ეგ თოვლისფერი თმა როგორ გშვენის,
მზის ამოსვლას ჰგავს ღიმილი — შენი,
შრომით გადაღლილ მაგ ლამაზ ხელებს
მალე, ჩემს ხელებს შემოგაშველებ.

და იმ მძიმე ტვირთს, რასაც ეწევი,
შეგიმსუბუქებ უფლის შეწევნით...
ჩაიქროლებენ, მერე, ეს წლები,
ცხოვრების ახალ ტალღებს ვესწრები,
და... მინდვრის ნაზი ყვავილებივით,
დროს შემორჩება — ჩემი ლექსები...

კავკასიონი

ერთი უცქირეთ, იმ, მთებიან,
ზეცამდე ასულ კავკასიონს,
დასახატად რომ ირთვებიან,
ჩვენ გვიგზავნიან კამკამა სიოს.

მათ მზის უბრწყინავთ დიადემა
და სიყვარულიც მზის ტოლი აქვთ,
ჩურჩულიც კი გვესმის დიად ენად, —
წერენ სიყვარულის ისტორიას.

მტრედები

რა, ლამაზად მოჩანს ხედი,
დაფარფატებს — ორი მტრედი,
სიყვარულობს ორი გული, —
უჩუმრად და მორიდებით.

რაც მაჩუქე... ის, იები

რაც მაჩუქე, ის, იები,
ჩემთან ერთად არიან,
გულის სიმებს აჟღერებენ,
როგორც — ნაზი არია.

ერთად განვლეთ წლების რემა,
არ იცვალეს ზნე-ფერი,
წიგნის ფურცლებს მეგობრობენ,
ერთ დროს, — მინდვრის მეფენი.

სულ, — მიმიწევს მათკენ გული,
სასოებით, ო, რწმენით,
ახლაც, ვნახე პაწაწინა —
სიყვარულის მოწმენი.

წლები

წლებზე ჩივილი რას მარგებს? —
რა უნდა ექნათ ამ წლებსაც,
დრო-ჟამი ჩემს ხელში იყო,
ჩემ დროს ხომ, თვითონ, მე ვმწყემსავ.

მე, ტატოსავით, ვერ ვიტყვი:
მე ჩემი მიმაქვს გზა-კვალი,
ბავშვური შემრჩა ეს გულიც, —
როგორც — კირკიტი კაკალი.

ლექსები: ია-ენძელის,
თვალების გაჟუჟუნება;
ყოველ ცისმარე — ლამაზად,
რომ დაგვანახვოს ბუნება.

ეს გული...

ეს გული, შენ, ფიანდაზად გაგიფინე,
და, ეს გული, ვიცი, მხოლოდ, შენთვის დნება,
ლილე კი მზეს უგვირისტებს ლამაზ ბინებს, —
გავიგე — სიყვარულის უკვდავება.

ჩემი მელანქოლია...

წარსულს რომ ვერ დაიბრუნებ,
იმად არის წარსული,
ხან, ვიყავი მოლხენილი, —
მეცხრე ცაზე ასული.

ხან, თუ, სევდა მეწვეოდა,
ხან, თუ, დარდი, მშფოთვარე!
ის დღეები სად წასულან?!
ვთვალე და ვერ მოვთვალე.

აღარ ვეძებ, ოცნებების —
რა სიმდიდრე მქონია,
იქნებ, ზოგჯერ, კარგიც არის —
ჩემი მელანქოლია?..

შენ გეკუთვნის ეს გული

მზე ჩავიდა, მოირგო
ღამემ — შავი გიშერი,
ოცნებები გავიყოთ,
ისევ, შენ თუ, მიშველი.

მთვარე დამალობანას
ღრუბლებს ეთამაშება,
და ფიქრები ქცეულა —
გადარახტულ რაშებად.

შენზე ოცნებას მოაქვს:
სიხარული და შვება,
შენთან ჩემი სიცოცხლე
არასოდეს დაშრება.

ისევ, გამოიღვიძებს —
გაზაფხულზე, სუმბული,
სიყვარულზე დასძახებს
აღტაცებით — ბულბული.

როცა — თმაში ვერცხლები
უხვად ჩამეძენნება,
მე გულმშვიდად შევხვდები
წუთისოფლის დინებას.

წუთისოფელი

რას გაიგებ — წუთისოფლის;
სიკეთეს თუ სიავესა?..
როცა, ცოტა შვებას ვიგრძნობთ,
მადლობისთვის — მადლსა ვთესავთ.

დარდს კი მკერდში ჩავიწურავთ,
მივუკეტავთ ციცქნა კარებს,
დრომ მოგვპაროს, იქნებ, სევდა, —
და სიმშვიდეს შვებას ვარქმევთ.

დრო კი რაშით — მირბის, მიქრის,
გვაჯირითებს თავის მხედრებს,
მოგვეც — რწმენა და სიმართლე, —
წუთისოფელს ამას ვვედრებ.

ვითარ სიმფონია

შენი ღიმილი რომ თავს მევლება,
შენსკენ გზას მიკვალავს, ის ფონია...
წლებს რომ, მძიმე-მძიმედ, ჩამომაცლის
და მაღელვებს, ვითარ — სიმფონია.

გულს რომ, ნაწილ-ნაწილ, გაამთელებს
შენი შემოხედვა, — ედემია...
როცა, ვერ გხედავ, აწვიმს თელებს,
ფიქრები კი ღრუბლებს ცაში ედებიან.

შენით ვივსებ, მუდამ, იმედს — ულევს,
ქარმა ფანტა, რაც კი ურვებია,
შენი ხმა, როდესაც ჩამჩურჩულებს,
ვგრძნობ, — გაზაფხულივით მწყურებია.

შოთა რაინაული

წიგნი და ადამიანი

დანამდვილებით არც არავინ იცის, როდის დაიწყო დაშორება წიგნსა და ადამიანს შორის, რომელიც აჩქარების ახალ-ახალ სტიმულებს იღებს სხვადასხვა თანამედროვე მოვლენებიდან და ასევე პროგრესულად გაუფასურებადი „ტექნიკის სასწაულებისგან“, რომლებიც დილის გაოცებიდან საღამოს უკვე გახუნებულია, თუმცა მათ გარეშე არსებობაც კი აღარ შეგვიძლია. ეს დაშორება უკვე საბედისწერო ხდება ადამიანის ემოციების ჩამოყალიბებისათვის.

როგორც ჩანს, დღევანდელობაში, წიგნსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს შორის არსებული დაძაბული კონკურენცია დასასრულს მიუახლოვდა და „ფინიშიც“ გადალახულია. ადამიანებმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა მიატოვეს წიგნები, მათ დაავიწყდათ იმ გრძნობის შესახებ, რომელიც შეიძლება მოგანიჭოს პირველად წაკითხული საინტერესო წიგნის უბრალო სტრიქონებმაც კი. წამოიზარდა ერთი დიდი, სიზარმაცისა და პრიმიტიულობის ცუნამი, რომელიც თანამედროვეობის ნიავმა გამოიწვია და დაფარა ოცნებით სავსე ღრმა სამყარო.

ახალი იდეების სათავე

თუ ჩვენი სიცოცხლე გასტანს თუნდაც მილიონი წელიწადი, მაშინ მიგვიღწევია კიდეც სანატრელი უსასრულობის საზღვრებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ უსასრულობა-სასრულობის პრობლემა შეგვაწუხებს, მაშინ ცაში ახედვა და ვარსკვლავების ყურება მოგვიწევს ძალიან დიდი ხანი, რადგან ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, ვარსკვლავებისა და გალაქტიკების მოძრაობაში თუ ვიპოვით. ისინი მილიარდობით, და კიდევ, ჩვენი პირობითი საზომი ერთეულების გამაწბილებელი რაოდენობით გაბნეულია იმ სივრცეში, რომლის არსი ჯერაც ვერ აუხსნიათ მეცნიერებს. ასე, რომ ჩვენს გარშემო ყველას აქვს შესაძლებლობა, პირველი იყოს ინოვაციური იდეის შემუშავებაში. მთელი ფილოსოფია იმაშია, რომ არაპროფესიონალის თვალით დანახული ეს საინტერესო მოვლენები, არაპროფესიონალურად ან სამოყვარულო დონეზე გაგებული და ახსნილი, ახალი იდეების სათავედ შეიძლება იქცეს.

თინათინ მრელაშვილი

ქმნის უკვდავებას...

ენა კაზმული, ენა ქართული,
სიტყვა რუსთველის — სიბრძნით განთქმული...

გზა — დიდ ილიას მცნება და თქმული,
ზედ სიდიადე და მზე დართული...

ბუნების ხიბლის ხედვა — ვაჟათი
და... წინაპართა ჩვევა, ადათი...

მზე — მომავლისა და მზე წარსულის,
ქმნის უკვდავებას — ჩემი მამულის...

ჩემი მამული...

მთების მიღმა მიმალულან ღრუბლები,
კაბად — ზეცას საფირონი აცვია,
ველ-მინდორი, ოქროთ ნასვირინგები,
მოუხატავს ზურმუხტის ნაზ არშიას...

მთათა რიგი, — ქარავანთა სადარი,
კლდეთა ნაპრალს — ბროლი დაჰკიდებია...
მწუხრის ქურქს, რომ წამოისხამს მთა-ბარი,
ფარაონთა, თითქოს, აკლდამებია...

ეს მამული — საოცარი რამ არის,
ქართველთათვის, სალოცავი ხატია,
მზე-გვირგვინი დავითის და თამარის,
მზეწარსულის შარავანდად ანთია...

თელავს...

მზის ამოსვლის საოცრებას
ნადიკვრიდან ვუცქერი,
მიფერადებს ლაღ ოცნებას
ტრფობა შენი უცვლელი...

სხივი ქარგავს მაგ მთა-ველებს,
წალკოტს, ზღაპრის სადარის,
გამკობს... ფიქრის ზღვას აღელვებს:
ალაზანიც, ჭადარიც...

გვირგვინს გადგამს — დიადს მზით მჩენს,
გმირი მეფის სახელი...

სიბრძნეს, მისას, თაყვანსა სცემს,
მარად, ყველა ქართველი...

ტყის წალკოტიც, — მთათა მშვენი...
ხოტბით გეალერსება
და... ვით შეძლოს ქება შენი —
ამ, — პატარა ლექსებმა?..

სიმღერა თელავზე...

თვით მზე, მე, შენით მაცოცხლებს,
თვალს ალხენ, ხიბლი — ზღვად ღელავს,
გიქებთ — სვეს, შენს მზით ნაკოცნ წლებს,
ხატად — შენ გვიცვნიხარ ყველას...

მზე გშვენის ამომავალი,
მზეწარსულის მზით, რომ ელავს,
სვე-ბედი და მომავალი
ღმერთმა, სულ, გიბრწყინოს თელავს...

ტყეში ბულბული გალობსო...

ქარის სიმღერა, მთაში და...
კლდის ქარაფებზე ნამღერი,
ხევის პირს ჩამოღიღინდა,
წყალს გაატანა ნაღველი...

სმენადქცეულ ტყეს ესტუმრა, —
ტყეც, ხომ სიმღერით ხარობსო?
— ჩუ, — შეუძახა ტოროლამ, —
ტყეში ბულბული გალობსო...

მაგრამ...

რომ მითხარი: ვეღარ ძლებსო გული,
მაწვალებსო, მტანჯავს სიყვარული,
მომეჩვენა — შენი განცდა, მტკნარად,
არ ვირწმუნე, კარგი, მეთქი, კმარა...

მაგრამ, როცა, ცეცხლისმფრქვევი ფეთქვით,
მეც მეწვია სიყვარულის ღმერთი,
ტრფობის ცეცხლი გულს რომ მოეძალა,
მიგიხვდი... ვთქვი: ღმერთო, მომეც ძალა...

თუმცა...

თუმც, არად სცნობ ჩემს ტრფობას და...
გულს მიკიდებ ალს,
სხვისკენ ილტვი, გამირბიხარ
და... მარიდებ თვალს...
დამიჯერე, ტრფობისათვის,
მე, არ ვითხოვ ვალს,
მწყურვალს გნახავ? — თვით მწყურვალიც —
შენ მოგართმევ წყალს...

ვითარცა ხანძარი...

აინთო, ასხივდა, აბრწყინდა ცისკარი,
როცა, შენ, პირველად, მიყვარხარ — მითხარი,
გულს ისე მოენთო, ვითარცა ხანძარი
და სიტყვის სათქმელად, ენა ვერ დავძარი...

ყველგან, სიზმარშიც, ცხადშიც...

როცა ვერ გხედავ, დღე ცრიატდება,
სევდა, ნაღველი მძალავს,
თუმც, გულს არ ვიტეხ, ეჭვი მიჩნდება,
ხვალისთვის ვიკრებ ძალას...

შენზე ფიქრებით მზე მესახება:
თოვლშიც, წვიმაშიც, ქარშიც
და... ეს ფიქრები, სულ თან დამყვება,
ყველგან, სიზმარშიც, ცხადშიც...

სვედ შენი ტრფობა დამწინდებია...

თუმც — მზე დაისის ჩასვლას იჩქარის,
და... ღრუბლებს ცეცხლი წაჰკიდებია,
იმედით, ისევ ბრწყინავს ცისკარი...
სვედ — შენი ტრფობა დამწინდებია...

შენი მოფერება მენატრება...

წლები წყაროსავით რბის და ქრება...
თმებში შეპარულა ზამთრის ჭირხლი,
შენი მოფერება მენატრება
და, ამ, შეხვედრამდე წუთებს ვითვლი...

ძვირფასო...

ლოდინი... ლოდინი... ლოდინი...
დროს — ვეღარაფერი კლავს...

ფიქრები... ფიქრები... ფიქრები...
ფიქრები მართმევენ თავს...

ხან, — აზვირთდებიან ტალღებად,
ხან, — არც გამოსცემენ ჩქამს...

მე, მაინც, სულ შენზე ვოცნებობ,
გულში ეჭვს არ ვივლებ, — ავს...

მსურს: ერთად რომ ვიყოთ, ძვირფასო, —
ყოველ დღეს, წუთსა და წამს...

თუ, ჩემთან იქნები...

ივნისის საღამო... მდელო... ჩვენ... მზე... კორდი,
მე, გული მიგრძნობდა, დღეს რომ შეგხვდებოდი...

გიმზერდი, ელავდა სხივების კოჰორტა
და... შენი ჩურჩული, ქარს ჩემთან მოჰქონდა:

ამბობდი: ოცნების ზღვაა და ფიქრები,
მზესაც ხელს შევაწვდენ, თუ, ჩემთან იქნები...

მიყვარხარ...

მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ, —
ერთურთს ვითავისებთ ჩვენ...
გაზაფხულს დავყვებით კვალდაკვალ,
სიო, ტყის სიგრილეს გვფენს, —

კვირტების სურნელი გვათრობს... და
სხივით გვანებივრებს მზეც,
მსურს, რომ არ დასრულდეს, ნატვრად მაქვს,
ეს, მართლაც, ზღაპრული დღე...

რად იგვიანებ, კარგო, ნეტავ, რად?!.

თოვს და მიმშვიდებს ფიქრებს ნეტარად,
რად იგვიანებ, კარგო, ნეტავ რად?!.

ფიქრიც და ფიფქიც ნაზად ელვარებს,
ველტვი, როდესაც ლამაზ მწვერვალებს...

სულს და გულს ვუძღვნი, როდესაც ფიქრებს,
ვჩქარობ შენს ნახვას, — შენც ჩქარობ, იქნებ?..

და... გეტყვი ამბებს, მთქმელს, ბევრ რამისას,
არ — ზღაპარს, — ათას ერთი ღამისას...

გნატრობ და განცდით მეწვის ღაწვები,
მე, შენთან ყოფნით, ცა — მზეს ავწვდები...

ყოველ წუთს და წამს ვლოცავ...

გული გაფრენას ლამობს,
გული სიხარულს ელტვის,
გული შეხვედრას ჩქარობს,
სათქმელს ვესწრაფვი შენთვის...

მაგრამ, შეხვედრის უმალ, —
ფიქრი აწყდება სარკმელს
და... მავიწყდება, თუ, რამ,
მწადდა, ვფიქრობდი სათქმელს...

დრო მიზოზინობს, ცოცავს,
შენთან არა ვარ, როცა, —
მაგრამ, ერთად ვართ — როცა, —
ყოველ წუთს და წამს ვლოცავ...

მწამხარ...

ფიქრთა, ჩემთა, მწვერვალი ხარ, —
სიტყვით, საქმით, მზეგულით,
მწამხარ... მწამხარ... ისე მწამხარ:
რომ სიცოცხლედ მეგულვი...

წელო, ახალო!..

წელო ახალო, წელო ახალო,
ახალ წელს, ნეტავ, რა გსურს მახარო?..
მსურს ამიხდინო, ზე-სვით, ფარული
და... გამიბრწყინო მზე, — სიყვარულის...

ღამე უნეტარესი...

ალხენს გულებს, არხევს სიმებს,
სიყვარულით ნათრობს,
ბედი, მუდამ, ციაგებდეს
ჩვენს სიყვარულს, — ნათრთოლს...

ღამე, — უნეტარესი, მე,
ქვეყნად, სხვა, არ მახსოვს,
შენი სუნთქვა — მიალერსებს,
შენი სუნთქვა — მათრობს...

იმედით ცოცხლობსო ყველა...

გელოდი, გელოდი, გელოდი მთელი დღე,
რატომ არ მოხვედი, — რატომ?!.
დაისმა შეცვალა ზაფხულის მწველი მზე,
ვდგავარ მოწყენილი, მარტო...

ხვალ, მაინც, ხომ მოხვალ? —
სახლში ვბრუნდები და... აღმართს მივუყვები ნელა,
ხომ გაგიგონია: ბრძენთა — ბრძნულ თქმებიდან,
იმედით ცოცხლობსო ყველა...

ნეტავ შემეძლოს...

ნეტავ, შემეძლოს — დროის, წლების უკან დაწევა,
შენ, რომ მეპოვნე ჭაბუკი და თავისუფალი,
მაშინ, ხომ, ჩვენს ბედს, ავი ძაღლიც ვეღარ დაჰყეფდა,
ჩვენ ვიქნებოდით ერთმანეთის — სვე და უფალი...

ფიქრი რბის...

ფიქრი რბის, ფიქრი რბის, ფიქრი რბის ნელ-ნელა,
მაგრამ — ოცნებისთვის, წამიც კი მენელა...
შენც იცი, — ამ, ტრფობას, რომ დავთმობ, მე ძნელად, —
მე სხვა სიყვარული, — ფიქრშიაც მეძნელა...

სურათი...

ალაზანთან, ცისარტყელა იხატება ცაზე,
მიირწევა ღრუბლის ფთილაც, წვიმით ჯიქანსავსე...
შორს გავცქერით ნადიკვრიდან, მთების კალთებს ნამზევთ,
მდელოს, კორდებს და ჭიუხებს, — სიყვარულით ნამზერთ...

გამოიდარა...

გამოიდარა, ჩემს გულშიაც გამოიდარა,
გულს ანეტარებს, ახალისებს, ეს, — მზე — ბრდღვიალა,
ამ სიყვარულმა დრო და ხანი გამოიარა,
გულს მესალბუნა, მომიშუშა ყველა იარა...

სონეტი I

ვიცი, ძვირფასო, როგორც მე — შენც, ისე მომელტვი
და... მჯერა — ვიცი, ჩვენს გულებში სიყვარულია,
მას ვერ-რა შეცვლის: სხვათა ტრფობა, მიეთ-მოეთი,
ამ სიყვარულთან, სხვათა ლტოლვა განწირულია...

როცა შენ გიმზერ, გულში ასი ვარდი მაისობს,
მაგ თვალთა სითბო, მზის სხივებით მოხატულია,

და... წამთა სრბოლას, შენკენ, გული, მაინც, თავისობს,
შენი ალერსის, შენთან ყოფნის მონატრულია...

როცა ერთად ვართ, ჩემთვის მზე და გაზაფხულია,
თუ, შენთან არ ვარ, ფიქრი, სევდის შიგან რგულია,
ვარ უსასოოდ, ის დღე, ჩემთვის, დაკარგულია,
მზეც აღარ მზეობს, მზეც ღრუბლებში მიმალულია...

მე — სუნთქვად მიღირს: შენი ტრფობა გულისგულია,
ამ გულის ნატვრა, მხოლოდ, შენი სიყვარულია...

სონეტი II

სიო, ვით ველს ათრთოლებს, იის ნაზი სურნელით,
შემეპარა მეც ტრფობა, ტრფობა, — ვით უკურნელი...
თვალს, როგორც კი მოვხუჭავ, შენ სხივდები ხატებად
და ის ჩვენი შეხვედრა, თვალწინ, კვლავ მეხატება:

მთა-გორების სიმრავლე... მთას დაკიდული გზები...
თვალს ვეღარ გაცილებ და... ამ სიყვარულით ვთვრები...
მსურს, რომ წუთით შეჩერდეს, დრო... და წამთა ტრიალი,
მსურს, რომ ქვეყანამაც სცნოს, გულთა ჩვენთა ტრფიალი...

გული ტრფობას ვერ იტევს, გული ტრფობით ცახცახებს,
მინდა, მუდამ ტყვედ ვყავდე, მაგ შენს მკლავთა არტახებს...
ცა, უღრუბლოც სარკისებრ, მზით ელვარებს, კამკამებს,
ვერასდროს დავივიწყებ, ამ წუთებს და ამ წამებს...

თან მდევს, ანდამატივით, ხიბლი — ამ მთის, ამ გორის,
სიტკბო შემომრჩენია, ტუჩთა შენთა ამბორის...

ზიზო ბურდული

ზიზო ბურდული დაიბადა 1965 წლის 2 ნოემბერს წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში. დაამთავრა თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი. 1991-1993 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში აღმზრდელ-მასწავლებლად; 1993-2013 წლებში — დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2013 წლიდან დღემდე არის სოფელ არხილოსკალოს ბაგა-ბაღის დირექტორი.

ჟურნალ „ოლე“-ს მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ჩანახატსა და ლექსს ზიზო ბურდულის 2015 წელს გამოცემული წიგნიდან „ზეცის ბილიკზე“.

მზექალა ჭინჭარაული

სახლის წინ, სამფეხა სკამზე იჯდა მზექალა ჭინჭარაული და გადათოვლილ, ამჯერად უკვე მზისგან ნაალერსალ ბარისახოს გადაჰყურებდა.

იჯდა, კალთაში ჩავლილ დღეთა მოგონებები ესხდნენ. ეფერებოდა მათ და მზეზე თბებოდა.

დაბლა ჭრელი წინდები ეწყო, მაგრამ აღარ კერავდა. გვერდით საბურნუთე კოლოფი ედგა, თვალებში — უნაპირო სევდა.

ფეხებთან ნებიერად მიწოლილი ლეგა კატა კრუტუნებდა.

მდუმარებდნენ მრავლისმნახველი, მჭვარტლიანი კედლები და ძველებური, ხევსურული სახლის ნაჩუქურთმევ აივანს რატომღაც თვალზე ცრემლი უბრწყინავდა.

სოფელი მდუმარებდა.

კუდიანი დედაბრისგან გაქვავებულ ქალწულს ჰგავდა ბარისახო.

აქა-იქა მზის ამბორით გულაჩუყებული თოვლი ქვითინებდა.

ჭორიკანა ნიავი ახალ ამბებს აგროვებდა.

მარტოობით გაბეზრებული გზა მგზავრს უცდიდა.

ნისლი ცის დიდრონ, ნამიან თვალებში აწეწილ თმებს ისწორებდა.

არაგვი გაზაფხულის მოლოდინში სამიჯნურო ლექსებს თხზავდა.

მზექალა თავის ფიქრებს მიჰყვებოდა.

თვალი მიელულა და წლების მიღმა ვიღაცას თუ რაღაცას უღიმოდა.

დაუდეგარ ბალღივით გარბოდა მის თვალწინ გარდასული.

ჰა, აგერ მოწმაო დაილანდა.

ჭალაში ყვავილები აციმციმდნენ.

მთებმა განზე გაიწიეს და ბილიკმა ტანლერწამა ქალი დაიმშვენა.

ყვავილებმა ფეხზე ამბორი გაუბედეს.

ქარმა შუბლზე მოკლედ შეკრეჭილი, მზისფერი თმები აუწეწა.

ხეებმა ხელის შემოხვევა სცადეს.

არაგვი ხოტბად დაიღვარა მისი შემხედვარე.

ქალი მიდიოდა.

მოწმაო ეძახდა, მაგრამ მოწმაოს ეუარა და ბარისახო და ბერღოჯანათ ბან-კარი ამჯობინა.

აქ შეხვდა მის წილ გაზაფხულებს.

აქვე უზამთრდება.

მერე...

ფიქრი სახურავიდან ჩამონადენმა წყლის ხმაურმა გაუწყვიტა.

გამოერკვა.

თვალზე ხელი ჩამოისვა.

მიიხედ-მოიხედა.

ყველაფერი დუმდა ისევ ძველებურად.

ყველაფერი...

ჭრელ წინდას მისწვდა საკერავად, მაგრამ გული გაუჯავრდა.

წინდა ისევ გვერდზე გადადო და თვალი სივრცეს გაუშტერა.

შორეთს გახედა.

გზასაც.

არა, არავის ელოდა, ისე...

თვალი ისევ მილულა და...

იჯდა სახლის წინ, სამფეხა სკამზე მზექალა ჭინჭარაული და თავის ქალობინდელ მოგონებებს უღიმოდა.

იქნებ

ვდგავარ სახლის წინ, ახლად თვალგახელილ ია-იებში და ფიქრიანად გავცქერ შორეთს.

შენ აყვავებულ დგნალის რტოებით ხელში თავქვე მოუყვები გაზაფხულის მზის ამბორით განაზებულ ბილიკს.

მე ვერ გამჩნევ...

ან იქნებ განგებაც აგარიდე თვალი...

შენ...

გრილი სიო გახურებულ შუბლსა და ბრაზისგან ალეწილ სახეს გიკოცნის თანაგრძნობით.

ჩემს უგულობაზე გამწყრალი მზე მთებს ეფარება.

დღე მთავრდება შენზე დარდით და ბარისახო მრუმე თალხით იმოსება.

შენ ნაბიჯს უჩქარებ და არცთუ უმიზეზოდ იბოღმები.

გრილი სიო ჩემს ჯინაზე, ჩემს თვალწინ ურცხვად გეხვევა და გეფერება. არც შენ უშლი.

ალბათ ფიქრობ, მე ეჭვიანობა არ ვიცი, ანდა შენზე არ ვიეჭვიანებ, რადგან არათუ არ გეტრფი, ვერც კი გამჩნევ.

მიდიხარ და მტკივნეულად მიგაქვს ჩემი შორეთს მიქცეული მზერა და უნუგეშო — „იქნებ“...

მე კი... ვდგავარ სახლის წინ, ახლად ამოფეთქილ ია-იებში და ძლივს ვიკავებ ბაგეზე შენს ძვირფას სახელს.

ვინ გეტყვის, თორემ... სწორედ შენ ილანდები ახლა ჩემს ფიქრიან, უსასრულო შორეთს მიციებულ მზერაში.

თეთრ თოვაში

თეთრ თოვაში, თეთრ ბილიკებს მარტო შევრჩი,
თავს მხოლოდღა თეთრი დარდი დამტრიალებს,
საგუნდაოდ ყმაწვილივით გული მერჩის
და წლებს ხელში უხერხულად ვატრიალებ.

თვალს ჩავუკრავ თეთრად მზირალ თოვლის პაპას
და ბალღების ჟრიამული გამაცილებს,
ჩავლილი და ჩავლილ დღეთა ჩუმი ნატვრა,
თეთრ ღამეში თეთრადაც არ დამაძინებს.

რა ვქნა, როგორ არ გათავდა თეთრი დარდი,
რა ვქნა, როგორ არ თავდება გზაი ესე,
მერამდენედ ბინდისფერად ჩამოვღამდი,
მერამდენედ მზეს ღიმილი დავესესხე.

მერამდენედ ვეუარე ნანატრ მზერას,
მერამდენედ გამოვექეც ქარის ამბორს...
ჩემგან სადღაც შორს წასული ბედისწერა,
აღმა-დაღმა არხეინად დანავარდობს.

თეთრ თოვაში თეთრ ბილიკზე მარტო დავრჩი,
თავს მხოლოდღა თეთრი დარდი დამტრიალებს,
საგუნდაოდ ძველებურად გული მერჩის
და წლებს ხელში უხერხულად ვატრიალებ.

შემოდგომა

ლევან ალავერდაშვილს

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
ჩამოიხედე სულში, წყვდიადო,
და შემოდგომის გადაჰყევ დუმილს.

მე უშენოდაც მგვემენ ქარები
და სიცოცხლისას ვერ ვიკლავ წყურვილს,
დანისლულია ცრემლით თვალები,
დაბზარულია კედლები სულის.

დაჰქრის ველური ლექსების ჯოგი,
ზოგი უმიზნოდ გრიგალებს უხმობს,
თუ ეს სიშლეგე დღეს ღიმილს მოგგვრის,
ხვალ უსათუოდ გატირებს უხმოდ.

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
მე ესეც მომკლავს, წადი, წყვდიადო,
და მოწყენისფერს გადაჰყევ დუმილს.

წვიმა

იფიქრებს ბევრს და წამოვა ზეცით,
რა, რა აცელქებს არც თვითონ იცის,
ნაბიჯით კოჭლით, თვალებით ბეცით,
გადმოაბიჯებს ღრუბლების სიცილს.

აახმაურებს სახლებს და ქუჩებს,
გადაეღვრება მზის ღიმილს დარდად,
და მოლოდინებს რომ გადაურჩეს,
დავლურს დაუვლის ასფალტზე მარდად.

აუცეკვდება კაეშანს ულევს,
აცახცახებულ ხელჯოხით ხელში,
და ქარს, ისედაც საწყალს და სულელს,
ერთი შეხედვით ჭკუიდან შეშლის.

და როცა დაღლის გიჟური როკვა,
მოისაკლისებს ძველ ყოფას მყისვე...
თებრონესავით შეიდგამს კოკას
მხარზე და ცისკენ გაუტევს ისევ.

სიყვარული

ჩუმად ვაკოცე ბუჩქებს შეხიზნულ
იას, და თავზე რისხვა დამატყდა,
გვირილამ ყურში წამავლო ხელი
და გვარიანი სილა გამარტყა.

გაოგნებული ვიდექი ერთხანს,
და ფარულ სევდის ალით ვიწვოდი...
თეთრ გვირილას თუ ია უყვარდა,
მე რა ვიცოდი... მე რა ვიცოდი...

პოეზია

ეველინა ხუციშვილი

75 წლისა შესრულდა პოეტი ეველინა ხუციშვილი.

ქალბატონო ეველინა!

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“, თქვენი მეგობარი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა ერთი ღირსეული მაგალითია იმისა, თუ, როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას.

გამოცემული გაქვთ ლექსების კრებული „იყალთოს მძივები“, სადაც უმღერით ისტორიულ სოფელ — იყალთოს და თავს იწონებთ უძველესი აკადემიით.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ბავშვების სიყვარულითაა გასხივოსნებული, რომელთა აღზრდასაც უდიდესი ენერგია შეალიეთ.

ქალბატონო ეველინა!

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სულიერ მხნეობასა და ახალ წარმატებებს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“

დედაენას

წიგნო ძლიერო,
იავნანასთან ერთად დაბადებულო,
ანბანო ჩემო,
მოხაზულობის სილამაზით სულს ჩახატულო,
ქართული ენის უკვდავებავ,
ერის დიდებავ,
წიგნო ღვთაებავ,
ენის ძეგლად მტკვრის ნაპირას წამომართულო,
ქართველის გულში ანთებულო წმინდა ლამპარო,
შენს უკვდავებას მუხლს მოვუყრით,
შევთხოვთ უფალსა!

წის გახსნა

ჩემთვის ცა გაიხსნა ნოემბრის ერთ დილას
უფალმა მაჩუქა დედობა ნანატრი...
უფალმა მაჩუქა ნანატრი — ვაჟკაცი, —
გავზარდე ფერებით და იავნანათი.

ვასწავლე, სამშობლოს რომ მოფერებოდა,
ენა — ქართული და რწმენა თუ ღირსება,
ახლა, რომ ვუცქერი, — ვლოცავ და ვნატრულობ,
და გულიც იმ ძველი, სითბოთი ივსება..

ქართული ენა

ქართული სული, ქართული გული
შემოგვინახა ენამ ქართულმა,
თუ გინდა დატკბე ჰანგით ლამაზით
უნდა იკითხო წიგნი — ქართულად...

ქართული ენა, რუსთველის ენა,
სიყვარულის და ღირსების ენა,
ღმერთო მაღალო, აცოცხლე დიდხანს, —
ვიდრე იქნება სიცოცხლე ქვეყნად...

მონატრება

ჩემი რუისპირი მომენატრა,
ჩემი სკოლა და მამის სახლი,
სოფლის — ის ბილიკიც მომენატრა, —
ფეხშიშველა რომ ვტანტალებდი.

ჩემი სახლის ეზო მომენატრა,
ხასხასა, მწვანით დაფენილი
და გაზაფხულის ბრწყინვალებით
ხეები ფიფქით დაბარდნილი...

ტყემლის ყვავილების რია-რია,
ატმები, — ვარდისფრად აფეთქილი
და... ჩემი გულის ბათქაბუთქი, —
ვაზის ტირილში ჩაფერფლილი...

ჩემი რუისპირი მომენატრა, —
ფეხშიშველა რომ ვტანტალებდი...



ოთარ ხუციშვილი

დიდი პოეტი პატარა „ტაიმსელებთან“

გასული საუკუნის სამოციან წლებში გამომავალ სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორის“ რედაქციასთან, რომელსაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პოეტი სილოვან ნარიმანიძე ათეულობით წლების მანძილზე რედაქტორობდა, ყმაწვილკაცობის წლები მაკავშირებს. მაშინ მე, ჯერ კიდევ შეუბუმბულავ ჟურნალისტს და სხვა თანამოკალმეთაც, რომელთაგან ზოგი უკვე ცნობილი პოეტი თუ პროზაიკოსი იყო, რედაქტორი დაბოხებული ხმით გველაპარაკებოდა და რატომღაც ვფიქრობდით, რომ ის გიორგი ლეონიძეს ჰბაძავდა. ასეთ მიმბაძველობაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდით. ცხოვრებაგამოვლილი სილოვანი სიცოცხლის ბოლომდე ბუხუნებდა და ზოგ-ზოგთა დაუოკებელი სიხარბის გამო (პოეტის თქმით, მათ „თავისთვის განიკუთვნეს ამა სოფლის სიამენი და მოძმენი გაწირეს“) ხშირად ბრაზობდა და მათი მისამართით ავსიტყვაობდა კიდეც.

რადგან გიორგი ლეონიძე ვახსენე, არ შემიძლია, არ გავიხსენო ის თბილი და გულითადი გამორჩეული ურთიერთობა, რაც მაშინდელ „სამგორის“ რედაქციის ჟურნალისტებსა და დიდ პოეტს შორის არსებობდა. სილოვან ნარიმანიძის წყალობით, რომელთანაც გიორგი ლეონიძეს შემოქმედებითი ძმობა და მეგობრობა აკავშირებდა (გოგლა სილოვანს თავის ბოკვრად თვლიდა), მგოსანი ჩვენს რედაქციას ხშირად სტუმრობდა.

ამოირბენდა იმხანად უკვე ჭარმაგი პოეტი კიბეს (კიბეზე ნელა ასვლა არ სჩვეოდა. ეტყობა ამაშიც იყო რაღაც პოეტური, მხოლოდ გოგლასთვის დამახასიათებელი), შემოხსნიდა რედაქციის კარს და თავად მზითა დ სიყვარულით სავსე, ჩვენც მამულიშვილური და კაცთმოყვარული იდეებით დაგვმოძღვრავდა.

— გამარჯობათ „ლოჭინოტაიმსელებო“ (ჩვენს გაზეთს ხუმრობით, „ლოჭინოტაიმსს“ ეძახდა)! — იტყოდა პოეტი, მერე სათითაოდ ხელს ჩამოგვართმევდა, შინაურულად მოგვიკითხავდა, ნაწერ-ნაღვაწს შეგვიქებდა და რედაქტორსაც „გაკენწლავდა“: ყოჩაღ სილოვან, ეს რა ტალიკ-ტალიკი (ეს სიტყვა გამორჩეულად უყვარდა) ბიჭებისთვის მოგიყრია თავიო. ჩვენ, პატარა „ტაიმსის“ წვრილფეხა ჟურნალისტები და მწერლები (იმხანად რედაქციაში მუშაობდნენ პროზაიკოსები — გიორგი პაპუაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ჰენრი კობიძე, პოეტები — გივი ძნელაძე, გივი შეყილაძე, ოთარ შალამბერიძე, ნუგზარ ჭანტურია, ნოდარ ნარსია, უშანგი ბედია და სხვები) გაკვირვებულიც ვიყავით და აღფრთოვანებულიც — ამხელა პოეტი და ერისკაცი ასე ძმაკაცურად რომ გველაპარაკებოდა.

ისე, სილოვანის ხელში პურ-მარილი არ გვაკლდა და თუ გიორგი ლეონიძესაც დავპატიჟებდით, მგოსანი არც ამაზე გვეუბნებოდა უარს. წამოგვყვებოდა, თვითონაც მამაპაპურად მოილხენდა და ჩვენც ზეციურ მადლსა გვწევდა. ერთხელ, გიორგი პაპუაშვილმა, რომელიც გოგლასთან ძალზე შინაურულად იყო, ოჯახში მიგვიპატიჟა. თავანკარა კახურმა და შემწვარმა ინდაურმა, რომელიც პოეტს განსაკუთრებულად უყვარდა, გიორგი ლეონიძე ისე გაახალისა, სადღეგრძელოებში სულ ვარსკვლავებს წყვეტდა.

ყურებდაცქვეტილნი ვისმენდით, გვინდოდა ყველა სიტყვა ჩაგვეყლაპა და დაგვემახსოვრებინა. ასეთ სიტუაციაში თავი ვერ შევიკავე, ეს რა ღვთისნიერი თამადა გვყავს-მეთქი, გადავულაპარაკე გვერდით მჯდომ ჰენრი კობიძეს. პოეტმა იფიქრა, არ მისმენენო და დაგვტუქსა: თუ ჩემი თამადობა არ მოგწონთ, მობრძანდით და თქვენ ითამადეთო. ესა თქვა, სადღეგრძელო შეწყვიტა და სკამზე მოსხლეტით დაეშვა.

მე და ჰენრის პირკატა გვეცა, სასწრაფოდ წამოვხტით და მოვუბოდიშეთ. სიტყვა დამთავრებული არ გვქონდა, რომ ტანბრგე პოეტი კვლავ ფეხზე იდგა. დასხედითო, დაგვამშვიდა, მე ის კაცი არა ვარ, ვინც თამადობას ასე იოლად შეელევაო, თქვა და დამაჯერებლობისთვის თავისი მოთხრობის გმირი ღვინჯუა დაიმოწმა, რომელიც გამორჩენილი საყველაწმინდიოს სათქმელად მასპინძლის ოჯახს უკვე შუაგზაგავლილი მოუტრიალდა.

იმ საღამოს საყვარელ პოეტთან ნადიმი გვიანობამდე გაგრძელდა, მით უფრო, რომ სიტყვამჭევრ თამადას ტრადიციული, მამაპაპური სადღეგრძელოებიდან არც ერთი არ გამორჩენია და არც დავიწყებული საყველაწმინდიოს სათქმელად მობრუნებულა შუა გზიდან....

იყალთოელი ბიჭები

იყო ერთი იყალთოელი პოეტი — არჩილ შიშმანაშვილი, აცხონოს ღმერთმა, მშობლიური სოფელივით კოპწია და თავანკარა პოეზია ჰქონდა.

ერთხელაც „ალაზნის განთიადში“ (მაშინ ამ გაზეთში ვმუშაობდი) ცხელ-ცხელი ლექსი მოარბენინა. ვიცოდი, ხინკალი უყვარდა და პოეტი იქვე ახლოს, რედაქციის მეზობლად მდებარე სასაუზმეში დავპატიჟე. შუა ხინკლაობაში რომ ვიყავით, მეუბნება.

— ჩვენებიანთ ლადოს ხომ იცნობ?

— რომელს, კაცო, ავბეწვას? (ლადო მრელაშვილს მეტსახელად ავბეწვას ეძახდნენ).

— ჰო, მაგას, მწერალი რო არი.

— ისე რა, შორიდან...

პოეტს ულვაშებში ღიმილის ბზარმა გაურბინა.

— მე ახლოსა ვარ, — მეუბნება, — მაგრამ რად გინდა, ერთხელ ძლივს დამპატიჟა.

— რას ამბობ, კაცო, — გავიკვირვე, — სად მოხდა ეს ისტორიული ამბავი?

— დედაქალაქში. კახეთში სულ მე ვეპატიჟები და რა ექნა, მეტი ფული ვერ გაიმეტა და შენი არ იყოს, ხინკალზე გადამატარა.

— იიჰ, — სიტყვა ბანზე ავუგდე, — მწერალს ფული ვინ მისცა. მაგაზე არ უნდა დაემდურო.

— არც ვემდური, თვითონ დარჩა მშიერი, თორემა...

— როგორ, კაცო, ხინკალი არ უყვარს?

— უყვარს რომელია, მაგრამ ცხელს ვერ ჭამს.

— მერე, სად ეჩქარებოდა, ცოტა შეეცადნა მაგ კაიკაცს.

— ვინ აცალა, თორემა, კი.

— რა ვქნა, შენ რა რებუსებით მელაპარაკები?

— გეტყვი, როგორც იყო.

— მიდი, გარეკე!

— რა, ხინკალი?

— ხინკალს მოეშვი კაცო, იქ რა მოხდა, ისა თქვი.

— არაფერიც არ მომხდარა, ლადომ ოცი ხინკალი მოიტანა და უკანვე გაბრუნდა.

— სადღა მიდიხარ, — ვუთხარი, — მოდი დავუძაგუნოთ!

— ვიდრე ხინკალი შეცივდება, ბარემ ლუდსაც მოვიტან.

— მერე, არ მოიტანა?

— როგორ არა, მაგრამ ხინკალი უკვე აღარ დახვდა.

— კაი მუცელა ყოფილხარ, მაგდენი რამ შეგაჭამა?

— ცივდებოდა და რა მექნა? თანაც ქალაქური ხინკალი, ხომ იცი, ყლუპია და ყლაპი აღარ.

— ლადომ ღვეზელი მიირთვა?

— არა, მეორედ ჩადგა ხინკლის რიგში და ოცი კიდევ მოიტანა.

— თვითონაც მაგარი მჭამელი ყოფილა.

— მჭამელი კი არა, მბერავი.

— როგორ თუ მბერავი?

— შეუბერავად ვერ ჭამს, პირი ეწვება.

— ებერნა მერე, შენ რა განაღვლებდა?

— დიდხანს უნდება, თანაც შებერვის დროს ულვაშსაც იშველიებს.

— მაგით რისი თქმა გინდა, ხინკალი არ უჭამია?

— როგორ არა, მაგრამ ვიდრე ამ ბერვა-ბერვაში იყო, მე უკვე 15 მოვაყუჩე...

ეს ამბავი ლადო მრელაშვილს ერთხელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რო გვეწვია, შევახსენე. მართალიაო, მითხრა, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდაო. იმ ყურუმსაღმა, ცალკე ხარჯში ჩამაგდო და ცალკე კიდევ მშიერი დამტოვაო.

— ამდგარიყავი და შენც მესამეჯერ მიგეტანა ი ხინკალი, — შევაპარე.

— ჰო მაგრამ, რა გარანტია მქონდა, რომ ისიც ცხელი არ გამოდგებოდა? — თქვა და ხინკალნერწყვმოგვრილმა მადიანად გადაიხარხარა.

თარგმანი

სერგეი ჟედი

სერგეი ჟედი დაიბადა 1984 წელს მოსკოვში. 2001-2006 წლებში სწავლობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში, სპეციალიზაცია — თურქეთი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 2011 წელს მივლინებით გაგზავნეს ანკარაში (თურქეთის რესპუბლიკა) რუსეთის საელჩოს ატაშედ, სადაც დღემდე მუშაობს.

დამთავრებული აქვს ანდრეი ვორონცოვის ლიტერატურული დაოსტატების დისტანციური კურსები.

მოთხრობა „აგენორი“ დაიბეჭდა „Литературная Газета“-ს 2016 წლის 28 იანვრის ნომერში.

აგენორი

შვეულმფრენი ვიბრაციისგან ლაყლაყებდა. ალექსანდრე სამგზავრო სავარძელში იჯდა და ცდილობდა ხელი კაბინის ჭერისთვის მიებჯინა, რადგან ინერციის ძალა სხეულს ერთი მიმართულებით ისროდა. ხმარებისგან ნაპირებშემოძენძილი უსაფრთხოების ქამარი კი წელზე მტკივნეულად უჭერდა და საწინააღმდეგო მხარეს ექაჩებოდა. ძველი, გაცვეთილი ქამარი ორისამი გაქაჩვის შემდეგ მთლად დუნდებოდა. ალექსანდრე იძულებული იყო ხელი ჭერიდან აეღო და ქამარი მოეჭიმა.

ალექსანდრეს შვეულმფრენი დანახვისთანავე არ მოეწონა. აფრენამდეც კარგად ჩანდა, რომ მისი ადგილი მუზეუმში იყო — სადღაც, ორთქმავლის გვერდით. როდესაც ის კაბინაში ადიოდა, უსაფრთხოების მწვავე შეგრძნებისგან წამით შეყოვნდა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და თითებით მობილური ტელეფონი ჩაბღუჯა.

ფეხებზე დაიკიდოს კომპანია თავისი ნავთობის ჭაბურღილებითა და პროექტებით? არადა, მაღალი ხელფასებია, შვებულებისას ორი თვის ხელფასს გიხდიან. შესაძლებლობა გაქვს ყოველწლიურად, კორპორაციული ვიზით, მუქთად მოინახულო მსოფლიოს საუკეთესო და ულამაზესი ადგილები. თითები თავისთავად მოდუნდნენ და მობილურს ჯიბის სიღრმისკენ უბიძგეს.

უკვე ორი საათია ცაში არიან და წეღანდელი უეცარი აღელვება ალექსანდრეს უაზრობად აღარ ეჩვენებოდა. მან ივანეს, ჭაბურღილის დირექტორს შეხედა — სწორედ ჭაბურღილის ინსპექტირებისთვის მიფრინავდნენ. ივანეს ასეთი შვეულმფრენებით ბევრჯერ უმგზავრია და მშვიდად იყო.

შვეულმფრენი მაგრად შეირყა.

ალექსანდრემ ენაზე იკბინა და თანმხლებს მიმართა:

— არ გეჩვენებათ, რომ უკანასკნელ წუთებში ვიბრაცია გაძლიერდა?

ივანემ გულგრილად შეათვალიერა. ახლა იგი ალექსანდრეში ხედავდა შეშინებულ, ფერწასულ, ნერვული კანკალისგან ატანილ ქალაქელ კლერკს, ფსიქოპათსა და აეროფობს.

— ყველაფერი რიგზეა. ერწმუნეთ ჩემს გამოცდილებას, კომფორტულად ვმგზავრობთ, — ივანეს ხმაში იგრძნობოდა ამპარტავნული, მფარველური კილო.

— მე რყევაზე არ ვამბობ, — არ ცხრებოდა ალექსანდრე, — ვიბრაციას ვგულისხმობ.

— რას ამბობთ...

უცებ ხმამაღალი ჯახუნი გაისმა და სალონი წამით სიჩუმემ მოიცვა. რყევა შეწყდა. ალექსანდრემ იგრძნო თავში სისხლი როგორ აუვარდა. პროვინციულ სასტუმროში მირთმეული მწირი საუზმე კი სტომაქიდან გათავისუფლებას ცდილობდა.

შვეულმფრენი მოწყვეტით ჩაქანდა. პილოტების კაბინიდან საქმიანი გადაძახილი მოისმოდა. ალექსანდრემ ნაცნობი სიტყვები გაარჩია:

„...ძრავის გათიშვა...“

„...ავტოროტაცია...“

„...ტაიგა... დაშვება...“

შვეულმფრენის ვარდნას თან ახლდა დაუბრკოლებლად მბრუნავი ფრთების შარიშური. ალექსანდრე, ციცქნა ილუმინატორიდან, მოჯადოებულივით დასცქეროდა საუკუნოვანი ნაძვების თოვლით გადათეთრებულ კენწეროებს. ძალიან მალე მან გაარჩია ტოტები და წიწვებიც კი. საზარელი რკინის დანახვით დამფრთხალი პაწია ცხოველი ერთ-ერთი ხიდან ძირს გადაეშვა და იმავე წამს ტოტებმა მინა გადაფარეს. გაისმა გრუხუნი, რომელიც გახლეჩილი ლითონის ღრიალში გადაიზარდა. კაბინის კედელი ძლიერი დარტყმებისგან საპნის ბუშტუკებივით იბურცებოდა. უსაფრთხოების ქამარმა ველარ გაუძლო და ალექსანდრე სავარძლიდან ამოვარდა, რათა რკინის მარწუხებს ჩახუტებოდა. კედელი სახიდან მცირე მანძილზეღა იყო, როდესაც გონება დაკარგა.

* * *

ალექსანდრე კაშკაშა, თეთრ სიცარიელეში ეკიდა. ირგვლივ ყველაფერი ბრწყინავდა და ერთდროულად

წააგავდა, როგორც მკვრივ ნისლს, ისე შუშის მქრქალ ზედაპირს. ფეხქვეშ იგრძნობოდა მყარი დასაყრდენი, მაგრამ თვალი მხოლოდ მკვრივ ნისლს არჩევდა. ალექსანდრე ჩაცუცქდა და შეეცადა ხელით შეხებოდა ზედაპირს, მაგრამ ხელები საფეხურებში დაუბრკოლებლად ჩაეფლო. ალექსანდრემ ხელისგული მარცხენა ფეხქვეშ შეაცურა და თითებით ცხადად შეიგრძნო საფეხურების სითბო.

— დღე მშვიდობისა, — ზურგს უკან თავაზიანი ხმა გაისმა. ალექსანდრე შექანდა, წონასწორობა დაკარგა და შორეულ ნათებაში ჩასანთქმელად უსასრულო ვარდნისთვის გაემზადა, მაგრამ გვერდით გადაქანებული სხეულით კვლავ უხილავი სიმყარე შეიგრძნო.

— მომიტევეთ, რომ შეგაშინეთ, მაგრამ თქვენთან გადაუდებელი საქმე გვაქვს.

ალექსანდრე მოტრიალდა. ხმა ახალგაზრდა, მაღალ კაცს ეკუთვნოდა, რომელიც ღია ნაცრისფერ, საქმიან კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ქერა, მოკლედ შეჭრილი თმის ქვემოთ ცისფერ-ლაჟვარდოვანი თვალების მზერა იყო ბასრი, მაგრამ კეთილგანწყობილი. კაცს ლამაზ, ვაჟკაცურ სახეზე საფეთქელიდან ნიკაპამდე არასასიამოვნო, ღრმა ნაიარევი ჩამოსდევდა.

უცნობმა ალექსანდრეს ხელი გაუწოდა და წამოდგომაში შეეშველა. მერე კოსტიუმი შეისწორა, თავი ოდნავ დაუკრა და წარმოუდგა:

— აგენორი.

ალექსანდრემ ხელი თავისდაუნებურად გაუწოდა:

— ალექსანდრე.

— გმადლობ. შენი სახელი ისედაც ვიცი, — აგენორმა ხელი მაგრად ჩამოართვა, თითები ლამის ჰიდრავლიკური წნეხივით მოუჭირა და მხარზე ფაქიზად შეეხო.

— წავიდეთ, მნიშვნელოვანი საუბარი გველის. გზად ყველაფერს აგიხსნი.

ალექსანდრემ მოსაუბრესთან ერთად თეთრი სიცარიელე გაარღვია.

— მაშ ასე, თქვენ ძლიერი ადამიანი ბრძანდებით და ამ სიახლეს ვაჟკაცურად შეხვდებით, — აგენორის ხმა ისე დამამშვიდებლად ჟღერდა, როგორც დედის იავნანა, — თქვენ მოკვდით!

ალექსანდრე შედგა და თანამგზავრს თვალებში შეხედა. მისი ნათქვამი რატომღაც არ შეიცხადა, თუმცა მაშინვე მოგონებები მოაწყდა. შვეულმფრენი, ვარდნა, მოახლოებული რკინის კედელი. მან ღრმად ამოისუნთქა. აგენორმა კვლავ მხარზე მოხვია ხელი და წინ წაიყვანა.

— დიახ, შვეულმფრენი. იცით, თქვენ გაგიმართლათ, — მან მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, — თქვენი თანამგზავრი, ივანე, ჯერ კიდევ ცოცხალია. ბიჭებმა მითხრეს, მონაცემთა ბაზის მიხედვით, ის თოთხმეტ საათში სხეულის გადაციებით მოკვდება, — ლოყაზე ნაიარევი შეირხა, — საშინელი სიკვდილია. ერთ-ერთი პილოტი, რომელიც ცოცხალი გადარჩა, მთელი ცხოვრება ხეიბრად დარჩება. მას ვეღარაფრით დავეხმარებით, — აგენორის სახეზე გულწრფელი წუხილი გამოიხატა, — ნუ, ცხადია, სანამ თავად არ გვეახლება.

საუბრისას შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ პატარა სათავსოში, რომელიც საოფისე ოთახს წააგავდა. თუმცა, კედლები აქაც თეთრი, მკვრივი ნისლისა იყო, თითქოს მარმარილოსიაო. ოთახის შუაში იდგა საწერი მაგიდა კომპიუტერით. წარწერა სისტემურ ბლოკზე იუწყებოდა: DELL. აგენორმა ალექსანდრეს განცვიფრებული მზერა დაიჭირა.

— ხო, ჩვენი სიამაყე! უახლესი ტექნიკაა, — მან კომპიუტერს ხელი სიყვარულით მოუთათუნა, მაგიდას შემოუარა და კომპიუტერის მოპირდაპირედ, უზარმაზარ ტყავის ანტიკურ სავარძელში ჩაეშვა. ალექსანდრე კი ხელის მოძრაობით, გვერდით მდგარ, მცირე ზომის სავარძელში ჩასაჯდომად მიიპატიჟა.

აგენორმა ჩვეული მოძრაობით თითი ღილაკს დააწკაპუნა და თქვა:

— პენფესილია, გეთაყვა, ორი ჩაი. სტუმარს ბერგამოტითა და ლიმნით.

ალექსანდრეს არც კი გაჰკვირვებია მისთვის ყველაზე საყვარელი ჩაი რომ შეუკვეთეს. აგენორი სტუმრისკენ შებრუნდა.

— სულ დამავიწყდა. ალბათ, ჯერაც ვერ მიხვდით, ვისთან გაქვთ საქმე. — მას ხელში ეჭირა თეთრი, სქელი სავიზიტო ბარათი, რომლის ზედაპირს ამშვენებდა ალექსანდრესთვის ნაკლებად ნაცნობი ასოები: Αγηνωρ. აგენორმა ბარათი გადააბრუნა და რუსული წარწერა აჩვენა: „აგენორი, მესამე თანრიგის მფარველი ანგელოზი“.

— დიახ, პატივცემულო ალექსანდრე, მე თქვენი მფარველი ანგელოზი ვარ, — ამ სიტყვებზე ანგელოზი ნეტარებით გადაწვა სავარძლის საზურგეზე და სახსრები გაატკაცუნა, — თუმცა, სიტყვა თქვენი, ძალიან ხმამაღლა ჟღერს. პერსონალური ანგელოზი მხოლოდ ნამდვილ მქადაგებლებს ეკუთვნით. ასეთი რამ, თვით პრეზიდენტებისთვისაც კი არ არის გათვალისწინებული, — ანგელოზმა თვალი ჩაუკრა, მონიტორს მიაჩერდა და ცხვირში ჩაიბუტბუტა, — საქმე ასეა, მსუბუქი ნარკოტიკი, ლოთობა. ჰმ, სტანდარტულია. ოოო! პირველი სამსახურიდან სასტამბო კომპლექსი მოიპარეთ. ეს უკვე ორიგინალურია.

ალექსანდრე გაწითლდა და ალუღლუღდა:

— არ მინდოდა...

— ვიცი, ვიცი, — შეაწყვეტინა აგენორმა, — კვანტი დაგიდეს, მაგრამ ასე ნუ განიცდით, დოსიეში კარგი საქმეებიც მრავლად გაქვს. თანაც, აქ თქვენს გასამართლებას არ ვაპირებთ.

უცებ, მაგიდასთან მდივანი ქალის თხელი სხეული გაჩნდა. მას ხელში ეჭირა ლანგარი ორი ფინჯნით.

— გმადლობ, საყვარელო, — აგენორმა ფინჯნები ჩამოართვა და მდივანი ქალი სივრცეში განქარდა. ანგელოზმა ჩაი მოსვა და მონიტორი ალექსანდრესკენ ჩააჩოჩა.

— მაშ ასე, აქ რატომ ხართ? — იკითხა აგენორმა, — იცით, თქვენთვის განსაზღვრულ დროს არ მომკვდარხართ, რადგან იძულებითი სიკვდილი დროულად არ ითვლება. როგორც მფარველი ანგელოზი, ვალდებული ვარ გაცნობოთ, რომ თითოეულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს დაუბრუნდეს ცხოვრების იმ საკვანძო მომენტს, რომელმაც მისი სიკვდილი განსაზღვრა. ეს ისეა, კომპიუტერში რომ რაღაც შეინახო.

ალექსანდრემ გაგებით დაუქნია თავი.

— და კიდევ, მინდა გაგაფრთხილოთ, — ნაიარევი სახეზე შეთქმულივით შეტოკდა, — მკვდრეთით აღდგომის შემდეგ აღარაფერი გემახსოვრებათ. „შენახვე-

ბის“ რაოდენობა კი შეზღუდულია.

ალექსანდრემ კვლავ დაუქნია თავი და მონიტორს ჩააცქერდა, სადაც მისი ცხოვრების ამსახველი რამდენიმე ფოტოსურათი გამოჩნდა.

— თქვენ გაქვთ ხუთი საყრდენი წერტილი და შეგიძლიათ ნებისმიერი ამოირჩიოთ, — აგენორმა თითი ეკრანს მიადო და ფოტოების კომენტირებას შეუდგა, — ნუ, სკოლას არ გირჩევთ. რა თქმა უნდა, ქიმიაში რომ ჩაიჭრათ, ჭაბურღილზე წასვლა აღარ მოგიწევთ, სამაგიეროდ, წარმტაც ცხოვრებისეულ პერსპექტივას უნდა დაემშვიდობოთ.

ერთ ფოტოსურათზე, შიშისგან აცახცახებული ალექსანდრე, სახელმწიფო კომისიის წევრებით სავსე მრისხანე კათედრის წინ იდგა და სკოლის გამოსაშვებ გამოცდას აბარებდა.

— ინსტიტუტთან დაკავშირებითაც ასევეა, — ანგელოზმა არც კი გაამახვილა ყურადღება ცხოვრების ამ ამაღელვებელ ხანაზე, — მე გირჩევთ, აირჩიოთ, აი, ეს საყრდენი წერტილი, — მან თითი დაადო ფოტოს, სადაც ალექსანდრე შედიოდა ნავთობისა და გაზის უმსხვილესი კორპორაციის მაღლივ ოფისში, — არ წახვიდეთ ამ გასაუბრებაზე. დიახ, დიახ. ვიცი, მშვენიერი სამუშაოა. ხელფასი ისეთია — შეგაქანებს. არ მოგატყუებ, ამაზე უკეთესი შანსი, მოეწყო ასეთ შემოსავლიან ადგილას, მეტი აღარ გექნება. მაგრამ ეს არაა თქვენი ხვედრი და სამსახური. ენდეთ ჩემს გამოცდილებას. — აგენორმა სახე ალექსანდრეს თვალებს იმდენად მიუახლოვა, რომ თითქმის ცხვირში ელაპარაკებოდა. ალექსანდრემ სასოწარკვეთისგან უკან დაიწია და თითი ბოლო ფოტოსურათს ატაკა.

— ეს რა არის?

აგენორმა სევდიანად ჩაიცინა.

— ათასწლეულები გადის, ადამიანები კი არ იცვლებით. ეს უკანასკნელი საყრდენი წერტილია, თქვენ შვეულმფრენში ჯდებით, — ფოტოზე ალექსანდრე რკინის საფეხურზე განწირული ხტებოდა.

— იქ გამგზავნეთ! — ალექსანდრემ კიდევ ერთხელ მიანიშნა ფოტოსურათზე და მხნედ დაუდასტურა, — იქ, იქ! დარწმუნებული ვარ, ეს ყველაზე სწორი სვლაა.

— კარგით. თქვენ, თქვენი არჩევანი გააკეთეთ, — ანგელოზი კლავიატურაზე რაღაცას სწრაფად დააწვა და ალექსანდრემ იგრძნო, მქრქალი შუშის სიმყარე ფეხქვეშ როგორ ჩაიქცა და სიღრმეში სავარძლიანად იწყო ჩაძირვა. მერე აგენორის ოდნავ გასაგონი ბუტბუტი შემოესმა:

— ადამიანებს არასდროს შეუძლიათ გააკეთონ სწორი არჩევანი...

* * *

ალექსანდრეს შვეულმფრენი დანახვისთანავე არ მოეწონა. აფრენამდეც კარგად ჩანდა, რომ მისი ადგილი მუზეუმში იყო — სადღაც, ორთქმავლის გვერდით. როდესაც ის კაბინაში ადიოდა, უსაფრთხოების მწვავე შეგრძნებისგან წამით შეყოვნდა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და თითებით მობილური ჩაბღუჯა.

ბოსის ტელეფონის ნომრის აკრეფვისთანავე ხმამ ამაზრზენად დაიქუხა:

— ალექსანდრე! უკვე მზად ხარ მომახსენო ჭაბურღილის მდგომარეობის შესახებ?!

ალექსანდრე სწორედ ისე გახევდა, როგორც თითოეული მოწადინებული ხელქვეითი უმაღლეს ხელმძღვანელთან საუბრისას ხევდება.

— არა, არა, ჯერ მზად არ ვარ! — ხმაში ხრინწი გაერია, — უბრალოდ, მინდოდა დამეზუსტებინა, აუცილებლად დღეს უნდა გავემგზავრო? ივანე რაღაცას საუბრობდა მოუმზადებელ დოკუმენტაციაზე.

ივანემ, ჭაბურღილს დირექტორმა, ვერტმფრენიდან თავი გამოყო, თითი საფეთქელთან დაიტრიალა და ხელის ენერგიული მოძრაობით მიანიშნა:

„სულელო, ის დაგახრჩობს!“

ამ სიტყვების დასტურად მუბილური ღრიალისგან აფეთქდა:

— რა დოკუმენტაცია, სწრაფად ჭაბურღილზე! ოთხ საათში ჩემთან იდოს დაწვრილებითი ანგარიში. გაგათავისუფლებ, შენი დედაც!..

ალექსანდრე კაბინაში შეიძურწა. ძველ, მოუხერხებელ სავარძელზე მიმაგრებული გვერდებმოცვეთილი უსაფრთხოების ქამარი ძლივს მოირგო და ერთი ბეწო ილუმინატორს მზერა სტყორცნა. წამით მოეჩვენა, რომ მინის იქითა მხრიდან გაკიცხვით უყურებდა მაღალი, ახალგაზრდა ადამიანი ქერა თმითა და ნათელი, კეთილი სახით, რომელიც დამახინჯებული იყო გრძელი, ღრმა ნაიარევით. მისი ხა მკაფიოდ გაიგონა:

— ეხ, ალექსანდრე. რატომ?

ხმა ძრავის გუგუნში ჩაიკარგა. ფრთებმა თავს ზემოთ მწყობრად იწყეს წრის მოხაზვა, თან ზუზუნით კვეთდნენ ჰაერს. ალექსანდრემ თავი გადააქნია და ჩაილაპარაკა:

— მთელი დღე გზაში ვარ, ასეთ დროს რა არ მოგელანდება.

შვეულმფრენი მსუბუქად შექანდა და მიწას მოსწყდა. სავარძელი შეარყია საზარელმა ვიბრაციამ, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა...

რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა

ღირს ამაზე დაფიქრება...

მინდა გამოვხატო ის გულისტკივილი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე დამიგროვდა. ათი წელი ვიმუშავე კახეთის გარემოს დაცვის სამმართველოში. იმდენად გავითავისე ბუნების ტკივილი და უბედურება, ლამის ჩემად შევიგრძენი.

ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს გარემოსადმი ჩვენმა უდიერმა, გაუაზრებელმა დამოკიდებულებამ. ტექნიკური პროგრესი სახეზეა, ყოველივე ეს კი კატაკლიზმების საშიშროებას გვიქმნის. ამიტომ, დიდმა თუ პატარამ, რითაც შეგვიძლია, ხელი უნდა შევუწყოთ სამყაროს გადარჩენას. მომავალი თაობა გარემოსდამცველ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ. ერთხელ, სტატია წავიკითხე: დაწყებითი კლასის მოსწავლემ, სანაგვე ურნა ვერ მონახა და ნაჭამი ვაშლი ჯიბეში ჩაიდო. მერე, ძირს რომ დაიხარა, უეცრად, ვაშლი ამოუვარდა. გარემოსდამცველმა იგი დააჯარიმა, რაც ბიჭმა ძალიან განიცადა და ჯარიმა თვითონვე, შეგროვილი ფულით გადაიხადა. ეს მოხდა ევროპაში. ჩვენი პატარები კი რას აკეთებენ? ერთხელ, სკოლის წინ მივდიოდი. ძვირადღირებული მანქანიდან ლამაზი ახალგაზრდა გადმოვიდა, ლიმონათის ბოთლი მოიყუდა, დაცალა და უმისამართოდ მოისროლა. გული მეტკინა და ვუთხარი: შვილო, რა ლამაზი ხარ, რა კარგ მანქანაში ზიხარ, ღმერთმა ყველა სიკეთე დაგაბერტყა და გარემოს რატომღა აბინძურებ? ბიჭს შერცხვა, ბოთლი აიღო და მანქანაში შეინახა. ეს, ალბათ, გამონაკლისი შემთხვევა იყო, რადგან ზოგიერთი ახალგაზრდა, ასეთ დროს ბოთლს გესროდა, ან გიპასუხებდა: დიახ, ასე მსურს და ვაკეთებო!

გიგოს გორის სიახლოვეს ვცხოვრობ, სადაც მედიკო მეზვრიშვილმა ეკლესია აგვიშენა. ახალგაზრდები ლუდის დასალევად, ეკლესიის მახლობლად, ყოველდღიურად იკრიბებიან. შევლენ ტყეში, იქეიფებენ და ნარჩენებს აქეთ-იქით ისვრიან. ზოგი, ეკლესიაში ილოცებს და იქიდან გამოსული სიძვის მორევში იძირება. წლებია ასე გრძელდება. ისე ვიქცევით, ვითომ ვერ ვხედავთ და ეს უბედურება ჩვენ არ გვეხება. „ტყე შეუნახე შვილებსაო“ გვეუბნებოდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ ეს ბრძნული დარიგება აღარ გვახსოვს. იყო დრო, როდესაც მხოლოდ ქიმიკოსებმა იცოდნენ, რომ ფოთლის წვისას წარმოიქმნება დიოქსინი, რომელიც კარცინოგენულ ნივთიერებებს შეიცავს. იგი ჩასუნთქვისას ორგანიზმში შედის, არ იშლება და ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს. დღეს, ფოთლის დაწვაზე ჯარიმაა დაწესებული, მაგრამ კანონს არავინ იცავს. უბანში ჩემი შიშით ფოთოლს ვერავინ წვავს, მაგრამ გასაკვირი ისაა, ასეთ დროს, ადამიანები იმას დარდობენ: ვაიმე! ციურიმ არ დაგვინახოსო. მოსალოდნელ საშიშროებაზე კი არვინ ფიქრობს. სწორედ ესაა ჩვენი დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა. გაუ-

ბედურებულია ჩვენი ნაგავსაყრელები. ნიადაგის გასაუვნებელყოფად არანაირი სამუშაოები არ ტარდება. ნალექის დროს, ნარეცხი, გრუნტის წყლებში ჩადის, იქიდან კი მდინარეებში ჩაედინება. მერე კი ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება და გვანადგურებს. განვითარებულ ქვეყნებში ნაგავს ახარისხებენ და სხვადასხვა ურნებში აფასოებენ.

ეს მონათხრობი წვეთია, იმ მორევში, რასაც ჩვენი უბედურება ჰქვია. ზღვა კოვზით დაილიაო, იტყვიან და ჩევნც გამოგვეცლება ხელიდან ის სიკეთე, რომელსაც გარემომცველი გარემო ჰქვია. ჩვენ მომსწრენი გავხდით სტიქიის იმ მძვინვარებისა, რომელიც 2012 წლის 19 ივლისს დაგვატყდა თავს. ვიდექით უძლურნი და შევყურებდით, როდის დასრულდებოდა ეს ჯოჯოხეთი. მაშინ დავრწმუნდი, ჯანსაღი გარემო რომ შევინარჩუნოთ, ყოველი ჩვენგანის დიდი ძალისხმევაა საჭირო.

სტიქიამ ბევრი რამ გაანადგურა, მათ შორის „გიგოს გორა“ და ფიჭვნარის აღდგენის იდეა გამიჩნდა. დაიწერა წერილი, რომელსაც უამრავმა ადამინმა მოაწერა ხელი. ყველა აღფრთოვანებული იყო, მაგრამ რა, წერილი თაროზე შემოდეს და კომისიის შედგენით დაგვამშვიდეს.

ოხრად დაგვრჩება ფეშენებლური სასახლეები, სიმდიდრე და დიდება თუ გარემო ჯანსაღი არ გვექნება. შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ჩემი შეფასებით, რეაბილიტაციის შედეგად, განადგურდა ნადიკვარი — ჩვენი წინაპრების მუზის სავანე. დრამატული თეატრი, ძველი თეატრი, მუზეუმი, სტადიონი. ახლაღა ვდარდობ, რატომ მტკიცე პროტესტი არ გამოვთქვით. ვეკითხები

არქიტექტორებს, ინჟინრებს — რატომ ხმა არ ამოიღეთ. ყველა დუმს. რად გვინდოდა უცხოელი არქიტექტორების რჩევები?.. ბევრი ერი იამაყებდა ჩვენი წარსულით. როდესაც ჩემს შვილიშვილთან ერთად ვიხსენებ საქართველოს ისტორიას, ცრემლი მომდის. რა ტკივილი აღარ გადაუტანია ჩვენს ქვეყანას. ახლა კი, გულგრილობითა და დაუდევრობით ვკარგავთ იმას, რაც სისხლით მოგვიტანეს ბრძენმა წინაპრებმა. რესტავრაციარეაბილიტაცია მესმის, როგორც ძველის აღდგენა და, არა — ეს ნგრევა. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, გარემოს დაცვის პრობლემა დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზე. ამიტომ, მოგიწოდებთ, შემოვკრათ განგაშის ზარი და გარემოს გასაჯანსაღებლად დავირაზმოთ.

ცხოვრება სიკეთის კეთებაში გავლიე, „დედა ტერეზაც“ კი მიწოდეს. მე მტკივა ქვეყანა და მომავალი თაობა. თუ ეს წერილი საზოგადოებას დააფიქრებს, ჩავთვლი, რომ მიზანი მიღწეულია და ბედნიერი ვიქნები, რადგან ყოველივე ზემოთქმული ჩემი სულის ყივილია.

მოვიშველიებ ამონარიდს დიდი ილიას ლექსიდან:

„ჩემზე ამბობენ: ის სიავეს ქართვლისას ამბობს,

ჩვენს ცუდს არ ჰმალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია?!

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,

ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

ციური ბადურაშვილი

იანვარი-თებერვალი

* * *

თელავის მერს, პლატონ კალმახელიძეს, ელენე ახვლედიანის სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა საგანგებოდ საახალწლოდ გადაღებული ანიმაციური ფილმი უსახსოვრეს. ქალაქის მერმა, ახალგაზრდა ანიმატორებს, მადლობა გადაუხადა განსაკუთრებული საჩუქრისთვის და მერიის დაკვეთით გამოცემული 2016 წლის კალენდრები გადასცა.

ახალგაზრდა ანიმატორები, გასულ წელს, თელავის მერიის დაფინანსებით, ბულგარეთში, ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდნენ. მათ მიერ წარდგენილმა ნამუშევარმა ჟიურის სპეციალური ჯილდო დაიმსახურა.

* * *

ძველით ახალ წელს, თელავში, საახალწლო კონცერტი ჩატარდა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული შემსრულებლები. თბილისის ბიგ ბენდი — სოლისტები: ქეთი ფარეშიშვილი, მარიკო ებრალიძე, ზაურ შავგულიძე, თემო საჯაია. თელაველი ახალგაზრდა შემსრულებლები: რუსუდან მანველი, დათო შიშმანაშვილი; ბენდი „მუსიკის ქალაქი“ და „ფიქრის ხიდი“. მიუხედავად უამინდობისა, საყვარელი მომღერლების ხილვით, მსმენელმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მიიღო.

* * *

13 იანვარს, სოფელ იყალთოს ახლად გაშენებულ სკვერში, ბენდ „ფიქრის ხიდის“ საახალწლო კონცერტი გაიმართა. ბენდის წევრებმა მაყურებელს, საკუთარ სიმღერებთან ერთად, მსოფლიო ჰიტები შესთავაზეს.

ღონისძიება საახალწლო ფოიერვერკით დასრულდა.

კონცერტი თვითმმართველი თემის ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

* * *

გრძელდება თელავის გენერალური გეგმის შემუშავება. ქალაქის განვითარების მთავარ დოკუმენტზე გერმანიიდან ჩამოსული პროფესორებისა და მაგისტრანტების ჯგუფი მუშაობს.

თელავის მერის, პლატონ კალმახელიძის, ერთ-ერთ წინასაარჩევნო დაპირებას, სწორედ, ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავება წარმოადგენდა.

* * *

თელავის მერმა, პლატონ კალმახელიძემ, თელავის 2015 წლის ეტალონის გამარჯვებული — რატი გალახვარიძე 1000 ლარიანი ფულადი ვაუჩერით დააჯილდოვა. ქალაქის მერმა წარჩინებული მოსწავლის აღზრდისთვის მე-7 სკოლის დირექტორს მაია სილაგაძეს და პედაგოგს დალი პოპიაშვილს მადლობა გადაუხადა და ყვავილების თაიგული მიართვა. თელავში

ჩატარებული ეტალონის ფინალში სულ ცხრა სკოლა მონაწილეობდა.

გაზაფხულზე, თბილისში, რეგიონებში გამარჯვებული მოსწავლეების მონაწილეობით ეტალონის დასკვნითი შეჯიბრი გაიმართება.

* * *

ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე და ვიცე-მერი თენგიზ მთვარელიშვილი, თელავის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებას დაესწრნენ.

ქალაქის მერმა ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე და შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობისთვის.

შეხვედრას თელაველებისთვის საყვარელი პოეტები და პროზაიკოსები ესწრებოდნენ, რომელთა ნაწარმოებებიც საჯაროდ წაიკითხეს.

წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, მსოფლიოში ცნობილი ღონისძიებაა, მრავალ ქვეყანაში აღინიშნება და ყოველწლიურად 31 მილიონ ადამიანამდე მონაწილეობს.

ლიტერატურული კონკურსი „ჩვენ მოვდივართ“

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“, საუკეთესო პოეტური და პროზაული ნაწარმოებების გამოსავლენად, აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს „ჩვენ მოვდივართ“

ნამუშევრები მიიღება 2016 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები შეჯამდება მაისში და გამარჯვებულებს, დამსახურებისამებრ, გადაეცემათ: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს დიპლომები.

გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ოლეს“ 2016 წლის ნომრებში.

კონკურსი ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში:

მოზარდთა — 17 წლამდე;

ახალგაზრდული — 17-დან 35 წლამდე.

საკონკურსო მასალები მოიტანეთ ან გამოგზავნეთ მისამართზე: თელავი, ერეკლე II-ის გამზირი N6, III სართული — მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“. ან გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: akakidau@mail.ru

საკონტაქტო ტელეფონი: 558 48 24 80

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
ახალგაზრდა მწერალთა სექცია,
კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი

ქრისტიანული პოეზიის VI ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ, ამა წლის 15 აპრილის ჩათვლით, ელექტრონულ მისამართზე:

festivali 2011@yahoo.com

festivali2011@mail.ru

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

მთავარი პრიზი — წმინდა ნინოს ჯვარი,

პრიზი — წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი,

პრიზი — წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

საბავშვო ლექსების ავტორების წახალისების მიზნით, წელს, ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და ასეთი ავტორებისთვის ცალკე გაიცემა პრიზები.

საფესტივალოდ გამოგზავნილი ლექსები დაიბეჭდება კრებულად.

ფესტივალი ჩატარდება 2016 წლის 1 ივნისს.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

მხატვარი გოჩა ბალათრიშვილი

ISSN 1512-3995
15123995